

გიორგი სოსიაშვილი

მართლმადიდებელი ეკლესია და
რელიგიური უმცირესობანი
შიდა ქართლში
XX საუკუნის I მეოთხედში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყანა მძიმე რეპრესიებმა მოიცვა. ბოლშევიკური ტერორი თავს დაატყდა საზოგადოების ყველა ფენას. ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა მართლმადიდებელ ეკლესიას და სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებს. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ნაშრომში შესწავლილია მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში. წიგნი დახმარებას გაუწევს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს, სტუდენტებს, ნაშრომი საინტერესო იქნება ასევე მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ელდარ მამისთვალიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. სერგო ვარდოსანიძე

რეცენზენტი: ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პროფ. იოსებ ალიშარაშვილი

© გ. სოსიაშვილი, 2014

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-431-7

შესავალი

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩვენი ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლშევიკური იდეოლოგია საზოგადოებაში რეპრესიებით იმკვიდრებდა ადგილს. ხელისუფლება, რომლისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა განსხვავებული აზრი, მწვავედ დაუპირისპირდა ისეთ ინსტიტუტებს, რომლებსაც საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ. ბოლშევიკური რეპრესიები მძიმედ დაატყდა ქართულ ინტელიგენციას, საქართველოს სხვადასხვა წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებს. ხელისუფლება უაპელაციოდ ახდენდა მათ დისკრედიტაციას. დღეისათვის გამოვლენილი საარქივო დოკუმენტები შემზარავ სურათს გვიხატავს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ტერორის შესახებ, რამაც უამრავი ადამიანი შეიწირა. საზოგადოების ბევრ ღირსეულ წარმომადგენელს საკუთარ სამშობლოში ცხოვრების უფლება ჩამოართვა. ამ ყველაფერმა ქართული ინტელიგენციის ელიტა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლა ქვეყნის სათავეში მძიმედ აისახა მართლმადიდებელ ეკლესიაზეც. მრავალსაუკუნოვან ქართული ეკლესიას უამრავი განსაცდელი ახსოვს. საუკუნეთა მანძილზე არაერთი დამპყრობელი ცდილობდა ქართულ ცნობიერებაში იმ დიდი ძარღვის ამოკვეთას, რასაც მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კვებავდა. თუმცა, ქართულმა საზოგადოებამ დიდი მსხვერპლის ფასად მოახერხა ეროვნული სარწმუნოების და ეკლესიის შენარჩუნება. ბოლშევიკური რეჟიმის დროს ქართული ეკლესია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადგა. ხელისუფლებამ

დახურა მოქმედი ეკლესიები. საქართველოში ტერიტორიაზე თითქმის ყველა ტაძარი იქნა აღწერილი. საეკლესიო ქონება ხელისუფლებას გადაეცა. ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ისტორიული ღირებულების მქონე ნივთები ხელისუფლებამ სიძველეთა და ძეგლთა დაცვის კომიტეტს გადასცა. ეკლესიების დახურვასა და დარბევას ბოლშევიკური პარტიის აქტივისტები აწარმოებდნენ. მათი საქმიანობა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში დიდ გაღიზიანებას იწვევდა. ცენტრალურ ხელისუფლებას გაუქმებული ეკლესიების მრევლი თხოვნით მიმართავდა და ტაძრებში წირვა-ლოცვის აღდგენას ითხოვდა. ხელისუფლებამ ტაქტიკა შეცვალა. სპეციალური დეკრეტი გამოსცა და მორწმუნეებს, განურჩევლად მათი სარწმუნოებისა რელიგიური საზოგადოებათა დაარსების უფლება მისცა. ამ ნაბიჯმა სულიერი ცხოვრება ოდნავ გამოაცოცხლა. XX საუკუნის 20-იან წლებში ანტირელიგიური ბრძოლის მსხვერპლი აღმოჩნდა არამარტო მართმადიდებელი ეკლესია, არამედ საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიებიც (იუდეველები, კათოლიკეები, გრიგორიანელები). ანტირელიგიური ბრძოლის ტალღამ გადაუარა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხეს – შიდა ქართლსაც. შიდა ქართლში განხორციელებული რელიგიური ტერორის ამსახველი საარქივო მასალა დაცულია გორის რაიონულ არქივში. გვექონდა შესაძლებლობა გარკვეული დროის მანძილზე გვემუშავა დოკუმენტებზე, რომლებიც ნათელ სურათს გვიხატავს ათეისტი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ეკლესიის და სასულიერო პირების მიმართ. გორის არ-

ქივში მიკვლეული მასალები გამოვეცით ცალკე წიგნად.¹ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი არაერთი ნაშრომი დაიბეჭდა სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში.² წინამდებარე წიგნი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ შიდა ქართლში განხორციელებულ ანტირელიგიურ პოლიტიკაზე.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, XX საუკუნის 20-იან წლებში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013.

² G. Sosiashvili, Educational aspect of the “Read terror” ageinst religius confession echiting in Georgia, International Conference on education and learning technologies, Barselona, 2013. Edulearn 13 Abstracts—ISBN: 978-84-616-3823-9; G. Sosiashvili, The Religious conditions of the Jewish people in the Georgia region during the first quarter of the twentieth century(during the period of the soviet repression); Religion in Eastern Europe (Ree); <http://www.georgefox.edu/academics/undergrad/departments/soc-swk/ree/>.

გ. სოსიაშვილი, აკად. სიმონ ჯანაშიას შიდა ქართლში მოღვაწეობის უცნობი დეტალები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №2, 2012; გ. სოსიაშვილი, კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით), აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონფერენციის მასალები, თბ., 2014; გ. სოსიაშვილი, რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში, XX საუკუნის I მეოთხედში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 2014; გ. სოსიაშვილი, მართლმადიდებელი ეკლესია შიდა ქართლში XX საუკუნის 20-იან წლებში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, VI, გორი, 2014.

მართლმადიდებელი ეკლესია შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში

1921 წელს ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული საზოგადოება უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყანას საშინელი რეპრესიები დაატყდა. ქართული ეკლესია, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში¹,* კიდევ უფრო გაუსაძლის პირობებში მოექცა. ხელისუფლებამ იერიში მიიტანა არამართო მართლმადიდებელ ეკლესიაზე, არამედ სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებზეც.² XX

* აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ათეისტი ხელისუფლება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ გულგრილობით გამოირჩეოდა. მთავრობის მიერ გამოცემულმა საკანონმდებლო აქტებმა საპატრიარქო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სახელმწიფომ ეკლესიის კუთვნილი ქონება მიისაკუთრა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) წერილები მთავრობის ხელმძღვანელისადმი. მან 1919 წლის 5 მაისს ეკლესიის მძიმე მდგომარეობის შესახებ საგანგებო მიმართვა გაუგზავნა ნოე ჟორდანიას, ხოლო მცირე ხნის შემდეგ კი პირისპირ შეხვდა და დახმარება სთხოვა. იხ. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდეს და უნეტარესი ლეონიდე (1861–1921), თბ., 2014, გვ. 55–58. განსაკუთრებული დაპირისპირება საპატრიარქოსა და სოციალ-დემოკრატების მთავრობას შორის გამოიწვია მთავრობის მიერ გელათის მონასტრიდან საეკლესიო ნივთების გატანამ. პატრიარქი კვლავ შეხვდა ნოე ჟორდანიას, მაგრამ არც ამ შეხვედრამ მოიტანა რაიმე პოზიტიური შედეგი. იხ. ს. ვარდოსანიძე პატრიარქ ლეონიდესა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დაპირისპირების ისტორიიდან, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, I, თბ., 2014, გვ. 44–49.

¹ ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917–1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 160.

² გ. სოსიაშვილი, კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით), აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონფერენციის მასალები, თბ., 2014, გვ. 224.

საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებმა საქართველოში ათას-ზე მეტი ეკლესია დახურეს. ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში მოქმედი იყო 1350 ეკლესია, სადაც მოღვაწეობდა 1700 მღვდელი, 1527 ბერი, 280 მონაზონი. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულამდე შემცირდა.¹ საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს მიიღო №22 დეკრეტი, რომლის მე-14, მე-15 მუხლებში აღნიშნული იყო: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“². როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ბოლშევიკებმა ეკლესია ყოველგვარი უფლების გარეშე დატოვეს, ხოლო რელიგიურ საზოგადოებებს კი იურიდიული სტატუსის მოპოვების პერსპექტივა მოუსპეს. ბოლშევიკებმა მართლმადიდებლური ეკლესიების ძარცვის დაიწყეს. ამ პროცესმა მთელი ქვეყანა მოიცვა. თუ როგორი განწყობა არსებობდა ეკლესიის მიმართ იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან, ამის შესახებ ძალზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის სიტყვები, რომელიც მან 1921 წლის 14 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში აღსაყდრების დროს წარმოსთქვა: „მამამთავრობის ტვირთის სიმძიმე? მაგრამ ვინ ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიმძნელე მოვალეობის ასრულები-

¹ მიტროპოლიტი ანანია ჯავარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 1115.

² ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), თბ., 2009, გვ. 71.

სა. მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მყოფნი სიმულვილითა და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნოება გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუნოების გამოაშკარავება¹. პატრიარქის მიერ აღსაყდრებისას გამოთქმული საწუხარი შემთხვევითი არ იყო. ბოლშევიკებმა ეკლესიების დახურვასთან ერთად სასულიერო პირების დევნა დაიწყეს. 1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ გენუის კონფერენციას მიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. კონფერენციაზე გაგზავნილ მიმართვაში პატრიარქი ცივილიზებულ სამყაროს იმ საშინელ ვითარებას აცნობდა, რაც საქართველოში შექმნეს ბოლშევიკებმა. წერილში საუბარი იყო ქართული საზოგადოების და მართლმადიდებლური ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობაზე². კათალიკოს-პატრიარქმა არც გენუის კონფერენციის შემდეგ შეწყვიტა ბოლშევიკების მხილება. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ მცირე ხანში უწმინდესი დააპატიმრა. პატრიარქთან ერთად მძიმე რეპრესიები დაატყდათ სხვა სასულიერო პირებსაც. კათალიკოს-პატრიარქს 1923 წლის 29 ივლისს ინგლისის მუშათა კომიტეტის „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“ გენერალური მდივანი კოუტსი შეხვდა. უცხოელი სტუმარი საბჭოთა რუსეთში სამოგზაუროდ იყო ჩამოსული. იგი დასავლეთში საბჭოეთის პროპაგანდას ეწეოდა. კათალიკოს-პატრიარქი კოუტსთან საუბარში ღიად ამბობდა: „მაგრამ მე ჩემი მდგომარეობა იმდენად საყურადღებოდ არ მიმაჩნია, როგორც მორწმუნე ერისა, ეკ-

¹ ს. ვარდოსანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

² ქართული დიპლომატიის ისტორია, (ქრესტომათია), თბ., 2004, გვ. 547-550.

ლესიისა და საზოგადოდ სამღვდელოებისა, როგორც ის გარემოება, რომ ჩემი გულისთვის ეს შვიდი თვეა ციხეში იტანჯებიან უდანაშაულოდ საკათ[ალიკოზო] საბჭოს წევრნი და სხვა მოსამსახურენი და ცენტრალური მართვა-გამგეობის აპარატი დაშლილია. ეს მტანჯავს და მოსვენებას არ მამლევს“¹. პატრიარქის აღნიშნული ინტერვიუ სრულიად ნათელ სურათს ხატავს საქართველოში არსებული ტერორის შესახებ, რასაც საბჭოთა რუსეთი ახორციელებდა მორწმუნეთა მიმართ. ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ ისტერიული სახე მიიღო. ბოლშევიკებმა ე.წ. „უღმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და სასულიერო პირებს. სამაზრო ხელმძღვანელობა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რევკომები ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ეწეოდნენ ეკლესიის დისკრედიტაციას, იტაცებდნენ საეკლესიო ბეჭდებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა სამაზრო რევკომებს. დოკუმენტში აღნიშნულია:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ატყობინებენ, რომ ზოგიერთი სამაზრო და მისი ქვემდებარე რევკომები შედგომიან საეკლესიო ბეჭდების ჩამორთმევას, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია სრულად გამოყოფილია სახელმწიფოდან შინაურ საქმეებში, თანახმად მთავრობის დადგენილები-სა რევკომები არ უნდა ერეოდნენ, თუ სამღვდელოების საქმიანობას ბოროტ-მოქმედების ხასიათი არ ექნება. გაცნო-

¹ ნ. შიოლაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის უცნობი ხელნაწერი – საუბარი ინგლისის მუშათა ორგანიზაციის წევრ კოულტსთან, კრებ. „პოეტური სულის მეცნიერი“ (გიორგი ნადირაძე – 80), თბ., 2012, გვ. 289-290.

ბებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ გასცეთ სასწრაფო ბრძანება, რათა ჩამორთმეული ბეჭდები დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ კუთვნილებისამებრ, და შემდეგში ასეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს.

სახალხო კომისარი ნ. სოკოლოვსკი

საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი

დედანთან სწორია საქ. მწარმოებელი – ე. ბალანჩივაძე¹

1922 წლის 5 იანვარით არის დათარიღებული წერილი, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან დაეგზავნა ცირკულარის სახით ყველა მაზრის რევეკომს. წერილში საუბარია ადგილობრივი სათემო რევეკომების მიერ სასულიერო პირების დევნასა და შევიწროებაზე. ცენტრალური ხელისუფლება მკაცრად აფრთხილებდა რევეკომებს, რათა თავი შეეკავებინათ მსგავსი ქმედებებისაგან. წერილში ვკითხულობთ:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოდის ცნობები, რომ ზოგიერთ მაზრებში, ადგილობრივი სარაიონო სათემო რევეკომები და მათი წარმომადგენლები, ხშირად ერევიან ეკლესიის საქმეებში, არ ერიდებიან სამღვდელოების შეურაცხყოფას იმ დროსაც კი, როდესაც ისინი ასრულებენ მორწმუნეთათვის ღვთის მსახურებას.

ვინაიდან რევეკომებისა და მათი წარმომადგენლების ასეთი მოქმედება არღვევს წესიერებას და საერთოდ სცემს მთავრობის პრესტიჟს (თანახმად საქართველოს რევეკომის ბრძანე-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 451.

ბისა), წინადადებას ვაძლევთ მიიღოთ სასტიკი ზომები, რათა ადგილობრივი რევკომები არ ერეოდნენ ეკლესიის საქმეებში და, საერთოდ სამღვდელოების განკარგულებაში უკეთეს მას ბოროტმოქმედების ხასიათი არ ექნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი დაისჯებიან.

სახალხო კომისარი ნ. სოკოლოვსკი

საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი

დედანთან სწორია

საქმის მწარმოებელი ე. ბალანჩივაძე¹

ანტირელიგიური პოლიტიკა მძიმედ დაატყდა შიდა ქართლს. თუ როგორ დავალებებს აძლევდა გორის მაზრის ხელმძღვანელობა მაზრაში შემავალი თემების რევკომებს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ 1923 წლის 29 მაისით დათარიღებული წერილით. ეს არის ს.ს.ს.რ. შინდისის რაიონის რევკომის წერილი გორის მაზრის აღმასკომისადმი. წერილში ვკითხულობთ: „გორის მაზრის აღმასკომს, თანახმად თქვენი ცირკულარული მოწერილობის ამა წლის 22 მაისის თარიღით და №3/39 მოგახსენებთ, რომ მთელ თემში გაიკრიჭა თავისი ნებით სამი მღვდელი, ექვსმა დასტოვა თავიანთი თანამდებობა თანახმად მათი განცხადებისა, ყველა სოფლის ეკლესიები დაკეტილია და არავითარი წირვა-ლოცვა არა სრულდება მათში. ხდება გასვენება, მონათვლა და ქორწინება უპარტიოთა შორის უმღვდელო. არავითარ სარწმუნოებრივ გამოსვლებს თემში ადგილი არ ჰქონია. არავითარი წირვა-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 452.

ლოცვა არ ხდება არც კერძო სახლებში და არც ეკლესიებში. თავმჯდომარე მეგრელიძე; მდივანი ლ. კაპანაძე¹. მაზრის სოფლებიდან აღმასრულებელ კომიტეტში იგზავნებოდა საიდუმლო წერილები სასულიერო პირების მოღვაწეობის შესახებ. ამ წერილებს შემდეგ ცენტრალურ ხელისუფლებაში გზავნიდნენ. ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გორის მაზრის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის წერილის მაგალითზე. წერილი, რომელსაც აქვს გრიფი „საიდუმლო“ გაგზავნილია პოლიტბიუროში, დოკუმენტში კვითხულობთ:

„გიგზავნით მიმოწერას ატენის მმაჩის ქვე განყოფილების გამგის ოფიციალურ ცნობას, რომ სოფ. ბობნევის მღვდელი გიორგი პაპელიშვილი, თვით დიაკვნით ეწევიან წინააღმდეგობას საბჭოთა მთავრობის დეკრეტების ცხოვრებაში გატარებისას, რის გამოც გთხოვთ მიიღოთ ასეთ პიროვნებათა აღსალაგმავად საჭირო ზომები“.²

ხელისუფლებამ შიდა ქართლში მოღვაწე სასულიერო პირების მიმართ მძიმე წნეხი განახორციელა. აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირთა ოჯახებს მიწის ნაკვეთებს არ აძლევდნენ, რაც მათი საარსებო წყაროს გარეშე დატოვებას ნიშნავდა. ულუკმაპუროდ დარჩენილი მღვდლები იძულებული ხდებოდნენ ეკლესიები მიეტოვებინათ და ანაფორები საკუთარი ხელით გაეხადათ. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი არჩევანის წინაშე დააყენა. სასულიერო პირები მღვდელ-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №38, გვ. 22.

² საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013. გვ. 62.

მსახურებას უნდა ჩამოშორებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიწის გარეშე დარჩებოდნენ. სასულიერო პირთა მდგომარეობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გორის მაზრაში შემავალ შინდისის თემში მოღვაწე მღვდლების მაგალითზე. მოქმედმა სასულიერო პირებმა საკუთარი „ნებით“ დატოვეს მღვდლობა და სასულიერო მოღვაწეობაზე უარი განაცხადეს. იმისათვის, რომ მათი ნაბიჯი უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, ზოგიერთ მღვდელი საკუთარ მოღვაწეობას მკვეთრ შეფასებას აძლევდა. ამას ადასტურებს სოფ. არაშენდაში მცხოვრები მღვდლის გიორგი ივანეს ძე კოპაძის განცხადება. მან სოფ. არაშენდას მიწის კომიტეტს ასეთი ტექსტით მიმართა:

„სოფელ არაშენდაში მაქვს სახნავი მამულები მიწის კომიტეტებმა გამომიცხადეს რომ მთავრობიდან არის გამოცემული დეკრეტი რომ მღვდლებს მამული არ ეძლევათ რისთვისაც გამომიცხადეს თუ სამსახურს თავს არ დაანებებ მამულს არ მოგცემთო რის გამოც ამა წლის 1 რიცხვებში თებერვლისა გავიხადე ანაფორა, გავკოვებტავდი და სამუდამოთ მივაფურთხე მატყუარა მღვდლობას

ყოფილი მღ. გიორ[გ]ი კოპაძე“¹

სასულიერო მოღვაწეობა მიატოვეს შინდისის თემში მოღვაწე სხვა მღვდელ-დიაკვნებმაც. ამის შესახებ შინდისის თემის აღმასკომმა საგანგებო წესით აცნობა გორის მაზრის აღმასკომს:

„ამასთან ერთად იგზავნება თქვენთან შინდისის თემში დაკრეჭილს და სამსახურ დანებებულ მღვდელ-დიაკვნები-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 457.

სა, მღვდლის ტარიელ კოპაძისა, ღალაკტიონ კვინიკაძის, დავით სამსონიშვილის, გაბრიელ სიმონიშვილის, ილია კვინიკაძის, ვასილ ბასიშვილის, სერგო კვინიკაძის, სიმონ კვინიკაძის, გიორგი კვინიკაძის, სერგო კვინიკაძის (სერგო კვინიკაძე ორჯერ არის დოკუმენტში მოხსენიებული – გ.ს.), ნიკა ხუციშვილის, იოსებ კვინიკაძის, ზაქარია საძაგლიშვილის, იოანე კაპანაძის, დავით კაპანაძის და იოსებ კაპანაძის, განცხადებანი და ხელწერილები (არ იკითხება ერთი სიტყვა. სავარაუდოდ, უნდა ეწეროს „თქვენს“ – გ.ს.) განკარგულე-ბაში.

დამატებით იგზავნება განცხადება მღვდლის იოსებ ბესაშვილის.

სულ 17 ცალი

შინდისის აღმასკომის თავმჯდომარე მეგრელაძე

მდივანი ლ. კაპანაძე“¹

სასულიერო პირების მდგომარეობის შემამრჩუნებელ მდგომარეობას გადმოგვცემს ცხინვალის დეკანოზის – იოანე ანტონის ძე კაპანაძის ხელწერილი: „1923 წელსა მარტის 10 დღესა, მე, ცხინვალის დეკანოზი – იოანე ანტონისძე კაპანაძე ვაძლევ სოფელ ქვემო-ნიქოზის მიწის კომიტეტს ამ ხელწერილს მასზედა, რომ თუ უკეთუ არ მომეთხოვება ანაფორის გახდა ან გაკრეჭა, რაც ჩემი სიკვდილის თანაბარია, როგორც მოხუცებული დეკანოზისათვის, დამინებებია თავი მღვდლის თანამდებობისათვის, აღარ დაუბრუნდე მას, დავბინავდი ჩემს მამულში და ვკმაყოფილდები ჩემი მამულით, რაცა მაქვს დღეს და არც ვითხოვ ნორმის შევსებას რაზედაც თა-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), გვ. 456.

ნახმა ვარ და ხელს ვაწერ. ცხინვალის დეკანოზი იოანე კაპანაძე“.¹ გორის არქივში დაცული მასალების მიხედვით ნათელი ხდება, რომ სამაზრო აღმასკომმა 1923 წელს გააფთრებული ბრძოლა წარმართა ეკლესიების დახურვის და სასულიერო პირთა დისკრედიტაციის მიზნით. ერთ-ერთ ცირკულარში, რომელიც მაზრაში შემავალ თემებს დაეგზავნათ ვკითხულობთ:

„ცირკულიარულად

საიდუმლოდ ფრ. სასწრაფო

ყველა თემის აღმასკომის თავმჯდომარეებს

სამაზრო აღმასკომი გავალებთ ფრიად საჩქაროთ მოაწოდოთ ცნობები ქვემო აღნიშნულ კითხვების მიხედვით.

1. რამდენი ეკლესიაა მაზრაში (სინაგოგები, მეჩეთები), მათში
 - ა) სოფლად
 - ბ) ქალაქებში
 - გ) რამდენში ხდება წირვა-ლოცვა
 - დ) რამდენში არა
2. რამდენი ეკლესიაა დაკეტილი მცხოვრებლების მიერ, მათში
 - ა) სოფლად
 - ბ) ქალაქებში
 - გ) რამდენში ხდებოდა წირვა-ლოცვა
 - დ) რომელშიაც არ ხდებოდა
3. რამდენი ეკლესია დარჩა დაუხურავი
 - ა) სოფლად
 - ბ) ქალაქებში

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №38, გვ. 39.

4. რამდენი მონასტერია
 5. რამდენია დაკეტილი მათში
 - ა) მამაკაცების
 - ბ) ქალების
 6. რამდენმა ეკლესიის მსახურმა (მღვდელმა, დიაკვნებმა) დაანებეს ეკლესიას თავი
 7. რამდენმა გაიკრიჭა თავის სურვილით.
 8. რამდენი იქმნა გაკრეჭილი ძალით.
 9. რამდენი მღვდელია მაზრაში, რომელნიც აშკარად გამოდიან პროპაგანდით სარწმუნოების წინააღმდეგ.
 10. რამდენი ეკლესიაა ფაქტიურად გადაკეთებული კლუბებათ, ბიბლიოთეკებათ ან სხვა კულტურულ დაწესებულებად.
 11. რამდენი იყო შემთხვევა სარწმუნოებრივი გამოსვლებისა მორწმუნეთა მიერ.
 12. ხდება თუ არა წირვა-ლოცვა კერძო სახლებში ეკლესიების დაკეტვის შემდეგ.
 13. ხდება თუ არა უპარტიოთა შორის გასვენება, ნათლობა, ქორწინება მღვდელთა დაუსწრებლად.
- 22 მაისი 1923 წ. №3139
 შინა მმართველობის განყ.
 გამგე (ცხოვრებაშვილი)
 მდივანი (მალივეი)¹.
- 1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მიერ მი-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 216.

ღებული დადგენილებაში აღნიშნული იყო: „1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება გადადიოდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში. 2. ამ ქონებიდან ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებაში. 3. დანარჩენი საეკლესიო განძეულობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გლეხების საჭიროებისათვის“¹. საეკლესიო საქმეთა კომისიის 1923 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ხელისუფლება საეკლესიო ნივთების გამოყენების ნებართვას იძლეოდა მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, ასევე სამეურნეო საჭიროებისათვის, თუ ნივთების რეალიზაცია გლეხებს მოხმარდებოდა.² როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლება ძალადობას იჩენდა სასულიერო პირთა მიმართ. ასეთი დამოკიდებულება მომდევნო წლებში თითქოს შეიცვალა, თუმცა ბოლშევიკების ზეგავლენა სასულიერო წრეებზე კვლავ თვალშისაცემი იყო. საპატრიარქო თითოეული ეპისკოპოსის ერთი ეპარქიიდან მეორეში გადაყვანის საკითხს ადგილობრივ ხელისუფლებას უთანხმებდა. ამას ასახავს გორის არქივში დაცული წერილი, რომელსაც ხელს აწერს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი): „გორის რაი-აღმასკომს, ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი სიმეონი განთავისუფლებულია ურბნისის ეპარქიიდან

¹ ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), თბ., 2009, გვ. 105.

² საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 227.

ქუთაის-გენათის ეპარქიაში გადაყვანის გამო, ხოლო ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მართვა დროებით მინდობილი აქვს ეპისკოპოზო ეფრემს. აღნიშნულს ვაცნობებ გორის რაიალმასკომს“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) 1930 წ.“¹

ანტირელიგიური ბრძოლა განადგურებით ემუქრებოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული ღირებულების მქონე ტაძრებს. ბოლშევიკებმა აღწერეს ეკლესიები და მათი ქონება. ხელისუფლებამ აღწერა ჩაატარა შიდა ქართლშიც. საეკლესიო ნივთების ჩამონათვალი გორის მაზრაში შემავალი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დაეგზავნა გორის სამაზრო შინა მმართველობას. სტანდარტული სახის წერილებში მითითებულია „სია ეკლესიების ქონებისა, რომელსაც აქვს ნივთიერი ღირებულება, ან ისტორიული მნიშვნელობა“. საეკლესიო ნივთების ჩამონათვალშია: ჯვრები, ხატები, საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა. წერილებს თან ახლავს შენიშვნის გრაფა. თუ საეკლესიო ნივთი ისტორიული მნიშვნელობისა იქნებოდა, ამის შესახებ სწორედ შენიშვნის გრაფაში უნდა ჩაეწერათ. საეკლესიო ქონებათა სიების უმეტესობა გორის სამაზრო შინამმართველობის მისამართით დაგზავნილია 1923 წლის აგვისტოსა და სექტემბერში.²

გორის მაზრაში შემავალ ახალქალაქის თემში ხელისუფლებას

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №4, აღწერა №1, საქმე №10, გვ. 105.

² საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 89-146.

იქ არსებულ ტაძრებში დაცული ისტორიული ღირებულების მქონე ნივთების გამო განსაკუთრებული აღწერა ჩაუტარებია. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„განსაკუთრებული აღწერა ახალქალაქის თემის ძველ ეკლესიებისა, რომელნიც შეიცავენ რაიმე საისტორიო საინტერესო სიძველეებს ანუ ძველ ხელოვნების ძეგლებს მხატვრულ თვალსაზრისით, რომელნიც მიეწერებიან I კატეგორიას.

1) ნოსტის „სამების“ ძველი ეკლესია, შეიცავს: არშინ ნახევრიან ძველ ჯვარს ყვითელ მეტალგადაკრული წარწერებით (ძალიან ძველი).

2) იქვე მეორე ჯვარია ძველი, ზომით დაახლოებით 1–არშინი $\frac{1}{4}$ 27 ფერად თვალებით მოჭედილი. 1 და 2 ჯვარი დიდ სიძველეს წარმოდგენენ და იმყოფებიან მიყრუებულ სოფელ ნოსტეში, სადაც ნესტისაგან გუჟდებიან და ლპებიან. საჭიროა ეცნობოთ ეს ორი ჯვარი მოთავსებულ იქნენ მუზეუმში.

წმ. ესტატეს ეკლესია სოფ. ერთაწმინდაში შეიცავს ვერცხლის ძველ ნივთებს, რომელნიც მიეწერებიან აგრეთვე I კატეგორიას სულ მთლად მაგალითად: მეფე ირაკლისაგან შეწირული სახარება ვერცხლისა და დარეჯან დედოფლისაგან, თვლიანი ჯვარი და სხვა იხილეთ საერთო დაწვრილებითი აღწერა.

სოფ. ხოვლეს კვართის ეკლესია.

2 ვერცხლის წმინდა გიორგის კვართისა და (არ იკითხება) საინტერესო პატარა ვერცხლის ძველი ხატები და ძალიან წვრილმანი ნამუშევარი ბზის ჯვარი „რეზბა“ ზედ ამოჭრილი სხვადასხვა სურათებით, აქვე არის რკინის ხვთისმშობელი და ნათლისმცემლის თავისკვეთის ხატი პატარა ორი პატარა

ვერცხლის კოლოფით. შიგ წმ. ესტატეს და გიორგის ნაწილებით და აგრეთვე რამოდენიმე ძველი მხატვრობითი ხატები ვერცხლით გადაკრული აგრეთვე უბრალო თვლებით და ქართული ხუცური წარწერებით. დანარჩენ ეკლესიებში მდებარე ნივთები მიეწერებიან II და III კატეგორიას გარდა ორ ხელთნაწერ ძველ სომხურ სახარებისა, რომლებიც წადებულ იქნა პროფესორის* მიერ ამხ. მარუტოვის თანდასწრებით და იმ ორი ხატისა, რომელიც თქვენს განკარგულებით ჩვენს მიერ იქნა ხაზინაში შეტანილი დასაცავად და შესანახად.

თავმჯდომარე: მამასახლისოვი; მდივანი: მეზურნოვი“.1**

* აღწერის დოკუმენტში მოხსენიებულ პროფესორში (თუმცა შეცდომით, რადგან ს. ჯანაშია ამ დროისათვის ჯერ პროფესორი არ იყო) უნდა იგულისხმებოდეს ს. ჯანაშია, რადგან ისტორიული ღირებულების მქონე ნივთების მიღება-ჩაბარების აქტს სწორედ ს. ჯანაშია აწერს ხელს.

** დღევანდელი კასპის რაიონში არსებული ეკლესია-მონასტრები და ტაძრებში დაცული საეკლესიო ნივთები 1848 წელს აღწერა ცნობილმა მოღვაწემ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა. მან ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს თხოვნით იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სიმღველეები შეისწავლა (აღწერის მასალები დაცულია სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის არქივში. მასალების დიდი ნაწილი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გადმოიგზავნა პროფ. ი. ალიშვარაშვილის ინიციატივით და ძალისხმევით). აღწერაში ცალკეა წარმოდგენილი „გორის უეზდის“ ნაწილი: „აღწერა გორის უეზდისა შინა ეკლესიებთა და მონასტერთა ზედა ღირსსახსოვარ წარწერათა სრულიად; ხოლო მდებარეობათა მათთა შემოკლებით ღუბერსკის უკრეტრის და კავალერის დიმიტრი კონსტანტინეს ძის მეღვინეთუხუცესოვის მიერ, დროსა მოგზაურობასა თვისისა 1848 წელსა“. დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის აღწერილი აქვს შიდა ქართლის ტერიტორიაზე (აღწერაში შეტანილი აქვს დღევანდელ კასპის რაიონში აღწერული ძეგლები და სიმღველეებიც. აღსანიშნავია, რომ ავტორის თქმით, „ხოვლის სამმღვართა შორის დღეს იხილვების ორმოცამდე სხუა და სხუა ეკლესიები და მონასტრები“) არსებული არაერთი ტაძარი, მათ შორის: სამთავისის, მეტეხის, რკონის, ახალჯვრის, კიმოთესუბნის, სარკის წმინდა გიორგის, საღოლაშენის, მძოვრეთის, ყინწვისის, ოქონის, ბრეთის, ატოცის, წრომის, თიღვის, იტრიის ეკლესიები და აღნიშნულ ძეგლებზე დაცული წარწერები. Институт восточных рукописей Российской академии наук (I WP PAN) фонд №H-78, дело, „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, с. 70-97.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 147.

ამ დოკუმენტს თანს ერთვის: „აღწერა ახალქალაქის თემში მყოფ ეკლესიების ნივთებისა და საგნებისა ეკლესიების აღნიშვნით“. ნუსხაში შეტანილია ერთაწმინდის წმ. ესტატეს სახელობის ტაძარში დაცული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები. მათ შორის: „სახარება დიდი – აკლია მათეს სურათი – ვერცხლის ყდაში ოთხი თვლით მეფე ირაკლის შემოწირული, სახარება მეორე ტანისა ვერცხლით გადაკრული დარეჯან დედოფლისაგან შემოწირული... ჯვარი პატარა (ტრაპეზისა) ვერცხლისა ძამიევის შემოწირული, ჯვარი ხისა ვერცხლით გადაკრული ხუციშვილისაგან შეწირული... ხატი ხვთისმშობლისა კივოტით ვერცხლისა საბა თარხნიშვილისაგან შეწირული, ტაკუკი 1 ც. ვერცხლისა ზაქ. ტუხიშვილისაგან შეწირული, შანდალი ვერცხლისა იოსებ თარხნიშვილისაგან შეწირული, კუბო წმ. ესტატეს კლავისათვის და ნაწილი მკლავისა თვით წმ. ევსტატისა, რომელშიაც ინახებიან პატარა ვერცხლის სანაწილე, პატარა ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა და პატარა ვერცხლგადაკრული წმ. გიორგის ხატი და მესამე კიდევ პაწაწა გიორგის ხატი. შენიშვნის სახით მიწერილი აქვს: მოგვცეს შემდეგი დამატებითი ცნობა: 1907 წელს ივანე კარგარეთელმა წაიღო ძველი ხელთნაწერები და „დადიანური ჯაჭვი“, რომელსაც ყელზე იგდებდნენ – წაღებულია მუზეუმში. 1910 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა წაიღო მუზეუმში ძველი ხელთნაწერები. 1880 წ. პლატონ იოსელიანმაც წაიღოვო. ქ. თბილისის სახელმწიფო უნივ. მუზეუმის გამგეს ასისტენტს მოსე ჯანაშვილს წაუღია. ისტორიული დარგის სტუდენტს გაბრიელ ჩაჩანიძეს* 1922 წ.“.¹

* დოკუმენტში გამოტოვილია, თუმცა, ჩვენი აზრით, უნდა ეწეროს „წაუღია“.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 149.

დოკუმენტის თანახმად ერთაწმინდის წ. ესტატეს სახ. ტაძარში ინახებოდა ვერცხლის ფიცარი წარწერით, რომელიც იყო: „შემოწირული დავით ბატონიშვილისაგან, რომელსაც აკლია ჩასმული თვალი 1797 წ.“¹ ერთაწმინდიდან წაუღიათ დიდი ხელთნაწერი „მარხვანი“.²

ერთაწმინდის წმ. ესტატეს სახელობის ტაძრის სიძველეთა ნუსხა ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენლებისათვის გადაუცია მღვდელ დავითაშვილს. შენიშვნის სახით დოკუმენტს მიწერილი აქვს, რომ სოფლის მორწმუნე დედაკაცებს ზარი დაურეკავთ, ერთაწმინდის მოსახლეობა ტაძართან შეუკრებავთ და ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ტაძარში შესვლის უფლება არ მიუციათ.³

შიდა ქართლის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად ბოლშევიკებმა ქალაქ გორში არსებული რამდენიმე მართლმადიდებელი ტაძრის ქონება აღწერეს. მათ შორის: გორის პედაგოგიური ტექნიკუმის ყოფილი ეკლესიის,⁴ ოქონის ეკლესიის,⁵ სობორის (საკრებულოს ტაძრის),⁶ გორის ყო-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 150.

* გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების შესახებ გვაქვს განსხვავებული მონაცემებიც. 1924 წლის 11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის „ცეკა“-სთან არსებული საეკლესიო კომისიის სხდომა, რომელიც ეხებოდა გორის დახურული ეკლესიებიდან წამოღებული ქონების გლეხთა სახლის მშენებლობისათვის მოხმარებას, ასევე გორის, ქარელის და სურამის მორწმუნე ებრაელებისათვის სამლოცველოების დაბრუნებას. სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის გორის მაზრაში 134 ეკლესია ყოფილა დახურული. იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში XX საუკუნის 20-იან წლებში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 480.

² საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 150.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 170-174.

⁵ იქვე, გვ. 92-94.

⁶ იქვე, გვ. 94.

ფილ სამების ეკლესიის,¹ 1923 წლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც არის სია“ გორის მაზრის ეკლესიებისა“, მაზრის ტერიტორიაზე აღნუსხულია 93 მართლმადიდებლური ტაძარი².* თუ როგორი სახის დავალება ჰქონდათ მიღებული გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი-საგან მაზრის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა თემის აღმასრულებელ კომიტეტებს, კარგად ჩანს ქარელის თემიდან გორის მაზრის შინაგან საქმეთა სამმართველოსადმი გაგზავნილ წერილში: „გორის მაზრის შინაგან საქმეთა სამმართველოს, თანახმად თქვენი მოწერილობისა ა. წ. 25/ VI – თარიღით 4351-ით შესახებ ეკლესიებიდან ჩამორთმეული ნივთების ცალ-ცალკე სიების წარმოდგენაზე, მოგახსენებთ, რომ ჩვენ გადმოგზავნილ სიაში არის ნაჩვენები ცალ-ცალკე იმ (სავარაუდოდ უნდა ეწეროს მონასტრების – გ.ს.) სია, რომლებისგანაც ჩამორთმეულია ნივთები. ამასთანავე გიბრუნებთ უკან ჩვენ გადმოგზავნილ სიას, რომელიც თქვენ დააბრუნეთ თქვენი მოწერილობით. თავჯდომარე: ნ. კალანდაძე, მდივანი (არ იკითხება – გ.ს.)“³. როგორც ამ წერილიდან ჩანს, 1923 წლის 25 ივნისს, გორის მაზრის შინაგან საქმეთა სამმართველომ ცირკულარი დაუგზავნა მაზრაში შემავალი თემების აღმასრულებელ კომიტეტებს და ეკლესიათა ქონების აღწერა-ჩამორთმევა დაავალა. ხელისუფლებამ ადგილობრივი თემების აღმასრულებელ კომიტეტებს მისცა დავალება, რათა მათ ადგილზე აღენუსხათ მოქმედი ეკლესიები

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 95.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, აღწერა №1, საქმე №26.

³ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, აღწერა №1, საქმე №29, გვ. 61.

და სამაზრო აღმასკომისათვის წარმოედგინათ როგორც ეკლესიების ნუსხა, ისე იქ მოღვაწე სასულიერო პირების მონაცემები (მათ შორის პოლიტიკური მრწამსიც). გორის მაზრის ხელმძღვანელობამ ასეთი შინაარსის წერილი დაუგზავნა მაზრაში შემავალ სხვადასხვა თემების აღმასკომებს: „გეგზავნებათ ამასთან ერთად ნიმუში რომლისდა თანახმად მიღებისთანავე სამი დღის განმავლობაში, ყოველივე მიზეზ გარეშე, საჭიროა შეადგინოთ სია ეკლესიებისა, რომელშიდაც სწარმოობს წირვა-ლოცვა ამჟამად და ვინ მსახურობენ, როგორც ნიმუშში არის აღნიშნული, აგრეთვე საჭიროა იმ ეკლესიებისა, რომელშიაც არ სწარმოობს, იმ ცნობაში კი საჭიროა აღინიშნოს, თუ ვინ აწარმოებდა აღნიშნულ ეკლესიას. შესრულებისთანავე, დაუბრკოლებლივ სიები გადმოგზავნეთ. შინა მმართველობის განყ. გამგე ს. ცხოვრებაშვილი, საინფორმაციო ქვეგანყ. გამგე შ. კორინთელი“¹. ეს წერილი გორის მაზრაში შემავალ თემებში 1923 წლის 30 ნოემბერს დაიგზავნა. წერილს აქვს გრიფი: „საიდუმლოდ, ფრიად საჩქაროდ“. წერილს თან ახლავს სპეციალური ფორმა, რომელშიც შეტანილია შემდეგი სახის ინფორმაცია: ეკლესიის დასახელება და მისი მდებარეობა, გვარი, სახელი იმ მღვდლისა, რომელიც ემსახურება აღნიშნულ ეკლესიას, თანამდებობა, რომელი მიმართულებისაა (მაგ. ნაციონალ-დემოკრატი, ეროვნულ დემოკრატი და ა. შ.). შენიშვნა, შენიშვნის გრაფაში ზოგან მითითებულია, რომ ეკლესიაში წირვა-ლოცვა წარმოებს, ზოგან კი აღნიშნულია, რომ ეკლესია დახურულია,

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №418, გვ. 14-16.

ან მითითებულია, რომ მღვდელი გაკრეჭილია¹. ამ წერილის მიღებისთანავე, გორის მაზრაში შემავალი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტებიდან დაგზავნილ იქნა წერილები მაზრის აღმასკომის სახელზე. აღნიშნულ წერილებში მითითებულია ის მართლმადიდებელი ეკლესიები, სადაც წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა, აგრეთვე ის ტაძრებიც, რომლებიც უკვე დახურული იყო. ამ წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ახალქალაქის რაიონში 11 ეკლესია მოქმედებდა,² ქვემო ჭალის რაიონში 4 ეკლესია. დახურული იყო: ლამისყანის, თეზის, ოკამის, სამთავისის, ამაღლების, ქვემო ჭალაში – ამილახვრების ეკლესიები.³ გორის რაიონში 9 ეკლესია მოქმედებდა: კარალეთის ღვთისმშობლის სახ. ეკლესია, პატარა გარეჯვრის წმ. გიორგის სახ. ეკლესია, ატენის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ორმოცის ღვთისმშობლის სახელობის, რეხის ღვთისმშობლის სახელობის, დიდი გარეჯვრის ღვთისმშობლის სახელობის, თორტიზის ღვთისმშობლის სახელობის, ხელთუბნის ღვთისმშობლის ხარების, სვენეთის ღვთისმშობლის სახელობის, რცხის ღვთისმშობლის სახელობის, ბერბუკის მთავარანგელოზის სახელობის.⁴ ხაშურის რაიონში მოქმედებდა 22 მართლმადიდებელი ტაძარი,⁵ გორის რაიონში არსებული 28 ეკლესიიდან, ამ დროისათვის ყველა

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №26.

² საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 68-70.

³ იქვე, გვ. 71.

⁴ იქვე, გვ. 73.

⁵ იქვე, გვ. 76.

დახურული იყო.¹ მეჯვრისხევის თემში 1923 წლის 11 დეკემბრის მონაცემებით 14 ეკლესია იყო მოქმედი, ორ ტაძარში ახალგვარსა (სოფ. ახალუბანი) და ღვთისმშობლის სახელობის სალოცავში (სოფ. აძვში) წირვა-ლოცვა წელიწადში მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა დღესასწაულის დროს, ხოლო 4 ეკლესია დახურული იყო.^{2*} კავთისხევის რაიონში არსებული 6 ტაძრიდან ყველა დახურული იყო. ბორჯომის რაიონში 10 ტაძარი იყო გაუქმებული.³ ქარელის რაიონში ამ დროისათვის 7 ეკლესია იყო მოქმედი. რუისის რაიონში 31 მართლმადიდებელი ეკლესია იყო მოქმედი.⁴ ცენტრალურმა ხელისუფლებამ სპეციალური კითხვარი დაუგზავნა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ მაზრების აღმასკომთა ხელმძღვანელებს. კითხვარი ეხებოდა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ ეკლესიებს, ასევე მოსახლეობის რელიგიურ წესჩვეულებებს. ასეთი კითხვარი შეაფასეს გორის მაზრის აღმასკომშიც. კითხვარს ხელს აწერს საინფორმაციო ქვეგანყოფილების გამგე ირ. ყანჩელი. კითხვარში ვკითხულობთ:

„§§4–5 რომელ რაიონი იმყოფება და რომელ რაიონებში არის დაკეტილი მონასტრები.

1. კავთისხევის თემში 2 მონასტერი.

დაკეტილია მათში ერთი – 1 „–„

ა) მამაკაცებისა ერთი

* ამ წუხსაში შეტანილია სოფ. უკულმა სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, თუმცა იმ გრაფაში, სადაც მითითებული უნდა იყოს დახურულია თუ არა ტაძარი, სასულიერო პირზეა აღნიშნული, რომ „გაკრეჭილია“.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 76-77.

² იქვე, გვ. 78-79.

³ იქვე, გვ. 83.

⁴ იქვე, გვ. 88.

ბ) ქალების – არ არის აღნიშნული თემიდან მოსული ცნობებში. დაუკუეტავია კავთისხევის თემში 1, როგორც ცნობებიდან სჩანს.

2. ატენის თემში – 2 მონასტერი

დაკეტილია მათში – 2 „–„

ა) მამაკაცების

ბ) ქალების

§§ 10.

რამდენი ეკლესიაა ფაქტიურათ გადაკეთებული კლუბებათ, ბიბლიოთეკებად ან და სხვა კულტურულ დაწესებულებებათ.

1. მეჯვრისხევის თემში – 1

2. ქარელის „–„ – 2

3. ქვემოჭალის „–„ – 1

4. საციხურის „–„ – 2

§ 11.

რამდენი შემთხვევა იყო სარწმუნოებრივი გამოსვლებისა მორწმუნეთა მიერ და რომელ რაიონებში.

1. ახალქალაქის თემში – 1

2. ქ. ხაშურში – 3

§ 12.

ხდება თუ არა წირვა ლოცვა კერძო სახლებში ეკლესიების დაკეტვის შემდეგ და რომელ თემებში.

1. გომის თემში

2. ქარელის „–„

3. ატენის „–„

§ 13.

ხდება თუ არა უპარტიოთა შორის გასვენება, ნათლობა, ქორწინება მღვდელთა დაუსწრებლად და რომელ თემებში.

1. გომის თემში
2. ტყვიავის „–“
3. ახალქალაქის „–“
4. ქარელის „–“
5. სურამის „–“ მასიურად.
6. კავთისხევის „–“
7. ხაშურის „–“
8. შინდისის „–“
9. ხცისის „–“
10. დირბის „–“
11. გორის „–“

საინფორმაციო ქვე-განყ. გამგე: ირ. ყანჩელი“.¹

ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა მოძრაობამ, რომელიც ხელისუფლების დაკვეთით და წაქეზებით მიმდინარეობდა, ისტერიული ხასიათი მიიღო. არაერთი ისტორიული ღირებულების ძეგლი განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. ამიტომ ბოლშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ასეთი ძეგლების დაცვის თვალსაზრისით გარკვეული ზომები მიეღო. 1923 წლის 21 მარტს დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი. კომიტეტის წევრები იყვნენ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი ლ. კანდელაკი, იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი. იმისათვის, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ანტირელიგიურ ბრძო-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 449-451.

ლას ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლები არ შეეწირა, კომიტეტმა სპეციალური წარიღი დაუგზავნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. წერილში ვკითხულობთ: „ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი

„17“ აპრილი 1923 წ.

ქ. ტფილისი

ცირკულიარი

„საიდუმლო“

ყველა სამაზრო აღმასკომს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და

აფხაზეთის ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოებს

ს.ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობებით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეს შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქნას ზემოხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს.კ. საბჭოს დადგენილები-სა, ა/წ 21 მარტს, დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი ლ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

გაუწყებთ რა ზემოხსენებულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ – ეკლესია-მონასტერის გაუქმებისა და ჩამორთმევისას აუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმომდვრებო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიად:

ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმებით, თუ სხვა რაიმე მაინც დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენენ;

ბ) ძეგლები – ძვირფას განძელობითურთ, რომელნიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს ანდა უკანასკნელამდე წარმოებდა ღვდელ-მსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავისთავად არავითარ სახუროთმომდვრებო ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობათა.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთაგან პირველ ორი კატეგორიის – სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქმნას ისტორიისა და კულტურისათვის და მამასადამე, არავითარი შეკეთება, გაკეთება ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება. სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ადგილობრივ დაარსებელ საისტორიო მუზეუმების პუნქტები, არ შეიძლება და სასტიკადაც აკრძალულია.

რაიცა შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარია:

ა) ჭედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვ.

ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები.

გ) სხვადასხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.

პირველ ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრულ მნიშვნელობის ძეგრფასი ნახე-
ლავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემ-
კული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულე-
ბას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად სა-
ჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა დამოუკი-
დებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივ აღმასკომის პასუ-
ხისმგებელი თანამშრომლები მცოდნე პირთა თანდასწრე-
ბით.

ყველა ნივთი მესამე კატეგორიის ეკლესია-მონასტრები-
დან გამოდებული, თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გადა-
ტანილ უნდა იქმნას, სათანადო აქტის შედგენილ მეორე კა-
ტეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც უფრო უზ-
რუნველყოფილი არიან ცეცხლისა თუ სხვა ხიფათისაგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი
მოკითხვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეო-
რე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ, მთელს რესპუბლიკაში
სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება
საისტორიო მუზეუმები.

ამიტომ დროებით, სანამ საამისოდ სათანადო კომისიები
შესდგებოდეს, რომელნიც თვითეულ ნივთის შესაფერ ღირე-
ბულებას გამოარკვევენ და საბოლოოდ დაადგენენ, თუ რო-
მელია, მეორე კატეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი, უნდა
გადაკეთდეს მუზეუმად, ყველა აღნუსხულ ნივთის მოვლა-
პატრონობა ევალება ადგილობრივ აღმასკომის მიერ დანიშ-

ნულ პირთ აღმასკომისა და პირველთა ურთიერთის პასუხისმგებლობით.

განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქმნას განათლების სახალხო კომისარიატში – სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის.

აქვე გეგზავნებათ სია იმ ეკლესია-მონასტერთა და საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელნიც დაცულ უნდა იქნან სამეცნიერო მიზნით.

დამატებით ინსტრუქციებს მიიღებთ.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე

ს.ს.ს.რესპუბლიკის კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი;

წევრნი:

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი; იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი¹

ხელისუფლებამ განსაკუთრებით დიდი ფასეულობის ძეგლების ნუსხა შეადგინა. ამ ნუსხაში გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლიც შევიდა:

„სია იმ ეკლესია-მონასტერთა საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელთაც საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ.

1. ტფილისის მაზრაში: ანჩისხატი, სიონი, ბეთანია, მარტყოფი, ქაშვეთი, მეტეხის საყდარი, ნათლისმცემელი, მანგლისის ტაძარი.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №37, გვ. 37.

2. დუშეთის მაზრაში: ჯვარის საყდარი, მცხეთა, სამთავრო, წილკანის, შიო მღვიმის და ანანურის ტაძრები.
3. თელავის მაზრაში: შუამთა, ალავერდი.
4. სიღნაღის მაზრაში: ბოდბის მონასტერი.
5. გორის მაზრაში: ერთაწმინდა, რუისის, ურბნისი, სამთავისი, ყანჩაეთი, ატენი, ქვემო ჭალა, წრომი, ოქონის მონ. იკორთა,
6. ბორჩალოს მაზრაში: ახტალის ეკლესია, ფიტარეთის, ბოლნისი.
7. ახალციხის მაზრაში: ზარზმა, ვარძია, საფარა.
8. ახალქალაქის მაზრაში: კუმურდოს ტაძარი.
9. ქუთაისის მაზრაში: გელათი, მოწამეთა, ხონის წმ. გიორგის.
10. შორაპნის მაზრაში: კაცხი, მღვიმე, ჯრუჭი, სავანე, უბისა.
11. რაჭის მაზრაში: ნიკორწმინდა.

* აღსანიშნავია, რომ 1928 წლის 16 მარტს გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მიიღეს დადგენილება ოქონის ტაძრის დანგრევის შესახებ. სხდომის ოქმში მითითებულია, რომ ოქონის ტაძარი მიწისძვრისაგან იყო დაზიანებული და ამას შესაძლოა საფრთხე მიეყენებინა მრევლისათვის. ხელისუფლება მორწმუნეებს დაპირდა, რომ მათ მიეცემოდათ ტაძრის აშენების უფლება ოქონის ტაძრის ეზოში, ან ყოფილი საკრებულო ტაძრის (სობოროს) სამირკველზე, თუმცა, გორის აღმასკომმა არ შეასრულა დანაპირები. სწორედ ამის გამო, ოქონის ტაძრის სამრევლო საბჭომ განცხადებით მიმართა ხელისუფლებას და ტაძრის ასაშენებელი ადგილის გამოყოფა მოითხოვა. იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 206-209; მორწმუნეების დაჟინებულმა თხოვნამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. საბოლოოდ ხელისუფლებამ მრევლს ნებართვა მისცა ოქონის ტაძარი სობოროს ადგილზე აეშენებინა. 1930 წლის 1 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ ურბნელი ეპისკოპოსის – სვიმონის და სხვა სასულიერო პირების თანდასწრებით ოქონის ალადაშენებულ ტაძარი აკურთხა. იხ. ი. ალიმბარაშვილი, ოქონის ტაძრებისა და ხატების ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 94; თუმცა, ოქონის ახალმა ტაძარმა დიდხანს არ იარსება. 1934 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ იგი კვლავ დანგრევის. იქვე. გვ. 95.

- 12.ოზურგეთის მაზრაში: შემოქმედი, ჯუმათი, ლიხაური.
- 13.სენაკის მაზრაში: მარტვილი, ტყვირი, სუჭუნა.
- 14.ზუგდიდის მაზრაში: ხობი, ცაიში, კორცხელი, წალენჯიხა, ყულისკირი.
- 15.სვანეთში: კვირიკე და ივლიტასი.
16. აფხაზეთში: დრანდა, ბედია, ბიჭვინთა მოქვი, ილორი¹.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ღირებულების ძეგლების შესასწავლად ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა სპეციალური ექსპერტები დანიშნა. ესენი იყვნენ პროფ. ა. შანიძე და მისი ასისტენტი ს. ჯანაშია². მათ დაევაღათ გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების და სალოცავებში დაცული ისტორიული ღირებულების ნივთების შესწავლა. ა. შანიძე (სავარაუდოდ მოუცვლელი გამო) ამ საქმეში აღარ ჩაერთო და კომიტეტმა საბოლოოდ სპეციალური რწმუნებული დანიშნა. ეს საქმე გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა მოღვაწეს (23 წლის) ს. ჯანაშიას დაევალა, რომელმაც გორის მაზრის ტერიტორიაზე სიძველეები საგანგებოდ შეისწავლა და წარ-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №37, გვ. 39.

² „სსსრ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი“ მოგვიანებით შეცვალა „სიძველეთა, ხელოვნების, ბუნებისა და ძეგლთა დაცვის კომიტეტმა“. აღნიშნული კომიტეტის ინსპექტორი გორის მაზრაში იყო პროფ. ს. კაკაბაძე. 1929 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ს. კაკაბაძეს ევალებოდა ეკლესიებიდან გამოტანილი სხვადასხვა ნივთების მათ შორის საეკლესიო ზარების შესწავლა. ს. კაკაბაძის ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ ეკლესიებიდან ჩამოხსნილი ზარების ერთ ნაწილს (შავი მეტალი) კომკავშირელები აგროვებდნენ, ხოლო მეორე ნაწილი (ფერადი მეტალი), რომელთაც რეაბილიტაცია ესაჭიროებათ, გადაცემული ჰქონდა „რუდმეტალტორგს“. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 245.

მოდგენილ დასკვნაში ხელისუფლებას დიდი ისტორიის მქონე ტაძრების და ამ ტაძრებში დაცული საისტორიო და სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთების განსაკუთრებული დაცვისაკენ მოუწოდა¹. გორის არქივში მივაკვლიეთ დოკუმენტს, რომელიც ვიზუალური მსგავსებიდან გამომდინარე, ს. ჯანაშიას ხელნაწერს უნდა წარმოადგენდეს. ეს არის „სია მაზრაში არსებული ტაძრების განმეულობისა“. ჩვენი აზრით, დოკუმენტი ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულის – ს. ჯანაშიას ანგარიშია, რაც შიდა ქართლის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლის შედეგია. ანგარიში ფრაგმენტის სახით შემორჩა, ამიტომ ძნელი სათქმელია, გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე იყო შედგენილი, თუ ცენტრალური ხელისუფლების. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქვათახევის მონასტერში – ღვთისმშობლის ხატი დიდი ტანისა, ვერცხლით მოჭედილი 1695 წლ. დედოფალ ხვარეშანის წარწერით; 2. ახალქალაქის მართლმადიდებელთა წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიაში*.

1. ა) წმ. თევდორეს ვერცხლის ხატი ხუცური წარწერით და ბ) ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლისა (?) ქართული წარ-

¹ გ. სოსიაშვილი, აკად. სიმონ ჯანაშიას შიდა ქართლში მოღვაწეობის უცნობი დეტალები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №2, 2012, გვ. 240.

* წმ. თევდორეს ტაძარი არსებობდა აგრეთვე კასპში. აღნიშნული ეკლესია მოხსენიებული აქვს 1848 წელს დიმიტრი მელვინეთუხუციშვილს. მისი აღწერით წმ. თევდორეს სახელობის ძველი სალოცავი „სდგა მადლობზედ და გარს არტყია დაქცეული ციხე-გალავანი-ქვითკირისა.“*იხ. Институт восточных рукописей Российской академии наук (I WP PAN) фонд №H-78, дело, „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 97.*

წერით; 3. იტრიის ეკლესიის (სურამის აღმასკომის შენობაში) – ფიცარი ნაწილებით, ჩხეიძეების წარწერით,* ბ) ღვთისმშობლის ხატი, ოქროთი მოსილი, 7X9 ვერმ., რომელსაც თავს ადგას ხატი იესო ქრისტესი, ვერცხლისა, ოქროცურვებული 9X6 ვერმ. და გ) დუგმები ქალის სარტყლისა, ქართული; 4. ქარელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში და ადგილობრივ თემის აღმასკომთან ინახება – ა) წმ. ნიკოლოზის ხატი დიდი ტანისა, ვერცხლით მოჭედილი, ვერცხლისავე შარავანდედით, რომელშიც ჩასმულია 62 ძვირფასი თვალი, დიდი ქართული წარწერით, ბ) წმ. ნიკოლოზის ხატი პატარა ტანისა, ვერცხლით (?) მოჭედილი, ხუცური წარწერით, გ) ჩვილადი ღვთისმშობლის ხატი პატარა ტანისა და დ) ვერცხლით მოჭედილი ნაწილებიანი ფიცარი, დიდი ხუცური წარწერით, ხის კუბოში; 5. დირბის თემის სოფ. საღოლაშენის ეკლესიაში – ა) ნაწილებიანი ფიცარი, ვერცხლით მოჭედილი, ხუცური და მხედრული წარწერებით,** ბ) დიდი ვერცხლით

* ჩვენი აზრით სწორედ ამ ხატს აღწერს 1848 წელს იტრიაში ყოფნის დროს დიმიტრი მეღვი-ნეთუხუციშვილი. მისი თქმით ხატის „ძირს და ზურგზე სწერია: მე სასოებით მონდობილ-მან საფარავათა შენთამან გურგასლანიშვილმან ზეჟან და ძეთა ჩვენთა ქაიხოსრო მოვაჰედ-ვინეთ და შევამკვეთ ხატი ესე მრავალნაწილიანი დღეთ ჩვენთა სადღეგრძელოდ და სულისა ჩვენისა საოხად. თვით საყდრის მეტი... (ამ ადგილზე ხელნაწერში არ იკითხება-გ.ს) არა დაგვხდომია... (აქაც გაურკვევლად არის მიწერილი ხელნაწერში – გ.ს) ყველა ჩვენის მოღვაწეობით მოვრთვეთ არც ოდენ ძალ გვედვა და ექვსი კვამლი ჩუმათელიძეები ჩხეი (ხელნაწერში დაბოლოვება არ იკითხება, თუმცა უნდა იყოს ჩხეიძემ-გ.ს) შევაწირვნეთ-ქს(ქორონიკონს), ტნდ(1666)“. იხ. Институт восточных рукописей Российской академии наук (I WP PAN) фонд №H-78, дело, „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 87.

** სოფ. საღოლაშენში 1848 წელს დიმიტრი მეღვი-ნეთუხუციშვილი იხსენიებს ამირე-ჯიბეებისაგან აშენებულ ქვითკირის მცირე ეკლესიას, სადაც დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი მოვარაყებული ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. სიდიდით „ერთი ადლი და ნახევარი ჩარეჟი“. ხატზე მეღვი-ნეთუხუციშვილს ამოუკითხავს წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ დაზიანებული

ნაჭედი ოთხნაწილედ ხატი, ჯვარის სახედ, ხუცური წარწერებით, გ) მიქელ მთავარანგელოზის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, პატარა, ხუცური წარწერით და მაცხოვრის ხატი, დიდი, ვერცხლით შემოსილი და თვლებით შემკული, 130 მისხ. ვერცხლი, სლავიანური [და] ქართ. წარწერებით; 6. გორის აღმასკომის ფინანსურ განყოფილებაში დირბის თემისავე კუთვნილი საეკლესიო ქონებიდან – ა) ჩვილადი ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლით მოჭედილი უცური წარწერით, მეორე გვერდზე, ბ) ვერცხლის ჯვარი დიდი ზომის, ვერცხლისავე ტარით ხუცური წარწერებით, გ) ვერცხლის ჯვარი პატარა ზომისა სომხ. წარწერით, დ) მაცხოვრის დიდი ზომის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, ხუცური წარწერით, ე) წმ. გიორგის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, ქართული წარწერით, ვ) წმ. საბას ვერცხლზე ნაჭედი ხატი, მხედრული და ხუცური წარწერებით, ზ) ხის მკლავი, ვერცხლგადაკრული, უზიანო, ხატზე აცლილი ვერცხლი 5 გ. 71 მისხ. და თ) ჯვარზე აცლილი ვერცხლი, 90 მისხ.; 7. გორის პოლიტიუროში ქვათახევის მონასტრის კუთვნილი ნივთებიდან – ა) ბარძიმი ვერცხლის და ფეშხუმი ასეთივე წარწერით: „За упокой души Царя Георгия царевич Кетеваны, Софьи и кн. Луарсаба“, ბ) ბარძიმი ვერცხლისა, საქართველოს განმგებლის ბატონიშვილის სვიმონის წარწერით და გ) ჯვარი ვერცხლისა არქიმანდრიტ ტარასისაგან შეწირული. ამასთანავე, გაცემული უნდა იქნას სასტიკი გან-

ღვთისმშობლის ხატი ზაზა ამირეჯიბს (მინბაში, ერეკლე მეორის თანამედროვე) განუახლებია. აქვე ყოფილა დაცული ეტრატზე ნაწერი ძველი სახარება. სახარება ულუმბოს ღვთისმშობლისათვის მარიამ დადიანის ასულს(როსტომ მეფის მეუღლე, ქართლის დედოფალი) შეუწირავს. იხ. Институт восточных рукописей Российской академии наук (I WP PAN) фонд №Н-78, дело, „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 92.

კარგულება რათა ზემო-აღნიშნულ ნივთების გადმოტანის დროს არავითარი ზიანი არ მოუვიდეს“.¹ როგორც ჩანს, პარტიის აქტივისტების მიერ გამარცვული ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული ქონების ნაწილი (განსაკუთრებით დიდი ფასეულობის ნივთები), გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მეთვალყურეობით გორის ხაზინაში ინახებოდა. ამას ადასტურებს გორის არქივში დაცული დოკუმენტი: „სია საეკლესიო ისტორიული ნიშნეულობის ნაკრებისა, რომლებიც ჩაბარდა გორის ხაზინას განსაკუთრებული რკინის სალაროში შესანახად. დასახელება ნივთებისა: 1. ხატი მხვთისმშობლის „ჩვილენი ვერცხლით მოჭედილი“; 2. ვერცხლის ჯვარი დიდი ზომისა, ხუცური წარწერით; 3. ვერცხლის ჯვარი პატარა ზომისა, სომხური წარწერით; 4. მაცხოვრის დიდი ხატი ვერცხლზე ნაჭედი ხუცური წარწერით 5. წმინდა გიორგის ხატი ვერცხლზე ნაჭედი ქართულის წარწერით; 6. წმინდა საბას ვერცხლზე ნაჭედი ხატი მხედრული და ხუცური წარწერით; 7. ხის კლავი ვერცხლით გადაკრული; 8. ხატზედ აცლილი ვერცხლი 5 გირ. 71 მისხ.; 9. ჯვარზედ აცლილი ვერცხლი 90 მისხ.; 10. სახარება ვერცხლით მოჭედილი ხელნაწერი ხუცური წარწერით; 11. ქვათახევის მხვთისმშობლის ხატი დიდი...* დედოფალ ხორაშნის წარწერით ვერცხლით ნაჭედი;** 12. წმინდა თევდორეს ხატი ვერცხლით ნაჭედი; 13. მხვთისმშობლის ხატი ვერცხლისა ქართული წარწერით; 14. წმინდა ნიკოლოზის ხატი დიდი ტანისა ვერცხლით

* არ იკითხება, უნდა იყოს „დიდი ტანისა“.

** სავარაუდოდ უნდა ეწეროს „1695 წლისა“.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 187-188.

მოქედელი ჩასმული აქვს 62 ძვირფასი თვალი; 15. წმინდა ნიკოლოზის ხატი პატარა ტანისა, ვერცხლით მოქედელი ხუცური წარწერით; 16. მხვთისმშობლის ხატი, ვერცხლით ნაქედი, პატარა ტანისა, ხუცური წარწერით; 17. ვერცხლით მოქედელი ნაწილებიანი ფიცარი ხის კუბოში (დანარჩენი ნაწილი გამოტოვილია); 18. ბატონიშვილის გამგებლის (დაზიანების გამო სიტყვა არ იკითხება. სავარაუდოდ უნდა იყოს სვიმონი – გ.ს.) წარწერით; 19. ჯვარი ვერცხლისა, არქიმანდრიტ ტარასისაგან შეწირული; 21. ფეშხუმი ვერცხლისა რუსულის წარწერით: „За упокой Царя Георгия“.¹ ეს ნივთები 1923 წლის 27 ოქტომბერს გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულის ა. მარუტოვისაგან ს. ჯანაშიამ ჩაიბარა². ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებულმა ანტირელიგიურმა მოძრაობამ მორწმუნე საზოგადოებაში ძალზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს 1923 წლის აგვისტოში შეტყობინება დაეგზავნა, სადაც აღნიშნული იყო: „საქართველოს სახალხო კომისარტა საბჭოს მოსდის ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი-სარწმუნოებასთან ბრძოლის პროცესის განვითარებაში, მიმართავს ხოლმე მორწმუნეთა ცალკე ჯგუფების, საზოგადოებისა და კერძო მოქალაქეთა წინააღმდეგ ისეთ ადმინისტრაციულ

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, XX საუკუნის 20-იან წლებში, გვ. 186-187.

² გ. სოსიაშვილი, აკად. სიმონ ჯანაშიას შიდა ქართლში მოღვაწეობის უცნობი დეტალები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №2, 2012, გვ. 245.

ლონისძიებას, რაც ხანდახან მოქალაქეთა სარწმუნოებრივ გრძნობას შეზღავნებს. ამგვარი საშუალებით ბრძოლა საუკუნეებით დამკვიდრებულ ცრუმორწმუნოებასთან სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლებლად მიაჩნია, მით უფრო ასეთი ბრძოლა მიზანს ვერ აღწევს“¹. ხელისუფლება პარტიულ აქტივისტებს მოუწოდებდა, რომ მორწმუნეთა ძალადობისაგან თავი შეეკავებინათ. წერილს ხელს აწერდნენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ელიავა, იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი ი. ვარძიელი, სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ნათლად დაინახა, რომ ქვეყანაში გაჩაღებული ანტირელიგიური კამპანიის შედეგად არაერთი ისტორიული ძეგლი ნადგურდებოდა, ამიტომ ადგილობრივ აღმასკომებს ასეთი ძეგლების გადარჩენისაკენ მოუწოდა, ეს განსაკუთრებით ეხებოდა გორის მაზრას. სსსრ სიძველეთა და ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ 1923 წლის 26 ნოემბერს სპეციალური წერილი გაეგზავნა გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს. წერილში ვკითხულობთ:

„რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების დაცვის საგანგებო კომიტეტი მიაქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მსოფლიო მნიშვნელობის სახუროთმოდგერებო ძეგლი (ეკლესია, მონასტერი) ხანგრძლივად დაკეტვის გამო ნესტიანდება, რაიც აზიანებს, როგორც თვით შენობას, ისე შიგ მოთავსებულ განძეულობას და განსაკუთრებით კედლის ფრესკებსა და წარწერებს.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №37, გვ. 60.

აუცილებლად საჭიროა შენობის დაცვა მთლიანად სისტემატიურად მისი დაწმენდა, დასუფთავება, რაიც უნდა მიენდოს აღმასკომის მიერ ნდობით აღჭურვილ მოქალაქეთ.

ამასთანავე, თუ ძეგლი სოფელს დაშორებულია, შესაძლებელია, მისი მოვლა-პატრონობა ჩაბარდეს რომელსამე ანდოყ.* ბერს, წინამძღოლს და სხვ.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, გთხოვთ სათანადო სასწრაფო განკარგულებას.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ა. გეგეჭკორი)

წევრი, სახ. განათლების კომისარი (ი. კანდელაკი)

სამეცნ. დაწეს. და აღმ. გამგე (ვ. ბერიძე)^{“1}

დახურული ეკლესიების მრევლი არ ეგუებოდა ბოლშევიკური ხელისუფლების დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. მთავრობას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მორწმუნეები (მათ შორის გორის მაზრაში მცხოვრებნი) განცხადებებით მიმართავდნენ და გაუქმებული ეკლესიების აღდგენას თხოვდნენ. გორის მაზრაში არაერთი მართლმადიდებელი ტაძრის მრევლმა მიმართა ხელისუფლებას დახურული სალოცავის აღდგენის თხოვნით. მორწმუნეთა განცხადებები იგზავნებოდა იუსტიციის სახალხო კომისრის და საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის – ი. ვარძიელის სახელზე. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 1923 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მას შემდეგ რაც მთავრობამ ეკლესიის მიმართ ლიბერალური პოლიტიკის გატარება და-

* სავარაუდოდ უნდა ეწეროს ყოფილ ბერს.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 226.

იწყო. 1923 წლის 23 ოქტომბერს ი. ვარძიელმა წერილობით მიმართა გორის მაზრის აღმასკომს და მორწმუნეთა განცხადებების დაკმაყოფილება დაავალა. განცხადებები დახურული ეკლესიების გახსნას შეეხებოდა. წერილში ვკითხულობთ:

„გორის მაზრის აღმასკომს.

გიგზავნით რა ამასთანავე ქ.გორის, სოფ. ძღვეის ჯვარის, ფხვენისის, ატოცის, ქ. ხაშურის, სოფ. ხანდაკის, წრომის, ნადარბაზევის, ვაკე-პანტების და სხვ. მორწმუნეთა მცხოვრებლებს განცხადებებს ეკლესიის გახსნის შესახებ, იუსტიციის სახალხო კომისარიატი გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი, ამასთანავე უნდა იხელმძღვანელოთ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ა.წ. 28 სექტემბრის №222 გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ ინსტრუქციით და ფორმალურ ხელშეკრულებით და წესდებით, რომელიც გადმოგეზავნათ თქვენ ა.წ. 22 სექტემბერს №15460 მომართვით.

მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა უკეთუ იგი არ შეიწყნარებს შუამდგომლობას, უნდა, ვიდრე მორწმუნეთ უარს გამოუცხადებდეს, მთელი მასალა გადაგზავნოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიას საეკლესიო საქმეთათვის, თანახმად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ა.წ. 28 სექტემბრის თარიღით და №100/ს. გაცემული განკარგულებისა.

იუსტიციის სახალხო კომისარი და საეკლესიო

საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ი. ვარძიელი¹

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 223.

ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა 1924 წლის თებერვალში ი. ვარძიელმა გორის მაზრის აღმასკომს. წერილში საუბარი იყო გორის მაზრის სოფლების: ზემო ჭალის, არბოს და ლამისყანის მორწმუნეთა განცხადებების დაკმაყოფილებაზე და აღნიშნულ სოფლებში დახურული ეკლესიების გახსნაზე“.¹

1923 წლის 10 აგვისტოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ მოქალაქეებს რელიგიური რწმენის თავისუფლება ეძლეოდათ. ამ განკარგულების გამოცემის შემდეგ 1923 წლის 29 აგვისტოს ქ. გორის სობოროს და ოქონის ეკლესიის მრევლმა ერთობლივი წერილით მიმართა ხელისუფლებას და დაკეტილი ეკლესიების გახსნა ითხოვა: „ვიღებთ რა ამ ბრძანებას მხედველობაში, ჩვენ ქვემოთე ამის ხელის მომწერნი გორში მცხოვრებნი ქრისტიან მართლმადიდებელნი მოქალაქენი – შეერთებული ყოფილი სობოროს და ოქონის ეკლესიის მრევლნი მოგმართავთ შემდეგი თხოვნით: გაღებულ იქნას დაკეტილი ოქონის ეკლესია, გადაეცეს მართლმადიდებელი ეკლესიების კუთვნილი ნივთები და სამკაულები მრევლის საბჭოს წევრებს და ამით მოგვეცეს საშუალება აღვადგინოთ წირვა-ლოცვა ჩვენი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“.²

განცხადებას ხელს აწერდა 416 მორწმუნე.

1923 წელს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცელებზე (№222), გამოქვეყნდა მთავრობის დეკრეტი, რომელიც მორწმუნეებს

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 232.

² იქვე, გვ. 392.

რელიგიურ საზოგადოებათა დაარსების საშუალებას აძლევდა. მთავრობის ცირკულარზე დაყრდნობით მორწმუნეებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება და ამის შედეგად არაერთი რელიგიური საზოგადოება დაფუძნდა. მთავრობის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებადართვის გაცემის წესის შესახებ. 1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეებს, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტისა „იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ, და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეთვალყურეობის წესი (იხ. „კომუნისტი“ №165), შეუძლიანთ მოაწყონ საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებანი და მოსახმარად მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისთვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება. შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების ან უკვე არსებული მრევლის წარმომადგენლები ტაძარს (სამლოცველო სახლს) და ქონებას უფასო სარგებლობისათვის მიიღებენ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 15 თარიღით და მე-21 ნომრით გამოცემული დეკრეტის 15 მუხლის თანახმად, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, რომლის ფორმაც ამ ინსტრუქციას აქვს დართული.

2. ზემოაღნიშნული რელიგიური და საეკლესიო საზოგადოებანი უნდა გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის ივლისის 7 დეკრეტის თანახმად, არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, რა კულტისაც უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან დაიწყოს მოქმედება, უკეთეს მისი რეგისტრაცია არ მოხდება მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მართველობის განყოფილებაში.

4. მოქალაქენი, რომელთა სურთ დაარსონ რელიგიური საზოგადოება, მოვალენი არიან მართველობის განყოფილებას, რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან (სამ ცალად), წარუდგინონ სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების დამფუძნებელია კრების ოქმი; ბ) საზოგადოების წესდება; გ) დამფუძნებელთა სია, სადაც მოყვანილი იქნება ცნობები შემდეგი ფორმით: 1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდა რვოლუციამდე, 6) ქონებრივი მდგომარეობა, 7) როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს, 8) საღერბო გადასახადი დაწესებული რაოდენობისა.

5. ამა ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურად არსებული რელიგიური საზოგადოება მოვალეა რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად (3 ცალად), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარუდგინოს სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების წესდება ბ) საზოგადოების და მისი აღმასრულებელი ორგანოს წევრების სია, რომელიც ამა ინსტრუქციის მესამე მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული ფორმით უნდა იქნას შედგენილი, გ) სია მღვდლებისა და სხვა არჩეული პასუხისმგებელი პირებისა, იმ ფორმით, რომელიც მესამე მუხლის „გ“ პუნქტშია ნაჩვენები.

შენიშვნა: უკეთუ მრევლს, წრეს და სხვ. წესდება არ ექნება იგი შედგენილ უნდა იქნას იმ სანიმუშო წესდების მიხედვით, რომელიც ამა ინსტრუქციას აქვს დართული.

6. მართველობის სათანადო განყოფილებამ რეგისტრაციაზე უარი უნდა უთხრას ფაქტიურად არსებულ ან ახლად დაარსებულ რელიგიურ საზოგადოებას, უკეთუ: 1) სასამართლოს მიერ უფლებებში არ შეზღუდულ მის წევრთა ან დამფუძნებელთა რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთაგან 300 კაცზე ნაკლებია; 2) სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება საზოგადოებისა, მისი მიზნები და მოქმედების მეთოდები ეწინააღმდეგებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციას და მის კანონებს.

შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც მცირე და გაფანტული მოსახლეობაა, წევრთა რიცხვი შეიძლება ნაკლებიც იყოს, მაგრამ არა ნაკლებ 50 კაცისა.

7. უკეთუ რეგისტრაციის დამაბრკოლებელი პირობები არ აღმოჩნდება, მართველობის განყოფილება აძლევს საზოგადოებას წესდების ცალს ზედწარწერით, საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ და ბეჭედს, რომელიც რელიგიური საზოგადოების საქმეებთან ინახება.

8. ამა დადგენილების გამოცემამდე ფაქტიურად ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ამა ინსტრუქციის გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში აღნიშნული წესით რეგისტრაციას არ მოახდენს, დახურულად ჩაითვლება.

9. ერთისა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიანთ მოაწყონ ადგილობრივი ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტში („კომუნისტი” №165) და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის 1923 წლის 17 ივლისის ინსტრუქციაში („კომუნისტი” №170).

10. რელიგიურ საზოგადოებათა ადგილობრივ და სრულიად საქართველოს ყრილობებს შეუძლიანთ აირჩიონ აღმასრულებელი ორგანოები: ცნობები მათ შესახებ, მესამე მუხლის „გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმის დაცვით, უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

11. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებს და მათ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლიანთ: 1) დააწესონ იძულებითი გადასახადი; 2) ფლობდნენ საკულტო ქონებას ან მიიღონ ასეთი ქონება ხელშეკრულებით; 3) შეჰკრან რაიმე ხელშეკრულება ან გარიგება.

12. რელიგიურ საზოგადოებათა, ყრილობათა და მათ შემაკავშირებელ ორგანიზაციათა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს.

13. ყოველი რელიგიური საზოგადოება ექვემდებარება საზოგადო დებულებათ კერძო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ. მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან იგი განირჩევა იმით, რომ არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და საკუთრების უფლება არა აქვთ.

14. ყოველგვარი კულტის რელიგიური საზოგადოებანი უფლებათა და მოვალეობათა მხრივ თანასწორნი არიან და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით და სუბსიდიით არც სახელმწიფოსაგან და არც მის ადგილობრივ და ავტონომიურ დაწესებულებათაგან.

15. რელიგიური საზოგადოების წევრებს ან მათ რწმუნებულებს შეუძლიანთ ნებაყოფლობითი შემოწირულობის შეკრეფა საკულტო ქონების სარგელობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, როგორც არის: გათბობა, დაცვა, სუფთად შენახვა ამ ქონებისა და სხვა, აგრეთვე შეკეთება საკულტო შენობისა.

16. თუმცა რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საკუთრების უფლება, მაგრამ მას მაინც შეუძლიან კერძო-უფლებრივი ხასიათის ისეთი გარიგების დადება, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების სარგებლობასთან, მაგალითად, ხელშეკრულების დადება მაგალობელთა დაქირავების, შეშის მოწოდება-მოტანის წიგნების შეკეთების და სხვათა შესახებ.

შენიშვნა: ამ გვარი გარიგების შინაარსად არ შეიძლება იყოს ისეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუნდაც კულტთან დაკავშირებული, რომელიც სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებს მისდევდეს, როგორც არის: იჯარა სანთლის ქარხნისა, სტამბისა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნების დასაბეჭდავად და სხვა.

17. თავიანთ საზოგადო კრების და დადგენილებათა შესასრულებლად, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის მოქალაქეებს, საჭიროების დაგვარად, შეუძლიანთ დანიშნონ კულტის მოსამსახურენი და თავიანთ წრიდან გამოყონ საჭირო რიცხვი რწმუნებულებისა, რომელთაგან თვითეული იმოქმედებს მისთვის მიცემული რწმუნების ფარგლებში.

შენიშვნა: კულტის მოსამსახურეთა და სხვა პასუხისმგებელ პირთა სიები ცნობების ზედ დართვით უნდა წარედგინ-

ნოს მართველობის განყოფილებას ამა ინსტრუქციის მესამე „გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმით.

18. რელიგიურ საზოგადოებათა დახურვის წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ტალახაძე

სექტემბერი 1923 წელი
ტფილისი”¹

ამ დადგენილებასთან ერთად ხელისუფლებამ რელიგიურ საზოგადოებათა წესდების ნიმუშიც დაამტკიცა.²

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა გორის მაზრაში არაერთი რელიგიური საზოგადოება დაარსდა. 1923 წლის 20 დეკემბერს ჩატარდა ქ. გორის საკათედრო ტაძრის რელიგიურ საზოგადოების კრება, რომელსაც უნდა მიეღო წესდება და აერჩია სამრევლო საბჭო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი, რომელიც შეთავსებით სამრევლო საბჭოს წევრიც გახდა. მასთან ერთად საბჭოს წევრებად აირჩიეს: ნიკო მახარაშვილი და ანტონ მაკალათია. ამავე საბჭოში შევიდნენ „არჩევის კრებულის წევრნი“: დეკ. ანტონ კასრაძე, მღვდელი იოანე სალარიძე, მღვდ. ალექსანდრე ტლაშაძე, პროტოდიაკონი მიხეილ გონგლაძე, იაკობ ეგნატაშვილი.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, გვ. 14.

² იქვე, გვ. 13.

კრებას ესწრებოდა გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი არტაშ მესროპის ძე მარუტოვი.¹ სამრევლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დეკანოზი ანტონ კასრაძე, რომელსაც დაევალა ხელისუფლებისათვის დასამტკიცებლად წარედგინა საზოგადოების წესდება. რელიგიური საზოგადოება გორში საკათედრო ღვთაებისა და ოქონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრების მრევლთა ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა. სულ ამ საზოგადოებაში 18 წლის ზემოთ გაერთიანებული იყო 347 მორწმუნე.² წესდების დამტკიცების შემდეგ ხელისუფლების გადაწყვეტილებით გორელ მართლმადიდებლებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისაგან (წარმომადგენელი ს. ცხოვრებაშვილი) დაუბრუნდათ საეკლესიო ნივთები, სულ 125 დასახელების ნივთი (ხატები, ჯვრები, საეკლესიო წიგნები და სხვ.).³ პარტიული აქტივისტების მიერ გამარცხული ეკლესიებიდან წამოღებული ნივთების გარკვეული ნაწილი კვლავ აღდგენილ ეკლესიებს გადაეცა, ხოლო საეკლესიო ნივთების ერთი ნაწილი გორის მაზრის ხელმძღვანელობას დარჩა. მათ ცენტრალური ხელისუფლებისაგან ამ ნივთების რეალიზაციის ნებართვა ითხოვეს, რაზეც თანხმობა მიიღეს. სახალხო კომისართა საბჭოდან გორის მაზრის აღმასკომში გამოგზავილ წერილში ვკითხულობთ: „სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო თქვენი შუამდგომლობა გორის მაზრაში ეკლესიებისათვის

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 255.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №51, გვ. 1-17.

³ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №51.

ჩამორთმეული ქონების დაბრუნების, შემდეგ თქვენს განკარგულებაში დარჩენილ ნივთების გაყიდვის ნებართვის შესახებ გორში გლეხთა სახლის აშენების საჭიროებისათვის. ვინაიდან შუამდგომლობას არ აქვს დართული ცნობა იმის შესახებ, თუ რა ნივთები უნდა იქნეს დატოვებული თქვენს განკარგულებაში გორში გლეხთა სახლის აშენების საჭიროებისათვის, გთხოვთ სასწრაფოდ გადმოაგზავნოთ აღნიშნული ნივთების დაწვრილებითი სია. საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე¹. გორის მაზრის აღმასკომის ხელმძღვანელობამ სახალხო კომისართა საბჭოში დამატებით გაგზავნა წერილი საეკლესიო ნივთების რეალიზაციის ნებართვის შესახებ და განმარტა რა სახის ნივთების რეალიზაციაზე იყო საუბარი. წერილში აღნიშნულია: „ქ. გორის ეკლესიების დაბრუნების შემდეგ დარჩა ორი ფუთი და ათი გირვანქა ჯართი ვერცხლი, როგორც მაგალითად დანტვრეული ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა, რომლების ჩაბარებაც, როგორც სრულებით გამოუსადეგრებისა ეკლესიის მზრუნველებმა არ მოისურვეს და კიდევ ძველი ხალიჩები და ფარდები რიცხვით 32 ცალი, რომლებიც დავაკავეთ როგორც ეკლესიისათვის ზედმეტი ფუფუნების საგნები. მოგახსენებთ, რა ზემოხსენებულს განმეორებით გთხოვთ აღნიშნული საგნების რეალიზაციის ნებართვას“². როგორც აღვნიშნეთ, 1923 წლის დეკემბერში გორში შეკრებილმა მართლმადიდებლებმა რელიგიური საზოგადოება დააარსეს. მაზრაში ასეთივე რელი-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, გვ. 1.

² იქვე, გვ. 2.

გიური საზოგადოებები შეიქმნა: ბორჯომში, დოესში, ატოცში, შინდისში, ხანდაკში, ხვედურეთში, კასპში, დირბში და სხვ. გორის მაზრაში რამდენიმე ეკლესია გაიხსნა. ეს იყო, როგორც მართლმადიდებელთა ტაძრები, ისე სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობათა სალოცავები. გორის არქივში დაცულ დოკუმენტში, რომელიც 1923 წლით თარიღდება ვკითხულობთ: „სია გორის მაზრის ფარგლებში გახსნილი ეკლესიებისა, რომელთაც აქვთ ნებართვა წირვა-ლოცვისა. „ქ. ბორჯომის ქართველთა რელიგიური საზოგადოების ივანე ნათლისმცემლის სახელობაზე ეკლესია; ქ. გორი ქართველთა რელიგიური საზოგადოების ოქონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, ქ. გორი სომეხთა რელიგიური საზოგადოების წმ. სტეფანეს სახელზედ ეკლესია; დ. ქარელი ებრაელთა რელიგიური საზოგადოების სალოცავი; ქ. გორი ებრაელთა რელიგიურ საზოგადოების სალოცავი; ს. ურბნისი ქართველთა რელიგიური საზოგადოების წმ. სტეფანეს სახელობაზე საკათედრო ტაძარი; დ. სურამი ებრაელთა რელიგიური საზოგადოების სალოცავი; ს. ატოცი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესია; დ. ქარელი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წყარო ცხოვრებისა სახელობაზე ეკლესია. ს. შინდისი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესია. დ. ახალქალაქი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. თეოდორე ტირონის სახელობაზე ეკლესია; ქ. ბორჯომი სომეხთა რელიგიურ საზოგადოების წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესია. ს. კასპი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. თეოდორე ტირონის სახელობაზე ეკლესია; დ. ახალქალაქი სომეხთა რელიგიურ საზოგადოების მღვთისმშობლის სა-

ხელობაზე ეკლესია; ს. ქვემო ხანდაკი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია; ს. ხვედურეთი ქართველთა რელიგიური საზოგადოების მღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია; ს. დირბი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. თეოდორე ტირონის სახელობაზე ეკლესია; ს. ზემო-ნიქოზი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების ამაღლების სახელობაზე ტაძარი; ქ. გორი კათოლიკების რელიგიური საზოგადოების ეკლესია (დოკუმენტში წერია „ეკლესიის და შემდეგ გამოტოვილია – გ.ს.)¹. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი მორწმუნეებს რელიგიური საზოგადოებების დაარსების საშუალებას აძლევდა. ადგილობრივი თემების ხელმძღვანელები მართლმადიდებელი მორწმუნეების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ და დახურული ეკლესიების ამოქმედების უფლებას არ აძლევდნენ. ამას ადასტურებს სოფ. ძლევისჯვარში მცხოვრებ მორწმუნეთა განცხადება, რომლითაც მრევლმა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს მიმართა. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს

გორის მაზრის სოფ. ძლევის ჯვარში მცხოვრებთა რწმუნებულების სოსე გიგოს ძე გამრეკელოვის და ალექსი ანდროს ძე შერეზადაშვილის

თხოვნა

როდესაც ჩვენს სოფლამდის მიაღწია ცნობამ, რომ უმაღლესმა მთავრობამ გამოსცა ცირკულარი სარწმუნოების შესა-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, გვ. 21.

ხებ, შევიკრიბეთ მთელი სოფელი, ვიქონიეთ მსჯელობა და სამი კაცის გამონაკლისით დავადგინეთ აღძვრად შუამდგომლობა ადგილობრივ ხელისუფლების წინაშე რათა გაეხსნათ ჩვენთვის ეკლესია და ნება მიეცათ სარწმუნოებრივი წესის აღსრულებისა, მაგრამ დირბის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს მოქალაქე მიხეილ ჭყოიძეს ეს არ მოეწონა და არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ ამ საგნის შესახებ მან არ იცის მთავრობის არავითარი განკარგულება. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ მოქალაქე ჭყოიძეს მართლაც არ სცოდნოდა მთავრობის ცირკულიარი, მოთავსებული ყველა გაზეთებში, მით უმეტეს რომ თვით ცირკულიარი მიმართულია და იწყება შემდეგი სიტყვებით: „ყველა სოფლების, ქალაქების და თემების აღმასრულებელ კომიტეტებს“.

ცხადია, რომ ჭყოიძეს გაზეთშიც რომ არ წაეკითხა ცირკულიარი მას უეჭველად ცალკე მიუვიდოდა ეს განკარგულება, მაგრამ ჭყოიძე ალბათ განზრახ იჩენს ამ შემთხვევაში უცოდინარობას და არ აკმაყოფილებს ჩვენ სულიერ მოთხოვნილებას. ჩვენ გვწამს ეკლესია და არ გვესმის ვის რას დაუშლით ამ ჩვენის რწმენით?! ჩვენ მზათა ვართ ერთგულად ვემსახუროდ მთავრობას, მოვიხადოთ რესპუბლიკის წინაშე ყოველივე მოქალაქეობრივი მოვალეობა და სამაგიეროდ ვითხოვოდ მთავრობის მფარველობა ყოველივე კანონის არა საწინააღმდეგო შემთხვევებში. აი სწორედ ამ მოსაზრებით მოგმართავთ თქვენ, მოქალაქე პროკურორო, უმორჩილესი თხოვნით გასცეთ განკარგულება დაუყოვნებლივ გაგვეხსნას ჩვენი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ეკლესია, ხოლო ვინც ხელს გვიშლის ამაში მიცემულ იქმნას პა-

სუხისმგებლობაში თანახმად ზემოაღნიშნული ცირკულარი-სა ეკლესიის და მის მსახურთა შენახვაში ჩვენ არავის არ შე-ვაწუხებთ და თვითონ გაუძღვებით ყოველივე მის მოთხოვ-ნილებას. ამასთანავე წარმოვადგენთ სოფლის განაჩენს. სოსე გამრეკელოვი და ალექსი შერეზადაშვილი, რადგან მათ წერა არ იციან, მათი თხოვნით ხელს ვაწერ ცერცვაძე 11 სექტემ-ბერს 1923 წ.“¹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალური ხე-ლისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ეკლესიის მიმართ პოლიტიკა შეარბილა, ადგილობრივი მაზრების აღ-მასკომები მაინც არ აძლევდნენ მორწმუნეებს თავისუფალი შეკრების და რელიგიური რიტუალის ჩატარების საშუალე-ბას. სწორედ ამიტომ მორწმუნეთა განცხადებები იგზავნებო-და იუსტიციის სახალხო კომისარიატში. 1923 წლის 21 დე-კემბერს იუსტიციის სახალხო კომისარმა ი. ვარძიელმა, რო-მელიც იმავდროულად საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯ-დომარეც იყო, გორის მაზრის აღმასკომს სპეციალური წე-რილი გადაუგზავნა და დავალება მისცა, რათა მორწმუნეთა-თვის შეკრებების ჩატარების უფლება მიეცათ. წერილში ვკი-თხულობთ:

„გორის მაზრის აღმასკომს.

როგორც მორწმუნეთა მიერ შემოსულ განცხადებიდან სჩანს მაზრის აღმასკომები ნებას არ აძლევენ უკანასკნელებს კრებების შედგენისათვის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები ა/წ. 28/9 ინსტრუქციის (იხ. „კომუ-ნისტი“, №2, 28/9) პირობათა შესრულებისათვის რელიგიურ

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონ-დი №3, აღწერა №1, საქმე, №54, გვ. 3.

საზოგადოებათა ორგანიზაციის და რეგისტრაციის შესახებ ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიის ა/წ. 11 დეკემბრის დადგენილების თანახმად, წინადადება გეძლევათ მიიღოთ ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ, რომ აღნიშნული კრებები, უკეთუ ასეთებს არა აქვთ სახეში სხვა რაიმე მიზანი არ უნდა აკრძალულ იყვნენ და მორწმუნეთა უნდა მიეცეთ საშუალება. თანახმად აღნიშნულ ინსტრუქციის მე..... (გამოტოვილი ციფრი არ იკითხება) პუნქ. იმსჯელონ, სარწმუნოებრივ საჭიროებასთან დაკავშირებით საკითხებზე.

იუსტიციის სახალხო კომისარი და

საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე – ი. ვარძიელი

დედანთან სწორეა: მდივანი (არ იკითხება)¹

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული ლიბერალური პოლიტიკა 1923 წლის სექტემბრის მთავრობის დეკრეტის შემდეგ მოჩვენებითი იყო, რადგან დახურული ეკლესიების ნაწილი მორწმუნეებს აღარ დაუბრუნდათ და ბევრი მათგანი საყოფაცხოვრებო შენობებად გამოიყენეს. ამას ადასტურებს გაზეთ „წითელ ქართლში“ გამოქვეყნებული ვინმე გლეხკორ სერნარის (ფსევდონიმია, მისი ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია – გ.ს.) წერილი „გვეღირსა თეატრის გაკეთება“, სადაც კვითხულობთ: „წრეულს გვეღირსა მუდმივი თეატრი რუისის რაიადმასკომის და დირბის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გემიაშვილის თაოსნობით გადაკეთებულ იქნა თეატრად

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 228-229.

ეკლესია. სცენა და დარბაზი თუმცა პატარაა, მაგრამ ჯერჯერობით სავსებით დამაკმაყოფილებელია და წოწილი ერთი ადგილიდან მეორეზე აცილებულია“.¹

აღსანიშნავია, რომ ეკლესიების გადაკეთება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულებებად, ან კულტურულ ნაგებობებად ადგილობრივი აღმასკომების გადაწყვეტილებით ხდებოდა, რაც შემდეგ უთანხმდებოდა საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიას. ამას ადასტურებს აღნიშნული კომისიის 1923 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმი. სხდომის თავმჯდომარეები იყვნენ: ი. ვარძიელი და ნ. ოკუჯავა, წევრი: ტალახაძე. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქ. ხაშურში ეკლესია გადაკეთებული იყო ლიბკნეხტის კლუბად. მორწმუნეებმა თხოვნით მიმართეს გორის მაზრის აღმასკომს, რათა მათთვის ეკლესია დაებრუნებინათ. აღმასკომის ხელმძღვანელობამ მრევლს უარი უთხრა და აღნიშნული საკითხი შესათანხმებლად ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიას გადაუგზავნა. კომისიამ დააკმაყოფილა გორის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა და ხაშურელ მორწმუნეებს საბოლოოდ უარი ეთქვათ ეკლესიის დაბრუნებაზე.²

ბოლშევიკური ხელისუფლება მოსახლეობაში ქრისტიანული ტრადიციების ამოძირკვას და მათ ნაცვლად კომუნისტური წესების დამკვიდრებას ცდილობდა. ქრისტიანული ნათლობა კომუნისტურმა ჩაანაცვლა. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზ. „წითელი ქართლი“.

¹ გაზ. „წითელი ქართლი“, №2(17) 18 იანვარი, 1925, გვ. 3.

² საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), გვ. 225.

ვ. კიცხელის წერილში მოთხრობილია გორის მაზრის სოფელ კარალეთში ჩატარებულ კომუნისტური ნათლობის შესახებ. წერილში ვკითხულობთ: „ამა წლის, 16 ნოემბერს ს. კარალეთში ქ. გორიდან ამოვიდნენ ჩვენი სოფლის საშეფო კომისიის წევრები შ. ბენიაშვილი და კ. დავიდოვი. მათ მოიწვიეს საერთო კრება, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი სოფელი. ამხ. ბენიაშვილმა მდაბიო ენით გააცნო გლეხკაცობას, ის თუ რა განსხვავება არის წინანდელ და ახლანდელ ნათლობას შორის. გლეხკაცობა დაინტერესებული უსმენდა მომხსენებელს, სიტყვის დამთავრების შემდეგ დაიწყო კომუნისტური ნათლობა. ნათლობის დასაწყის ადგილობრივ მოწაფეთა გუნდმა იმდერა ინტერნაციონალი. მონათლულ ბავშვთა რიცხვი იყო სულ 50. უმრავლესობა მოინათლნენ ჩვენი ბელადების სახელებით. ერთი მათგანი მოინათლა ქ. გორის რკინიგზელთა მუშა-მოსამსახურეთა კომუჯრედის სახელით, რომელსაც დაერქვა ვარლენინი, მეორე ადგილკომის სახელით, რომელსაც დაერქვა სპარტაკი, შემდეგ ბავშვები დაასაჩუქრეს მიტკლით და ტილოს სახალათეებით. დიდ მადლობას ვუძღვნით საშეფო კომისიას, იმედია ჩვენი კავშირი უფრო განმტკიცდება. ვ. კიცხელი“.¹

მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული ლიბერალური დამოკიდებულება მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. სინამდვილეში ხელისუფლება ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ვერაგ პოლიტიკას ახორციელებდა, რაც მომდევნო წლებში საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმაც ცხადყო.²

¹ გაზ. „წითელი ქართლი“, №13, 7 დეკემბერი, 1924, გვ. 2.

² ჯ. გამახარია, წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბ., 2011, გვ. 29.

რელიგიური უმცირესობები შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში

ათეისტური ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიები მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად დაატყდა ასევე სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებს. ბოლშევიკებმა გააუქმეს ებრაელთა სინაგოგებიც. ცნობილია, რომ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებს საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შეუზღუდავად შეეძლოთ თავიანთი წეს-ჩვეულებების განხორციელება. ქართული საზოგადოება არასოდეს ახდენდა რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დისკრედიტაციას, თუმცა, ეს დამოკიდებულება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა. ბოლშევიკებისთვის ყველა რელიგიური კონფესია მიუღებელი აღმოჩნდა. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მართლმადიდებელი ეკლესიის, თუ სხვა რელიგიური უმცირესობების მიმართ განხორციელებული ძალადობა დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებული თემა იყო. ქვეყანაში არსებული იდეოლოგიიდან გამომდინარე ამ მხრივ შეჩერებული იყო ყოველგვარი სამეცნიერო კვლევა.¹

კათოლიკური ეკლესია

შიდა ქართლში კათოლიკური ეკლესიის არსებობა საკმაოდ შორეულ წარსულს უკავშირდება. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით კათოლიკე მისიონერები გორში ჯერ კი-

¹ G. Sosiashvili, educational aspect of the „Red Terror” against religions confession exiting in Georgia, International Conference on education and learning technologies, Barselona, 2013, Edulearn 13 Abstracts – ISBN: 978-84-616-3823-9.

დევ XV საუკუნეში დამკვიდრებულან. რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი როტე ვატიკანში 1819 წელს გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ მას უნახავს კათოლიკე მისიონერების მიერ XV საუკუნეში გორში სახლების ნასყიდობის საბუთები¹. კათოლიკე მისიონერების, კერძოდ, ავგუსტინელების გამოჩენა გორში აქტიურად დაიწყო XVII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც გორში მყოფ თეიმურაზ I კათოლიკე ბერმა ამბროსიო დუმ ანჟუსმა და მორჩილმა პედრო დუმ სანტომმა ქეთევან დედოფლის ნებუთის ნაწილი გადასცეს.² თეიმურაზმა ავგუსტინელებს გორში ადგილი უბოძა, სადაც კათოლიკეებმა მონასტერი და სახლი ააშენეს³. XVII საუკუნის 20-იან წლებში გორში მოღვაწეობდნენ ასევე თიატინელები. რომის პაპის ურბან VIII ბრძანებით 1627 წ. სჯულის პროპაგანდის კონგრეგაციამ საქართველოში რამდენიმე პატრი გამოგზავნა, მათ შორის: პიეტრო ავიტაბილე, ფრანჩესკო დაპრილე და ჯაკომო დი სტეფანო. თიატინელებს თეიმურაზ I ბრძანებით სახლი და ეკლესია გადასცეს. მოსახლეობაში ისინი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ თავიანთი ქადაგებებით, თუ ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარებით⁴. თიატინელებმა გორში წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი ააგეს, რასაც რომის პაპი დიდი კმაყოფილებით შეხვდა⁵. XVII

¹ ე. მამისთვალისვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994, გვ. 304.

² იქვე, გვ. 306.

³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 60.

⁴ ე. მამისთვალისვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994, გვ. 308.

⁵ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 120.

საუკუნის II ნახევარში გორში კაპუცინელი მისიონერებიც იმყოფებოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა პატრი ჯუსტინო ლივორნოელი. კათოლიკეების ქონება ამ დროს მიტაცებული ჰქონდათ გორში მყოფ სომეხ მღვდლებს. კაპუცინელები საკუთრების უკან დაბრუნებას ითხოვდნენ¹. კაპუცინელების მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო. მათ ფეოდალური არისტოკრატის ბევრი წარმომადგენელი გადაიბირეს. თუმცა, კაპუცინელების წარმატებული საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელდა. როგორც XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი გადმოგვცემს, მალე კათოლიკეებს მრევლიც შეუმცირდათ და შემოსავალიც.² აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ 1668 წელს პატრი კარლო რომში გაგზავნილ წერილში იუწყებოდა გორში არსებულ კათოლიკეთა ქონების შესახებ. მისი ინფორმაციით გორში 20 წლის წინ, ე.ი. 1648 წლისათვის ავგუსტინელ ბერებს ჰქონდათ ერთი ეკლესია, რომელიც იმ დროისათვის დედოფალს ეკუთვნოდა. პატრი კარლო ასევე აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის I ნახევარში გორში თიატინელი მისიონერების ეკლესიაც არსებობდა. კათოლიკე ბერი იმედს გამოთქვამდა, რომ მისიონერებს თავიანთი ქონება მალე დაუბრუნდებოდათ, მათ შორის გორში არსებული ავგუსტინელი პატრების ეკლესია, მონასტერი და ბაღი.³ კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობა გორში მკვეთრად გაუარესდა XVIII საუკუნის 50-იან წლებში. თეიმურაზ II ბრძანებით კათოლიკე ბერებს ეკლესია და სახლი ჩამოერთვათ და

¹ ე. მამისთვალისვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994, გვ. 321.

² ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 274.

³ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

მათი ქონება არქიეპოსკოპოზს გადაეცა. ამ პერიოდში გორელი კათოლიკეები წირვა-ლოცვას ზუბალაშვილების* სახლში ატარებდნენ.¹ 1767 წ. ერეკლე II ბრძანებით ახალციხის უფროსმა პატრმა ალოიზიმ გორ-ში გამოგზავნა პატრი გიორგი თურანელი. კათოლიკეებს გორში ეკლესიის ასაშენებლად ადგილი უბოძეს. მალე გიორგი თურანელი ერეკლეს ბრძანებით თბილისში გადაიყვანეს, მის მაგივრად კი გამოგზავნეს პატრი ანდრია. ეკლესია დაუსრულებია პატრ მარიუსს, რომელიც 1823 წელს გარდაიცვალა და კათოლიკე სასულიერო პირი ეკლესიაში საკურთხეველის წინ დაკრძალეს.² 1805 წლის 28 თებერვლით დათარიღებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში 4 კათოლიკუ-

* გორელ ზუბალაშვილებს განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდათ კათოლიკური ეკლესიის წინაშე. პატრი დამიანე ვიარჯიელი 1843 წელს რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა ზუბალაშვილების დიდ ამაგზე კაპუცინელთა ორდენის მიმართ. წერილში აღნიშნულია: „გორის მშვენიერი ეკლესია უმეტესად მათის ხარჯით აშენებული და შემკულია“ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 2011, გვ. 520. ზუბალაშვილების დამსახურებას კათოლიკეთა მიმართ ადასტურებს კიდევ ერთი ფაქტი. XX საუკუნის 40-იან წლებში კაპუცინელები სომეხი კათოლიკეების დასმენით მეტისმეტად შეავიწროვა რუსეთის ხელისუფლებამ. მიუხედავად მთავარმართებელ ნეიდგარტის მხარდაჭერისა ისინი სასტიკად იდევნებოდნენ. კაპუცინელი ბერები გორში მცხოვრებმა იაკობ ზუბალაშვილმა თავის სახლში შეიფარა. იქვე, გვ. 525. ზუბალაშვილების მზრუნველობა გორში არსებული კათოლიკური ტაძრის მიმართ XX საუკუნეშიც გაგრძელდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1914 წელს გორში მცხოვრებმა კათოლიკეებმა ლევან ზუბალაშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს. ამის შესახებ გაზეთი „ახალი ქართლი“ წერდა: „გორის ქართველთა კათოლიკეებმა შაბათს 13 დეკემბერს გადაიხადეს პანაშვიდი ლ. ზუბალაშვილის სულის მოსახსენებელად. პანაშვიდის დაწყებამდე პატრმა ლევან აფრიაშაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა“. იხ. გაზ. „ახალი ქართლი“, №7, 18 დეკემბერი, 1914 წელი, გვ. 2-3.

გორელი კათოლიკეების წინამძღვარი თავის წარმოთქმულ სიტყვაში ხაზს უსვამდა ლევან ზუბალაშვილის დამსახურებას კათოლიკური ეკლესიის წინაშე. იქვე, გვ. 3.

¹ ე. მაისთვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

² იქვე, გვ. 332.

რი ეკლესია იყო: 2 თბილისში, 1 გორში და ერთიც ცხინვალში.* თავადმა ჩარტორიისკიმ წერილი გაუგზავნა პატრ ფრანჩესკო დე პადუჰს. ჩარტორიისკი რომის კათოლიკურ სასულიერო კოლეგიას სთხოვდა, რომ საქართველოში გამოეგზავნა ახალგაზრდა კაპუცინები, რომლებიც მალევე შეისწავლიდნენ ქართულ ენას, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსი თავადი აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკური ეკლესიების დახურვის საფრთხეს ხედავდა.¹ პატრი ფილიპე ფორანოელი 1814 წელს გორში კათოლიკეების ეკლესიის ნაცვლად „კარგად მოწყობილ სახლს“ იხსენიებს.^{2**} 1920 წლის თებერვლის მიწისძვრამ გორში არაერთი სალოცავი ნანგრევებად აქ-

* სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ცხინვალში მცხოვრებ კათოლიკეებს პატრი არ ჰყავდათ და წირვა-ლოცვას წელიწადში რამდენჯერმე ატარებდა გორიდან ამოსული სასულიერო პირი; AKAK, т. II, стр. 283, №557.

¹ AKAK, т. II, стр. 283, №555.

² თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, თბ., 2009, გვ. 104.

** გორში არსებული კათოლიკური ეკლესიისა და მისი ქონების შესახებ კაპუცინელთა დოკუმენტებში უაღრესად საყურადღებო საბუთს მიაკვლია მ. თამარაშვილმა. საბუთში მკვლევარის თქმით: „აღწერილია რაც კი შეეხება გორის ეკლესიისა და ძმობის მამულებს და ასაღებ ფულებს. ამ წერილში არც თარიღია და არც დამწერის სახელია გამოცხადებული“. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902 (რეპრინტი მომზადებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, თბ., 2011, გვ. 516).

მართალია, დოკუმენტს თარიღი არ აქვს, მაგრამ იგი სხვადასხვა დროს შედგენილი ჩანაწერებისაგან შედგება და მისი ძირითადი ქრონოლოგია XIX საუკუნის I მეოთხედს მოიცავს. საბუთიდან ირკვევა, რომ გორის კათოლიკური სამლოცველო რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა. პირველ და მეორე სართულზე ოთხ-ოთხი ოთახი იყო, ამას გარდა სალოცავს ჰქონდა სარდაფიც. კათოლიკეთა ტაძარს ჰქონდა კათოლიკე სამშოს მიერ ნაყიდი მამულები. შესყიდული ქონების გარდა, როგორც ჩანს, შეძლებული გორელი კათოლიკეები ტაძარს შერეულობის სახით ჩუქნიდნენ როგორც მამულებს, ისე ფულს. შემწირველთა შორის საბუთში იხსენიებიან: თუმანოვები (თუმანიშვილები), ზუბალაშვილები, ჯულაბაშვილები, დავრიშაშვილები... გორის კათოლიკეთა ეკლესიას მამულები ჰქონდა არამარტო გორში, არამედ გორის მიდამოებშიც. მას ეკუთვნოდა ერთი ვენახი ცხინვალთან ახლოს. საბუთიდან ჩანს ისიც, რომ კათოლიკურ ეკლესიას ადგილობრივ მოქალაქეებზე, ფულიც ჰქონდა გასეხებული. ამისათვის სპეციალური ბარათებიც ჰქონიათ შედგენილი, თუმცა ეკლესიას ვალების ამოღება უჭირდა. იქვე, გვ. 517-518.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის I მეოთხედში გორში კათოლიკური ეკლესია საკმაოდ ძლიერი იყო. კათოლიკეები ამ დროისათვის გორის გარდა ცხინვალშიც ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს 1802 წლის აღწერის მასალები. იხ. AKAK, I, Тиф., 1866, №575, стр. 461.

ცია. გადარჩა მხოლოდ სამი ეკლესია, მათ შორის ერთ-ერთი კათოლიკური. 1923 წლის 10 მარტს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გორში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სალოცავები დაენგრიათ და აღმშენებლობით კავშირს, აღმასკომან შეთანხმებით ნანგრევებიდან ამოღებული მასალა უღარიბესი მოქალაქეების სახლების ასაშენებლად გამოეყენებინათ. გორში მხოლოდ სამი ეკლესია უნდა დარჩენილიყო: ოქონის, სომხების ახალი ეკლესია და ფრანგების ეკლესია. აღმასკომის დადგენილებაში კათოლიკური ტაძარი „ფრანგების ეკლესიის“ სახელით არის მოხსენიებული.¹ როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბოლშევიკებმა სხვა კონფესიებთან ერთად კათოლიკური სარწმუნოების დევნაც დაიწყეს. 1923 წელს ხელისუფლებამ გორში არსებული კათოლიკური ეკლესია დახურა. გორის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის ოქმში მითითებულია, რომ ეკლესიის დახურვის მიზეზი იყო კათოლიკეების სალოცავში არსებული ანტისანიტარია, ასევე მრევლის მცირე რაოდენობა. ხოლო კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარი პატრი კონსტანტინე საფარაშვილი მიჩნეული იყო, როგორც საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე. გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი შუამდგომლობას ითხოვდა შსს სახალხო კომისარიატთან კათოლიკე პატრის საქართველოდან გაძევების შესახებ. სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „ოქმი №27 გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომისა. 22 ოქტ. 1924 წ. დაესწრნენ ამხანაგები: სიამაშვილი, ბადრიაშვილი და ს. საყვარელიძე, თავმჯდომარე ვ. ქურდაძე, მდივანი (არ იკითხება –

¹ ი. ალიმბარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

გ.ს.), მე-17 საკითხი – კათოლიკეების ეკლესიის შესახებ. ვინაიდან სამაზრო აღმასკომს აქვს დამტკიცებული საბუთები, რომ აღნიშნულ ეკლესიაში ანტისანიტარიას აქვს ადგილი და დამსწრეთა რიცხვი მცირეა, ამის გარდა პატრი საფარაშვილი ცნობილია კონტრევოლუციონური მოქმედებით, აღიძრას შუამდგომლობა შ.ს.ს. კომისარიატის წინაშე რათა აღნიშნული საყდარი დახურულ იქნას და პატრი საფარაშვილი როგორც მაჟნე და კონტრევოლუციონური ელემენტი გაძევებულ იქნას საქართველოს ფარგლებიდან, როგორც საბჭოთა კავშირის არა ქვეშევრდომი.¹ როგორც მითითებულია, ეს ოქმი თარიღდება 1924 წლით და აქ საუბარია კათოლიკეთა სალოცავის დახურვის შესახებ, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბოლშევიკებს კათოლიკეთა სალოცავი 1923 წელს გაუუქმებიათ. ამას ადასტურებს 1923 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული ვატიკანის დელეგატის წერილი, რომლის ადრესატია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი. დოკუმენტიში ვკითხულობთ:

„შინაგან საქმეთა კომისარს საშა გეგეჭკორს ქ. თბილისში
ბ. კომისარო!

მოგმართე თქვენ უკვე ორ გზით. შესახებ გორის კათოლიკეთა ეკლესიისა რომელიც დახურულ იქმნა კათოლიკე მრევლის სურვილის წინააღმდეგ, რის შესახებ თვითონ მრევლმაც შემოგჩივლათ ეკლესიის დახურვისთანავე საერთო განცხადებით.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №23, გვ. 157.

მის შემდეგ შემემთხვა ორი თვით მოგზაურობა რუსეთში. იმედი მქონდა, რომ ხსენებული ეკლესია დაბრუნებული დამიხვდებოდა; ხოლო ვინაიდან ეს ესრედ არ იქმნა, კვლავ მოგმართავ თქვენ რათა კეთილ ინებოთ და დააბოლოოთ ეს საკითხი გორის მორწმუნე კათოლიკეთა სასარგებლოდ.

პატივისცემით

დელეგატი ვატიკანისა ადრიანუს სმეტსი. 16 ენკენისთ. 1923 წ.¹ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ვატიკანის დელეგატის წერილი, კომისრის მოადგილის – ტალახაძის ხელმოწერით განსახილველად საქართველოს იუსტიციის საქმეთა სახალხო კომისარს და რესპუბლიკის პროკურორს ვარძიელს გადაეგზავნა. დოკუმენტში აღნიშნულია: „პირადათ. იუსტიციის სახალხო კომისარს და რესპუბლიკის პროკურორს ამხ. ვარძიელს

ამასთან ერთად გიგზავნით თქვენს განკარგულებაში აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის მომართვას ა/წ სექტემბრის 15-ის თარიღით 1921 №-ით და კათოლიკეთა ეკლესიების დელეგატის მომართვას ა/წ 16 სექტემბრიდან №49, სოფ. ძლევის ჯვარის და ქ. გორის კათოლიკეთა ეკლესიების გახსნის შესახებ. დანართი: მიმოწერა 5 ფურცელზე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ტალახაძე საერთო განყოფილების გამგე (გვარი არ იკითხება – გ.ს.), 1923 წ. სექტემბერი”².

ვატიკანის დელეგატის მიმართვამდე შინაგან საქმეთა სა-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №33, გვ. 18.

² იქვე, გვ. 76.

ხალხო კომისარიატს წერილი გაუგზავნა გორის კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარმა კონსტანტინე საფარაშვილმა. წერილში ქართველი პატრი კათოლიკეთა გაუქმებული ეკლესიის აღდგენას და წართმეული საოჯახო, ასევე საეკლესიო ნივთების უკან დაბრუნებას ითხოვდა:

„საქართ. ს.რ. შინაგან საქმეთა სამინისტროს
გორის კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარის
კონსტ. საფარიშვილის
თხოვნა

ამ სამი თვის წინეთ, გორის ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მილიციონერების დახმარებით, ასწერეს ჩემი ოთახის ავეჯი და მოწყობილება, იძულებითი ჩამორთმების მიზნით. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამომართვეს კიდევაც ნაწილი ამ ავეჯისა როგორც ხალიჩა, ეტაჟერკა, მაგიდა, სკამები, კუშეტკა და სხვ. დამრჩა რამდენიმე სხვა საგნებთან ერთად სამწერლო მაგიდაც რომლის ჩამორთმევისათვის მაწუხებენ უაღრეს წერტილამდე.

ვინაიდან ეს ნივთები არ ეკუთვნის ადგილობრივ ხელისუფლებას, არამედ გორის კათოლიკე ეკლესიის ახლოს დაარსებულ საქველმოქმედო საზოგადოებას, ეგრეთ წოდებულ კათოლიკეთა „ძმობას“ კათოლიკე ხალხს, რომელიც ხსენებულ ავეჯს და ოთახის მოწყობილებას, სტოებს მუდამ, გორში განწესებულ კათოლიკე მოძღვრის განკარგულებაში, სახმარებლად,

ამისათვის გთხოვთ უმორჩილესად, განკარგულება გაცეთ სადაც ჯერარს, რათა ხსენებული ჩამორთმეული ავეჯი, უკან გვექმნეს დაბრუნებული.

ამასთან ერთად, გავიხსენებ რა გორის კთოლიკე ეკლესიის იძულებით დაკეტვას, წინააღმდეგ ადგილობრივი კათოლიკე მრევლის სურვილისა (სასურველ იქმნებოდა, ამის შესახებ სასტიკი გამოძიება),

გთხოვთ გორის კათოლიკე ეკლესიის გაღებას და საეკლესიო ნივთების დაბრუნებას (ჩამორთმეულ ნივთების სია დღემდღის არ მოუციათ ჩვენთვის), ვინაიდან ეკლესიის დაკეტვა და საგნების ჩამორთმევა მოხდა არა თანახმად 10 აგვისტოს 1923 წ. მთავრობის მიერ გამოცემულ ცირკულიარისა, შესახებ სარწმუნოების საკითხისა.

პატივისცემით

მღ. კონსტ. საფარაშვილი, 10 სექტემბერი 1923 წ. თბილისი აკიმოვის ქუჩა №16”¹

კონსტანტინე საფარაშვილის განცხადება შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ტალახაძემ განსახილველად საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროკურორს – ვარძიელს გადაუგზავნა.²

1923 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა გარკვეულ დათმობებზე წავიდა, რადგან თითქმის ყველა კუთხიდან იგზავნებოდა მორწმუნეთა თხოვნები დახურული სამლოცველოების გახსნასთან დაკავშირებით. მართლმადიდებლებთან ერთად სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს ხელისუფლებამ უფლება მისცა, ჩამოეყალიბებინათ და რეგისტრაციაში გაეტარებინათ

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №33, გვ. 77.

² იქვე, გვ. 78.

რელიგიური საზოგადოებები. გორში მცხოვრებმა კათოლიკეებმა ეკლესიის გახსნის და ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების თხოვნით მიმართეს გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს. განცხადებას ხელს აწერდა 68 მორწმუნე.¹ 1923 წლის 11 დეკემბერს გორის კათოლიკეთა ეკლესიის სამრევლოს მზრუნველობის რწმუნებულებმა შემდეგი შინაარსის განცხადება გაუგზავნეს გორის მაზრის აღმასკომის შინა მმართველობას: „გორის მაზრის აღმასკომის შინა მმართველობას

ქ. გორი კათოლიკე ეკლესიის სამრევლოს მზრუნველობის რწმუნებულების

განცხადება

თანახმათ სრულიად საქართველოს მთავრობის 22 სექტემბრის 1923 წ. ცირკულარისა, შესახებ რელიგიულ საზოგადოებათა რეგისტრაციისა, მზრუნველობა გიდგენთ ამასთან ერთად, გორის კათოლიკე ეკლესიის არსებულ რელიგიურ საზოგადოების წევრთა რეგისტრაციას.

მზრუნველობის წევრნი, რწმუნებულნი კ. გაბ. საფარაშვილი, ნ. ჯულაბიშვილი, გაბო ჩიტაშვილი, ალექსანდრე ზუბალაშვილი, М. А. Корковидов.* ქ. გორი 11 დეკემბერს 1923 წ.”²

მთავრობის 1923 წლის 22 სექტემბრის დადგენილების თანახმად, იმისათვის, რომ მორწმუნეებს რელიგიური საზოგადოება რეგისტრაციაში გაეტარებინათ სიაში არანაკლებ 50 მორწმუნე უნდა ყოფილიყო. გორის კათოლიკეთა მრევლი 18

* აღნიშნული პიროვნების გვარი დოკუმენტში რუსულ ენაზე წერია.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №33, გვ. 66.

² იქვე, გვ. 68.

წლის ზევით ამ დროისათვის 150 ადამიანს შეადგენდა. კათოლიკეები გორის გარდა ცხოვრობდნენ ასევე ხაშურსა და ბორჯომში¹. გორის მაზრაში მცხოვრებ კათოლიკეებს მღვდელი – კონსტანტინე გაბრიელის ძე საფარაშვილი ემსახურებოდა, რომელიც წარმოშობით თბილისიდან იყო. საეკლესიო მღვდელმსახურებასთან ერთად იგი მასწავლებლობასაც ეწეოდა.² გორის კათოლიკეთა საზოგადოებამ 1923 წლის 29 დეკემბერს სხდომა ჩაატარა. სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „გორის კათოლიკეთა საზოგადოება, მოწვეულ 29 დეკემბერს 1923 წლ. ქ გორში, სააკაანთ მამულში, თანახმად გორის აღმასკომის, 27 დეკემბრის 1923 წ. №10399, ნებართვისა, თანადასწრებით მთავრობის წარმომადგენელის, ამხ. დევდარიანისა, გაეცნო რა, ს.ს. მთავრობის 10 აგვისტოს, 22 სექტემბრის და 20 დეკემბრის 1923 წ. ინსტრუქციებსა, შესახებ რელიგიური თავისუფლებისა, რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ეკლესიების გაღება-დაბრუნებისა, დაადგინა, უპირველესად ყოვლისა, მადლობა ეძღვნას სსრ მთავრობას. მასში რომ, იგი შესაძლებლად სცნობს დახურულ ეკლესიების დაბრუნებას და ანგარიშს უწევს რელიგიურ საკითხში გორის კათოლიკე საზოგადოების გულის სურვილსა;

მეორედ, საზოგადოება გამოსთქვამს ერთხმად, სურვილს, გორის კათოლიკე ეკლესიის გაღებისას, ვინაიდგან, იგი, არ ყოფილა მომხრე, ამ ეკლესიის დაკეტვისა.

მესამედ, საზოგადოებამ საჭიროდ სცნო, სასწრაფოდ მი-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №33, გვ. 69.

² იქვე, გვ. 117.

ღებულ იქმნას ყოველგვარი ზომები, მთავრობის დეკრეტში ნაჩვენები, გორის კათოლიკეთა საზოგადოების დაფუძნება-აღდგენის მიზნით. ამისათვის, კათოლიკეთა საზოგადოებამ, კენჭის ყრით აირჩია, ერთხმად, თავის რწმუნებულად მთავრობის წინაშე, გარდა ორი, უკეთუ არსებული ძმით უფროსებისა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჯულაბიშვილის და გაბრიელა ალექსის ძე ჩიტაშვილისა და აგრეთვე მღ. კონსტანტინე გაბრიელის ძე საფარაშვილისა, კიდევ სხვა ორნი პირნი: ალექსანდრე ანტონის ძე ზუბალაშვილი და მიხაკა ალექსას ძე კორკოვიდოვი, რომელთაც საზოგადოება სთხოვს, კეთილი ინებონ და, მისი სახელით და მისი პასუხისგების ქვეშ, ჩაიბარონ უკან კათოლიკე ეკლესია, მისი ქონება და განაგონ რელიგიასთან დაკავშირებულნი საქმენი.

მეოთხედ, განიხილა რა საზოგადოებამ, გორის კათოლიკე მრევლის რელიგიური წესდება, დაადასტურა იგი ერთხმად და დაავალა თავის რწმუნებულებს, ხელი მოაწერონ მას, მისი სახელით, და წარუდგინონ ადგილობრივ მთავრობას. აგრეთვე მიანდო მათ, წესდების რომელიმე მუხლის შეცვლის აუცილებლობაში, მოაგვარონ საქმე თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესდებისა.

მეხუთედ, საზოგადოება ეგებება დიდი სიხარულით, მორწმუნეთა რეგისტრაციის საქმეს და თანახმად მთავრობის 22 სექტემბრის 1923 წ. ცირკულიარის მეექვსე მუხლის შენიშვნისა, სისრულეში მოჰყავს იგი. ამისათვის, ადასტურებს იგი, ამ კრებაზე ადრე, ამავე მიზნით უკვე შედგენილ ნაწილობრივად, ხელმოწერილ რეგისტრაციას.

დასასრულ, გორის კათოლიკეთა საზოგადოება გამოსთქვამს იმედს, რომ თანახმად მთავრობის ცირკულიარისა, ად-

გილობრივი აღმასკომი კეთილ ინებებს და ახლო მომავალში კათოლიკეთა ეკლესიის დაბრუნებით, დააკმაყოფილებს კათოლიკე საზოგადოების ცხოველ სურვილსა. რაზედაც ხელს აწერენ:

კრების თავმჯდომარის მაგიერ: კონსტ. გაბრ. ძე საფარაშვილი,

მდივანი: ალექსანდრე ზუბალაშვილო, მმათუმთავრესი: გაბო ჩიტაშვილი¹.

კათოლიკე მორწმუნეთა მიერ შედგენილ წესდებაში გაწერილი იყო ის უფლებები, რასაც სახელმწიფო საზოგადოებაში გაერთიანებულ მორწმუნეებს ანიჭებდა. წესდებაში აღნიშნულია: „ნორმალური წესდება ქ. გორი კათოლიკე ეკლესიის, რომის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელთა (განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა) სამრევლოისა ანუ რელიგიურ საზოგადოებისა.

I.

სახელწოდება, მიზანი. მოქმედების ხასიათი და სამოქმედო რაიონი საზოგადოებისა

1. ხსენებულ საზოგადოებას ეწოდება: რომის კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოების მაღიარებელთა რელიგიური საზოგადოება.

2. მისი მიზანია, შეაერთოს რომის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელნი პირნი, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, დასაკმაყოფილებლად რელიგიურ მოთხოვნილებათა, თანახმად რომის კათოლიკე ეკლესიის.

3. მოქმედების ხასიათი შემდეგნაირია:

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, საქმე №33, აღწერა 1, გვ. 120.

ა) განსაზღვრულ დროზე და ადგილზე სრულდება რელიგიური წესები; თანახმად ქრისტეს მოძღვრებისა, რომელსაც ესწრებიან მორწმუნენი,

ბ) რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებში მონაწილეობას იღებს საზოგადოება.

გ) სამრევლო ორგანო, მზრუნველობას უწევს საზოგადოების ქონებას

დ) იგივე ორგანო, ქონების მოვლის მიზნით, სდებს საჭირო ხელშეკრულებებს.

ე) ზედმეტი სასულიერო პირები საჭიროების შემთხვევაში, ესენი არჩეულ იქნებიან, თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესისა, მთავრობის კანონის მიხედვით.

4. სამოქმედო რაიონი – გორის კათოლიკე ეკლესიის მზრუნველობის რაიონია: ქ. გორი, ბორჯომი, ხაშური, სურამი და, ორი-სამი სოფლის გარდა, მთელი გორის მაზრა, სადაც კი დაფანტული არიან, რომის კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელნი პირნი.

II.

წევრთა ჩაწერის და გასვლის წესი

5. საზოგადოების წევრათ ითვლება, ყოველი მორწმუნე პირი, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, რომელიც მონათლულია ნათლისღების საიდუმლოთი, სწამს, და აღიარებს რომის კათოლიკე ეკლესიის სარწმუნოებას.

6. წევრთა ჩაწერის წესი – საზოგადოების წევრად ხდება ადამიანი

ა) ნათლისღების საიდუმლოს მიღებით, ოდეს მისი მშობლები უკვე ეკუთვნიან ხსენებულ საზოგადოებას.

ბ) საცხოვრებელ ადგილის გამოცვლით, ოდეს იგი, უკვე კათოლიკე სარწმუნოების მაღიარებელი, გადადის საცხოვრებლად ხსენებულ რელიგიურ საზოგადოების რაიონში.

გ) პიროვნული განცხადებით, ოდეს მას ჰსურს მიიღოს კათოლიკე სარწმუნოება და შეასრულოს ხსენებული რელიგიური საზოგადოების წესები. განცხადება უნდა დაიწეროს ეკლესიის წინამძღვრის სახელზე.

შენიშვნა: რელიგიურ საზოგადოების ანუ მრევლის წინამძღვართან, ინახება სია ხსენებულ საზოგადოების წევრებისა. რომელი სიაც ყოველ წლივ წარედგინება მთავრობას.

7. წევრთა გასვლის წესი – საზოგადოებიდან გასვლა ხდება

ა) პიროვნული განცხადებით მსურველისა.

ბ) დადგენილებით სათანადო ეპარქიული საეკლესიო ორგანოსა.

III. საზოგადოების სახსარი.

8. დასაფარავად საზოგადოების საჭირო ხარჯებისა, საზოგადოებას მოეპოვება თავისუფალი შეწირულობანი მორწმუნეთა, რომელი შემოწირულობანი, შეიძლება მოიხმაროს მან, მხოლოდ რელიგიურ და რელიგიასთან დაკავშირებულ სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

IV. საზოგადოების საქმეთა მართველობა.

9. საზოგადოებას ჰყავს აღმასრულებელი ორგანო ანუ მზრუნველობა, რომელშიც შედიან ეკლესიის წინამძღვარი, ორი ძმათ უმფროსი (სინდიკები) და ორიც ამათი კანდიდატი. ეკლესიის წინამძღვარი განაგებს საეკლესიო საქმეებს და არის თავმჯდომარე მზრუნველობისა.

10. სინდიკებს და მათ კანდიდატებს ირჩევს სამი წლით,

მრევლის საერთო კრება თანახმად კათოლიკე ეკლესიის წესისა. მათ უნდა ჰქონდესთ შესრულებული 21 წელიწადი.

11. მზრუნველობის მოვალეობაა:

ა) მოუაროს და განაგოს საზოგადოების განკარგულებაში არსებული ქონება

ბ) აწარმოოს შესავალ გასავლის (და მორწმუნეთა შორის ნათესაობრივი კავშირის გაგების მიზნით) მონათლულთა, დაქორწინებულთა და მიცვალებულთა დავთრები.

12. მზრუნველობის წევრთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი უნდა მოიპოვებოდეს ქ. გორში, სადაც არის კათოლიკეთა ეკლესია.

V. საზოგადო კრება.

13. აღმასრულებელი ორგანო, იწვევს საჭიროების დაგვარ და მიღებული წესით, მორწმუნეთა საერთო კრებას.

14. საზოგადო კრება ჩაითვლება კანონიერათ, თუ 2/3 წევრებისა დაესწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში გადიდება სხვა დროისათვის და ეს ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავათ წევრთა რაოდენობისა.

15. ხმის მიცემის უფლებით სარგებლობენ, საზოგადო კრებაზედ, საზოგადოების წევრნი 18 წელს გადახულნი; ხოლო საპასუხისმგებლო თანამდებობაში პასიური ამორჩევისათვის, საჭიროა 21 წელი ჰქონდეს შესრულებული.

16. ამ მოწვევის მიზანია:

ა) ძმათა უმფროსების არჩევა

ბ) წლიური ანგარიშების განხილვა

გ) საზოგადოების უსაჭიროესი სამეურნეო ხასიათის საკითხების განხილვა და გადაჭრა

17. წესი კითხვების გადაწყვეტისა. –

ა) საზოგადო კითხვები, სწდება ხმების მარტივი უმეტესობით.

ბ) ფრიად მნიშვნელოვანი კითხვებისათვის, საჭიროა, ორი მესამედი ხმებისა

შენიშვნა: 1) ყოველ შემთხვევაში კრების მოქმედება წარდგენილია ეპარქიული ორგანოსადმი, განსახილველად.

2) საერთო კრების დადგენილებათა შესრულება, ევალება აღმასრულებელ ორგანოს ანუ მზრუნველობას.

VI

წესრიგი წესდების შეცვლისა.

18. წესი ამა საზოგადოებისა შეიძლება შეიცვალოს საერთო კრების დადგენილებით ხმათა 2/3 უმრავლესობით. კრების განაჩენს ახლავს სათანადო ეპარქიული ორგანო და ძალაში შედის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ.

VII

საზოგადოების ბეჭედი.

19. საზოგადოებას მოეპოება საკუთარი ბეჭედი, რომელზედაც

გამოხატულია სულიერი ემზლება და ინახება მზრუნველობის თავმჯდომარესთან.

VIII

საზოგადოების ლიკვიდაციის წესი.

20. რელიგიური საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება თანხმად კათოლიკე ეკლესიის წესებისა – ყოველ შემთხვევაში ეპარქიული ორგანო საქმეს იჭერს ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებასთან.

შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების დახურვის შემდეგ, საერთო კრება ირჩევს მზრუნველობას, რომელიც დახურულ

საზოგადოების ქონებას, შესანახად გადასცემს, (ეპარქიულ უმფროსდის თანხმობით და მთავრობის ნებადართვით უახლოეს, იმავე სარწმუნოების მაღიარებელ რელიგიულ საზოგადოებას. –

განსაკუთრებითი რელიგიური ნივთები, როგორც:

წირვის შესამოსები, ნაწილები, წმიდა ზეთები, რელიკვიები, მირონი და სხვა... გადადის სათანადო ეპარქიულ ორგანოს განკარგულებაში

წესდება ესე განიხილა და დაადასტურა ერთხმად, გორის კათოლიკეთა საზოგადოებამ, თავის 29 დეკემბერს 1923 წ. მოწვეულ კრების ოქმში. კრება მოწვეული იყო თანახმად გორის აღმასკომის 27 დეკემბრის 1923 წ. №10399 ნებართვისა

რასაც ვამოწმებთ, იმავე კრებაზე ამორჩეულნი,

რწმუნებულნი: ნ. ჟულაბოვი, კ. გაბ. საფარაშვილი, გაბო ჩიტაშვილი, ალექსანდრე ზუბალაშვილი, М. А. Корковидов, 29 დეკემბერს 1923 წ. ქ. გორი”¹.

წესდებასთან ერთად მთავრობას სარეგისტრაციოდ გადაეცა საზოგადოების პასუხისმგებელ პირთა ნუსხაც: „სია ქ. გორის კათოლიკეთა საზოგადოების სხვა პასუხის მგებელ პირებისა შედგენილი თანახმად მთავრობის 22 სექტ. 1923 წ. ცირკულიარისა, რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ“.²

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, გვ. 127.

² იქვე, გვ. 187.

№№ რიგზე	გვარი, სახელი, მამის სახელი	საცხოვრებელი ადგილი, მისამართი	სოციალური მდგომარეობა	საზოგადოებრივი სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წლიდან	რა წიდეგას ეკუთვნის	ქონებრივი მდგომარეობა	როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს	ხელის მოწერა
1	ჯულაბაშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე	სასწვრის ქუჩა	მასწავლებელი პედაგოგი	მასწავლებელი	მოქალაქე	სახლი აქვს	დაბადებული	ნ. ჯულაბაშვილი
2	ჩიტაშვილი გაბრიელ ალექსის ძე	დავრიშვილის ქუჩა	მიწის მუშა		გლეხი	მამული აქვს	დაბადებული	გაბო ჩიტაშვილი
3	ზუბალაშვილი ალექსანდრე ანტონის ძე	სემინარიის ქუჩა საკ. სახლი	მეწიქევილე	ჯარში მსახურობდა	მოქალაქე	სახლი აქვს	დაბადებული	ალექსანდრე ზუბალაშვილი
4	კორკოვიძე დოვი მიხაკა ალექსანდრეს ძე	ერთობის ქუჩა, კუზანოვის სახლი	მეფურნე		მოქალაქე	მამული აქვს	დაბადებული	Мисакч. А. Корковидов

კათოლიკეთა რელიგიური საზოგადოების დაარსების მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლება აჭიანურებდა გორელი კათოლიკე მორწმუნეებისათვის დახურული ეკლესიის და ტაძრის ეზოში არსებული საეკლესიო სახლის გადაცემას. როგორც აღინიშნა, 1920 წლის მიწისძვრას გორში არსებული კათოლიკური ტაძარი გადაურჩა, თუმცა მნიშვნელოვნად დაზიანდა. მორწმუნეებს ეკლესია შეუკეთებიათ, რომე-

ლიც მალე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ჩამოართვა. მორწმუნეებს ჩამოერთვათ საეკლესიო სახლიც, სადაც პარტიული სკოლა განთავსდა. კათოლიკეები რელიგიური საზოგადოების დაარსების შემდეგ კუთვნილი ქონების დაბრუნებას მოითხოვდნენ. 1924 წლის 31 იანვარს, მათ წერილით მიმართეს ცენტრალურ ხელისუფლებას, კერძოდ, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებულ საეკლესიო კომისიას. კომისიამ განიხილა კათოლიკეების წერილი ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით და გორის რაიადმასკომს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა, საიდანაც ჩანს, რომ საეკლესიო კომისიამ გორის ხელმძღვანელობას კათოლიკეთა მოთხოვნის დაკმაყოფილება დაავალა. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„თქვენს მომართვაზე 16/I-№588, საეკლესიო კომისია გატყობინებთ, რომ როგორც მორწმუნე კათოლიკეთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებიდან და მათგანვე, საეკლესიო კომისიაში ამა წლის 31 იანვრის თარიღით, შემოსულ განცხადებიდან სჩანს, მორწმუნე კათოლიკენი დაჟინებით მოითხოვენ გორის მაზრაში ერთადერთი კათოლიკეთა ეკლესიის გახსნას და დაბრუნებას. მორწმუნეთა განცხადებაში ნაჩვენებია, რომ ეკლესიის დახურვამდის, ერთი წლის განმავლობაში სრულდებოდა შიგ მღვდელთმსახურება და არავითარ საშიშროებას ეკლესიის შენობა მლოცველთათვის არ წარმოადგენდა. მორწმუნენი არ ყოფენ უარს, რომ მიწის ძვრისაგან შენობა დაზიანებულია, მიუხედავად ამისა ისინი აცხადებენ, რომ ნაწილობრივ ეკლესია მათგან უკვე შეკეთებულია და მომავალშიც იღებენ თავის თავზე შენობის სრულიად აღდგენას. რაც შეეხება საეკლესიო სახლს, რომელშიც მოთავსებულია

პარტიული სკოლა, კომისია დგას თავის წინანდელ შეხედულებაზე, რომ საეკლესიო სახლები ვერ იქნებიან გადაცემული მორწმუნე კათოლიკეთა საზოგადოებაზე; ამასთანავე კომისია სავსებით ეთანხმება აღმასკომს, რომ პარტიული სკოლის და ეკლესიის ერთ ეზოში არსებობა არა სასურველია, ამიტომ საეკლესიო კომისიას საჭიროდ მიაჩნია ეკლესიის დაბრუნების შემთხვევაში პარტიული სკოლის აუცილებლივ სხვა შენობაში გადატანა, საეკლესიო სახლში კი, პარტიული სკოლის ნაცვლად, მოთავსებულ იქნას ერთ-ერთი საბჭოთა დაწესებულება ან/და გამოყენებულ იქნას სადგომ ბინებათ. ამნაირათ კომისია თანახმად თავისი წინანდელი დადგენილებისა, წინადადებას აძლევს აღმასკომს დააკმაყოფილოს გორის მაზრის მორწმუნე კათოლიკეთა დაჟინებითი და სავსებით კანონიერი მოთხოვნა. მორწმუნეთ დაევალოთ, რომ მათ წინასწარ შეკეთებულ იქნას ეკლესიის შენობა. საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება, სავარაუდოდ უნდა იყოს ი. ვარძიელი – გ.ს.).¹

ამის შემდეგ გორის რაიადმასკომმა საპასუხო წერილი გადაუგზავნა საეკლესიო საქმეთა კომისიას. ამ წერილიდან ირკვევა, რომ გორის მაზრის ხელმძღვანელობას უწინაც მიუმატავს ცენტრალური ხელისუფლებისათვის შუამდგომლობით, რათა მთავრობას კათოლიკეებისათვის ეკლესიის დაბრუნებაზე უარი ეთქვა. წერილში მითითებული იყო ის მიზეზი, რომ კათოლიკეთა საეკლესიო სახლში გახსნილი იყო პარტიული სკოლა. კათოლიკე მორწმუნეთათვის ეკლესიის გადაცემაზე უარის შუამდგომლობის მიზნით ცენტრა-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, გვ. 2.

ლურ ხელისუფლებას ორჯერ მიმართა გორის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა. წერილებში დასახელებული იყო ორი მიზეზი. პირველი ის, რომ ეკლესია მიწისძვრის შედეგად დაზიანებული იყო და მრევლს საფრთხეს უქმნიდა (იქვე განმარტებულია, რომ მიწისძვრის შემდეგ გორელი კათოლიკეები წირვა-ლოცვას კერძო სახლში ატარებდნენ). მეორე მიზეზად წერილში განმარტებულია კათოლიკეთა საეკლესიო სახლში პარტიული სკოლის არსებობა. გორის მაზრის აღმასკომი ცენტრალური ხელისუფლებისაგან ნებართვას ითხოვდა, რათა კათოლიკეებს ეკლესიის ნაცვლად წირვა-ლოცვა კერძო სახლში გაეგრძელებინათ.¹

საბოლოოდ კათოლიკეთა რელიგიურ საზოგადოებას გორის აღმასრულებელი კომიტეტისაგან 1924 წლის 10 თებერვალს ღვთისმსახურებისათვის გადაეცა ქ. გორში მდებარე ქვითკირის შენობა. კათოლიკეებს დაუბრუნდათ ასევე ჩამორთმეული საეკლესიო ნივთები. გაფორმდა სპეციალური ხელშეკრულება კათოლიკეთა საზოგადოებასა და გორის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს – ს. ცხოვრებაშვილს შორის:

„ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, წარმომადგენელი კათოლიკე რელიგიური საზოგადოებისა, ქ. გორში მცხ. დავდეთ ეს ხელშეკრულება გორის აღმასრულებელ კომიტეტთან მის რწმუნებულის ს. ცხოვრებაშვილის სახით მას შინა, რომ 1924 წლ. თებერვლის თვეს 10 რიცხვს აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადო და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, გვ. 7.

ქალ. გორში მდებარე ქვითკირის ღვთის მსახურის შენობა* და ღვთის მსახურის საგნები ჩვენი ხელმოწერით განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1) მთელი ჩვენი კათოლიკეთა რელიგიური საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოდენ მისი დანიშნულების შესაფერისად, ამასთან საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხის მგებლობას ჩაბარებული ქონების სიმართლისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულობით თავის თავზე მიღებულ ყველა სხვა მოვალეობის შესრულებისათვის.

2) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს ტაძრებითა და იქ შენახულ ღვთის მსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ზომა იმისათვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ასეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულობის 1-ელ და 2 მუხლს.

4) კერძოდ საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთის მსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა:

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების ფურცლების და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა.

* სავარაუდოდ ეს იყო არა ყოფილი კათოლიკური ეკლესია, არამედ გორის მაზრის ხელმძღვანელობის მიერ მორწმუნეთათვის გამოძენილი სხვა ნაგებობა.

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა.

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღვლავლების მიზნით ზარის რეკით განგაშის მოხდენა:

4) საზოგადოება მოვალეა თავის ქონებით გაისტუმროს ტაძრის ან სხვა ღვთის მსახურის შენობის და ამ ტაძარში დაცულის საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯების სახელდობრ რემონტი, გათბობა დაზღვევა დაცვა გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწირისა და სხვა.

5) საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთის მსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქმნას ყოველი ახლად შესული (შეწირულები სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) რელიგიური კულტის საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

6) საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა სწარმოებს შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7) მიღებულ ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8) საზოგადოება მოვალეა, უკეთეს საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9) უკეთეს საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულობის მოსპობას იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისათვის: საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10) საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულობაზე ხელი უწერია შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულობის მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი იმ ზარალისათვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში იმ დრომდე, ვიდრე იგი საზოგადოებიდან გავიდოდა.

ამ ხელშეკრულობის დედანი ინახება გორის აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადო შემოწმებული პირი გვეძლევა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელთ, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რომელთაც აღწერილობით 15 თებერვალს 1924 წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობანი და მათი დაცული საგნები.

11. უკეთეს საზოგადოება ამ ხელშეკრულობიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, ხელშეკრულობა ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოისპობილ იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნე-

ბა დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით“¹.

ხელშეკრულებას თან ერთვის საეკლესიო ნივთების ნუსხაც: „სია საეკლესიო ხვთისმსახურის საგნებისა რომლებიც გორის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების გამგე ცხოვრებაშვილისაგან მიეცად სარგებლობისათვის ქ. გორის კათოლიკეთა რელიგიურ საზოგადოებას.

№ რიგზე	საგნების დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1	სურათი ქესტში დახატული ჯვარცმა მაცხოვრისა. ჩარჩოში ჩასმული	14 ცალი	
2	პეტრე და ივანე	1	
3	ღვთისმშობლის ხატი	1	
4	ღვთისმშობლის ხატი	1	
5	ეგნატე ლაიოსის ხატი	1	
6	ლოცვები ჩარჩოში ჩასმული	4	
7	მაცხოვრის ხატი	1	
8	ჯვარცმა ხისა	1	
9	შუშის შანდალი თითბრისა ბუდით	2	
10	ჯვარი შარავანდედით სანაწილე	2	
11	ოთხსანთლიანი შანდალი	1	
12	ჯვარცმა იაზმისათვის ხის სანთლის ტარებით	18 ც	
13	ზედაშისათვის შუშის ლიტრა	2	
14	მაცხოვრის ხატი	1	
15	ხის ჯვარი ხისავე ბურთით	1	
16	აღდგომა ქრისტესი ხეზე დახატული	1	
17	ხის ჯვრები პატარა	9	

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, გვ. 136.

18	პატარა ხის შკაფი ბარძიმის შესანახი	1	
19	სასანთლე შკაფი პატარა	1	
20	საჩხაკუნებელი	1	
21	ღვთისმშობელი ფაიფურისა ქანდაკებით	1	
22	სკამი ხვერდით გადაკრული	1	
23	ხის დასადგამი	1	
24	დიდი საფეხური ვერცხლისა	1	
25	საცეცხლური უბრალო	1	
26	მარმარილოს ფირფიტა	1	
27	ჯვარცმა თაბაშირისა	1	
28	ვაზა ფაიფურისა	1	
29	ვაზა და სურა ფაიფურისა	2	
30	პირისაზანი სპილენძისა	1	
31	გვირგვინი მადონისა	1	
32	უსუპი სპილენძისა	1	
33	სანაწილე სპილენძისა	2	
34	ვაზა ფაიფურისა	11	
35	სპილენძის ქვაბი	1	
36	პატარა თევზი	1	
37	დიდი ბადია სპილენძისა	1	
38	შუმის პატარა ჭიქა	1	
39	პატარა თითბრის ფოდნოსი	1	
40	ტანისამოსის ჩოთქი	1	
41	ჯვარცმა პაპეიმაშესი	1	
42	პატარა სკამი ტრაპეზზე დასადგმელი წიგნებისათვის	1	
43	ხის ყუთი	1	
44	წიგნები-ლოცვანი და სახარება	12	
45	ბალდახინი მადონისა	1	
46	ხის ჯვარი	2	
47	შესამოსის ნაწილების	127 ცალი	
48	შესამოსი	30	
49	ბაირახი	2	

50	პატარა გადასაფარებელი ხატებისა	11	
51	ბალიშები	4	
52	დიდი გადასაფარებელი	22	
53	პატარები	5	
54	შესამოსის ნაწილები	11	
55	ქუდები ხუთი	5	
56	შესამოსის ნაწილები	1	
57	საწიგნოზელი	2	
58	სხვა და სხვა ნაჭრები	20 ცალი	
59	მაუდის ნაჭრები	2	
60	კისტი თეთრი და წითელი	2	
61	ბაღდადი	2	
62	ხელსახოცი	5	
63	პირსახოცი	3	
64	თიხის ლიტრა	1	
65	ხატის ფარად	1	
66	ხის შანდალი	41	
67	დიდი ხატი	4	
68	ფიზგარმონია	1	
69	კიზე დასაკეცი	1	
70	ვერცხლის ჯვარი	3	
71	ერთი ვერცხლის სურა	1	
72	პატარა სურა ვერცხლისა	1	
73	კანდლის ძირი ვერცხლისა	1	
74	ჩამჩის ძირი ვერცხლისა	1	
75	ბარძიმის ზედ პირი ვერცხლისა	2	
76	გვირგვინი ვერცხლისა	2	
77	შარავანდედი პატარა ვერცხლისა	1	
78	ფეშხუმი სპილენძისა	2	
79	ბარძიმი თითბრისა	1	
80	ჯაჭვი პატარა უბრალო	1	
81	ჯვარი ოქროსი მარგალიტის ძეწკვით მაფზე ასხმული	1	

82	ამონაბადტი ოქროსი	1	
83	ბეჭედი ოქროსი წითელი თვლით	1	
84	ბარძიმ პისკილი დაოქრული ვერცხლის ნაწილების მისატანი	1	
85	წითელი სუფრა ვარდისფენობისათვის	1	
86	წითელი მაუდის ნაჭერი. თითო არშინ ნახევარი	3	
87	საფარებელი ვარდისფენობისთვის	7	
88	პატარა ფარად	2	
89	წითელი სუფრა ვარდისფენობისთვის	1	
90	უარშიო სუფრა ტილოსი	1	
91	სუფრა ტილოსი 8 არშინი	1	
92	ჰურიფიკატორი ბარძიმის გასაწმენდი ტილოები	50 ცალი	
93	ბარძიმის ძირის გასაწმენდი ტილოები	13 ც	
94	ამირიკა	2 ცალი	

ჩავაბარე ს. ცხოვრებაშვილი

ჩავიბარე (გვარი არ იკითხება – გ.ს.)¹

1924 წლის 11 დეკემბერს, გაიმართა საქართველოს კომპარტიის „ცეკას“-თან არსებული საეკლესიო საქმეთა კომისიის სხდომაზე. სხდომაზე გატანილ საკითხთაგან ერთ-ერთი ეხებოდა გორის მაზრაში არსებულ კათოლიკურ ტაძრებს. ოქმში ვკითხულობთ:

„რაც კი შეეხება მორწმუნეთა: მართლმადიდებელთა, სომეხთა, კათოლიკეთა, გორის, სურამის და ქარელის ებრეელთა შუამდგომლობებს, კომისია ადგენს: წინადადება მიეცეს გორის მაზრის აღმასკომს დააკმაყოფილოს მორწმუნეთა

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, გვ. 134.

შუამდგომლობანი თითო ეკლესიის და სალოცავი სახლის დაბრუნებით მაინც იმ რაიონებში, სადაც შეჯგუფულია თვალსაჩინო რიცხვი მორწმუნეთა: კერძოდ კათოლიკეების შუამდგომლობა გორის მაზრაში ეკლესიის დაბრუნებაზე, რომელიც როგორც ერთადერთი მთელ მაზრაში და გორის მორწმუნე კათოლიკეების გარდა ემსახურება ხაშურის და ბორჯომის რაიონების კათოლიკეთა მოსახლეობას, უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს“.¹

დოკუმენტიდან ჩანს, რომ გორში არსებული კათოლიკური ეკლესია მთელ მაზრაში ერთადერთი იყო.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), თბ., 2013, გვ. 481.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესია

კათოლიკური და მართლმადიდებლური ტაძრების გარდა ბოლშევიკებმა დახურეს გორში არსებული სომეხი გრიგორიანელების სალოცავი. სომხური ეკლესია გორში XVI საუკუნის დოკუმენტებით დასტურდება. სიმონ I წყალობის სიგელით გორში მცხოვრები სომეხი სასულიერო პირები სხვადასხვა სახის გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია.¹ როგორც პროფ. ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს, გორში, 1802 წლისათვის ოთხი სომხური ეკლესია ყოფილა: 1. ღვთისმშობლის ტაძარი; 2. ღვთისმშობლის მიძინების; 3. წმ. სტეფანესი; 4. ქრისტეს აღდგომის.² სომხური ეკლესიები ახპატის ეპარქიას ეკუთვნოდა. აქედან წმ. სტეფანეს ეკლესია პროფ. ე. მამისთვალიშვილის განმარტებით XIX საუკუნის I მეოთხედში დანგრეულა, რადგან როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სომხური ტაძარი 1824 წელს შედგენილ გორის გეგმაზე აღნიშნული არ არის. სომხებს როგორც ჩანს, წმ. სტეფანეს სახელობის სალოცავი კვლავ აღუდგენიათ, რადგან აღნიშნულ ტაძარს იხსენიებს გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, რომელიც საქართველოში 1843 წელს იმყოფებოდა. მისი ცნობით სომხების ეკლესია შედარებით ახალი იყო და გამოირჩეოდა დასავლური მხატვრობით, მისი ფრესკები პოლონელი მხატვრის მიერ ყოფილა შესრულებული. ეკლესიაში მოგზაურს უნახავს წმ. სტეფანეს ჩაქოლვის სცენაც.³ აღსა-

¹ ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. II, თბ., 1998, გვ. 298.

² იქვე, გვ. 299.

³ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დართო გია გელაშვილმა, თბ., 2011, გვ. 54-55.

ნიშნავია, რომ 1920 წლის თებერვლის მიწისძვრამ გორი მნიშვნელოვნად დააზარალა. საზოგადოებრივ შენობებთან ერთად გორში არსებული სამლოცველოებიც დაინგრა. როგორც მივუთითებდით დანგრევას მხოლოდ სამი ეკლესია გადაურჩა: ოქონის, კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული წმ. სტეფანეს სახელობის ტაძარი. 1923 წლის 10 მარტით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში წმ. სტეფანეს სომხური ტაძარი ამ დროს „ახალ ეკლესიად“ იხსენიება.¹ ჩვენი აზრით, გრიგორიანული ეკლესიის ასეთი სახით მოხსენიება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ გორელმა სომხებმა თავიანთი ეკლესია XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში განაახლეს. 1934 წლის დოკუმენტით დასტურდება, რომ სომხების ტაძარი გორში დანგრეულა. 5 მარტს ქალაქის საბჭოს წევრი – ექიმი გელოვანი წერს: „ოქონის და სომხების ეკლესიების ნანგრევი გაზიდულ იქნეს და გაუკეთდეს გალავანი“.² 1923 წლისათვის გორის მაზრაში არაერთი სომხური ტაძარი იყო მოქმედი. მათ შორის: ყარაღაჯის „სურფ აკოფას“ ეკლესია, დოესის და გრაკალის სომხური ეკლესიები, აღნიშნულ ტაძრებში მოღვაწეობდა ტერ-თადეოზ ასატურიანცი, იგივე ტურაშვილი. ახალქალაქის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის (თავმჯდომარე მამასახლისოვი) მიერ მაზრის აღმასკომში გადაგზავნილ დოკუმენტში: „სია საყდრებისა და სამღვდელთა პირებისა გრიგორიანთა და მართლმადიდებელთა ახალქალაქის რაიონის გორის მაზრისა“, მითითებულია, რომ სომხურ ტაძრებში (იგულისხმება თანამედროვე კასპის რაიონში არსებული სომხური ეკლესიები) მოღვაწე სასულიერო პირი

¹ ი. ალიმბარაშვილი, ოქონის ტაძრებისა და ხატების ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 83.

² იქვე, გვ. 95.

(ტერ–თადეოზ ასატურიანცი) იყო „უფროსი მღვდელი“. დოკუმენტში იმ ადგილზე, სადაც აღნიშნული უნდა იყოს (სპეციალური ცხრილია შედგენილი – გ.ს.) სომეხთა მღვდლის პოლიტიკური მრწამსი, წერია, რომ მღვდელი იყო მოხუცი.¹ შენიშვნაში მითითებულია რომ დოქსში მხოლოდ ერთი მღვდელი იყო, ისიც მოხუცი, რომელსაც ჯანმრთელობა ჰქონდა შერყეული.² ამ დოკუმენტიდან ჩანს აგრეთვე ისიც, რომ ამ დროისათვის დახურული იყო ახალქალაქის ღვთისმშობლის სომხური ეკლესია, სადაც მოღვაწეობდა ტერარუთინ მორიმანცი – ბლალოჩინი.³ გორის მაზრაში სხვა სომხური ეკლესიებიც მოქმედებდა, კერძოდ მეჯვრისხევის თემში, ეს იყო სოფ. დიდი მეჯვრისხევის სუფსარქისის ტაძარი, სადაც მოღვაწეობდა მღვდელი – არშაკ ურფანოვი. იგი იყო კონსერვატორი. 1923 წლის 11 დეკემბერს მეჯვრისხევის თემიდან გორის აღმასკომში გაიგზავნა დოკუმენტი, რომელსაც აქვს გრიფი „საიდუმლო“. დოკუმენტიდან ჩანს, რომ მეჯვრისხევის სუფსარქისის ტაძარი ამ დროს დახურული იყო. ბლალოჩინი ურფანოვი მოღვაწეობდა ზერტის ღვთისმშობლის სახელობის სომხურ ტაძარშიც. წერილში მის პოლიტიკურ მრწამსზე მითითებულია, რომ იგი იყო დაშნაკცატანა.⁴ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომეხმა ბლალოჩინმა ან პოლიტიკური მრწამსი შეცვალა, ან დოკუმენტში შეცდომა გაეპარათ.

გორის მაზრაში არსებული სომხური ეკლესიებიდან 1923

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), გვ. 69.

² იქვე, გვ. 69.

³ იქვე, გვ. 70.

⁴ იქვე, გვ. 79.

წლის დოკუმენტებში იხსენიება სოფ. ვაყის დედაღვთის ეკლესია, სადაც მოღვაწეობდა მღვდელი – ტერ მესროპ ხაჩატურიანცი, რომელიც იყო კონსერვატორი. 1923 წლის ერთ-ერთ საბუთიდან ჩანს, რომ აღნიშნული ეკლესია ბოლშევიკებს გაუუქმებიათ, ხოლო სომეხი მღვდელი სოფელში მოღვაწეობდა.¹ ვაყის სომხურ ეკლესიაში მოღვაწეობდა ასევე სომეხი დიაკვანი – პეპო ბაბანასოვი.²

1923 წლის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყველა ეკლესიის ქონება აღწერა. აღწერეს გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული სომხური ეკლესიებიც. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გორის მაზრაში სომხური ეკლესიები მოქმედებდა სოფ. ძევერაში,³ სოფ. კარალეთში, ქვახვრელში,⁴ ატოცში,⁵ ბერბუკში,⁶ ოსიაურში.⁷

1923 წლის დეკემბრის მონაცემებით რუისის რაიონში მოქმედებდა 3 სომხური ეკლესია, მათ შორის: ღვთისმშობლის ეკლესია სოფ. დირბში, სადაც მოღვაწეობდა ტარასტა გიგა მღებრიშვილი, ღვთისმშობლის ეკლესია სოფ. ახალდაბაში, სადაც მოღვაწეობდა მღვდელი (პოლიტიკური შეხედულებით პროგრესისტი) გრიგოლ კატინიანი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სოფ. რუისში, სადაც იგივე მღვდელი მოღვაწეობდა.⁸

ჩამორთმეული საეკლესიო ნივთები სახელმწიფოს გადაე-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 76.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 176.

⁴ იქვე, გვ. 144-145.

⁵ იქვე, გვ. 180.

⁶ იქვე, გვ. 143-144.

⁷ იქვე, გვ. 129-130.

⁸ იქვე, გვ. 88.

ცა.

გორის მაზრის ეკლესიებიდან წამოღებული საისტორიო და სამეცნიერო ღირებულების ნივთები 1923 წლის 27 ოქტომბერს გორის სამაზრო აღმასკომის რწმუნებულმა არტაშ მარუტოვმა სპეციალური აქტით გადასცა საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულს სიმონ ჯანაშიას. ნივთების ჩამონათვალში იხსენიება ორი სომხური ხელნაწერი სახარება.¹ მინიატურებით გაფორმებული სახარებები დაწერილი იყო ძველი სომხურით.² ხელნაწერები თავდაპირველად დაცული იყო ახალქალაქის ღვთისმშობლის სახელობის სომხურ ეკლესიაში და მისი აღწერის დრო უკვე გადაცემული ჰქონია საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტს. აღწერის დოკუმენტს აქვს შენიშვნა, სადაც აღნიშნულია: „ორი ძველი ხელით ნაწერი სახარებები სომხურ ძველ ენაზე მინიატურებით წაიღო პროფესორმა მარუტოვის თანდასწრებით.“³ პროფესორში, ჩვენი აზრით (თუმცა შეცდომით, რადგან იგი ჯერ არ იყო პროფესორი), ს. ჯანაშია იგულისხმება, რომელსაც სპეციალური აქტით გადაეცა სომხური ხელნაწერები.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლებამ გორში არსებული სომხური ეკლესიაც დახურა, რასაც მორწმუნეთა მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. 1923 წლის 20 დეკემბერს გორში სომეხმა მორწმუნეებმა კრება მოიწვიეს და ეკლესიის საბჭოს წევრები, ასევე საბჭოს წევრობის კანდიდა-

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 64.

² იქვე, გვ. 154.

³ იქვე, გვ. 154.

ტები, სარევიზიო კომისიის წევრები და სამღვდლო პირები აირჩიეს. ესენი იყვნენ:

საბჭოს წევრები

1. მესროფ მარქარას ძე მარუტოვი
2. დავით ფარსმანის ძე ხუდადოვი
3. სტეფან ყაზაროვი
4. გარეგინ ედიშეს ძე ტერ-სააკოვი

კანდიდატები

1. ზაქარია გიორგის ძე ჩარუევი
2. პიმენაკ მესროფას ძე მარუტოვი

სარევიზიო კომისია

1. ნიკოლოზ გრიგოლის ძე ტერ-სტეფანოვი
2. სერგო იოსეფას ძე მღებროვი
3. გევორქ იაგორას ძე თოროზოვი

ეკლესიის სამღვდელოები

1. ტერ-სააკ ხახანიაძე
2. ტერ-იოზეფ სირიბეგოვი“.¹

1923 წელს გორში მცხოვრებმა სომეხმა მორწმუნეებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს ს.ს.რ. იუსტიციის სახალხო კომისარს და რელიგიურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ი. ვარძიელს, რომელმაც გორელი სომხების წერილი თანდართული მორწმუნეთა ხელმოწერებით გორის მაზრის აღმასკომს გადასცა.² სომეხმა მორწმუნეებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური საზოგადოება, რომელშიც 307 მორწმუნე იყო გა-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №53, გვ. 4.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №53.

წევრიანებული.¹

1923 წლის აგვისტოში გრიგორიანელებმა ეკლესიის გახსნის და სომხურ ეკლესიაში წირვა-ლოცვის აღდგენის თხოვნით მიმართეს გორის მაზრის აღმასკომს. მიმართვაში ვკითხულობთ:

„გორის აღმასკომის შინა სამმართველოს

ქალ. გორში მცხოვრებ სომეხ-გრიგორიანების
თხოვნა

იმ კანონის ძალით, რომელიც გამოსცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამა წლის 10 აგვისტოს, ყოველ მორწმუნე მოქალაქეს და რელიგიურ საზოგადოებას სრული უფლება ეძლევა აღიაროს თავისი რწმენა და აღასრულოს სარწმუნოებრივი კულტი.

ამ კანონის მიხედვით ჩვენ ქვემოთე ამისა ხელის მომწერნი ქალ. გორში მცხოვრებნი სომეხ-გრიგორიანები ვითხოვთ გაღებულ იქმნას დაკეტილი სომხების ეკლესია წირვა-ლოცვის შესასრულებლათ და გადაეცეს სომეხთა ეკლესიების კუთვნილი ნივთები და სამკაულები მრევლის მიერ ამორჩეულ პირებს.

1. ქალ. გორი. 1923 წ. 29 აგვისტო“.²

გორის წმ. სტეფანეს სომხური ტაძრის მრევლმა დასამტკიცებლად ხელისუფლებას რელიგიური საზოგადოების წესდება წარუდგინა:

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №53, გვ. 108.

Заявление

На основании инструкции НКЮ НКВД о порядке регистрации религиозных О-в и выдачи разрешения на созыв съезда таковых, опубликованной в «Комунисте» 22-го сентября 1923 г. №222, просим зарегистрировать О-во во имя св. Стефани церкви, для чего, согласно упомянутой инструкции, настоящее заявление подается в трех экземплярах каждый и при нем прилагается также в 3-х экземплярах каждый: 1) Протокол собрания членов названного О-ва 1923 г. 2) принятый этим собранием устав О-ва; 3) список членов О-ва; 4) список членов Совета и священнослужителей О-ва.

Настоящее заявление со всеми приложениями представить один экземпляр с надписью на нем о регистрации О-ва обратно получить и вообще, все формальности какие только для регистрации потребуются исполнить, поручаем членам Совета гражданам.

Настоятель церкви - Прот. Тер-Саак.*

Члены Совета Марутов Месроп Маркарович

Худадов Давид (არ იკითხება მამის სახელი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ფარსმანი; არ იკითხება ასევე მესამე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს).

Устав Общества

..... Армянской Христианской во имя Стефана церкви г. Гори

Горийского уезда Тифлисской губернии

* გვარი არ იკითხება, ჩვენი აზრით უნდა იყოს ხახანაიანი; არ იკითხება ასევე მეორე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს.

I. Цель Общества.

§1. Христианское Общество Армянской Апостольской церкви в пределах Сов. Соц. Республики Грузии имеет целью объединения верующих причисленных к приходу церкви, для удовлетворения своих религиозных потребностей по правилам и канонам единой Армянской Апостольской церкви, возглавляемой Верховным Патриархом – Католикосом всех армян в Эчмиадзине. О-во политическими вопросами не занимается.

II. Права Общества.

§2. С этой целью Общество: а) собирается на установленные по канонам и обрядам Армянской Апостольской Церкви богослужения и присутствует на проповедях религиозно-нравственного характера, б) управляет церковным имуществом, полученным по договору от Исполкома, в) заключает сделки частно-правового характера, связанные с Управлением церковного имущества, г) участвует в с'ездах всех армянских религиозных О-в, д) избирает священно служителей для совершения религиозных обрядов, согласно канонам Армянской Церкви, е) Декр. ВЦК 13-го июня 1923 года, з) имеет при церквях хоровые объединения для совместного обучения духовной музыке и пению. (Постановление ВЦК 13-го июня 1923 года).

Примечание: Для успешного осуществления означенных целей, каждое религиозное общество армянской церкви находится в общении со всеми армянскими церковными общест-вами в пределах Российской Федеративной Республики, имеющими одинаковый устав, одобренный Католикосом всех армян.

III. Состав Общества.

§3. Членами общества могут быть граждане обоего пола, в том числе и несовершеннолетние, принявшие св. крещение по чину Армянской Апостольской Церкви, и признающие главенство Верховного Патриарха-Католикоса всех армян.

Примечание: Правомочными членами О-ва считаются лица обоего пола с 18-ти летнего возраста.

§4. Зачисление в члены О-ва производится церковным Советом по подаче письменного заявления по общей форме.

§5. Выбытие из числа членов О-ва производится по письменному заявлению выбывающего или по постановлению 2/3 наличного числа членов О-ва по спискам и по постановлению епархиальных церковных органов.

§6. Списки членов О-ва ежегодно представляются в Отдел Управления * исполкома.

IV. Средства Общества.

§7. Средства О-ва составляют: а) добровольные пожертвования натурой, деньгами и драгоценностями, собираемые членами О-ва, или его уполномоченными, б) поступления от продажи свечей и кружечного сбора, в) добровольные поступления от духовных треб, д) добровольные членские взносы.

§8. Принадлежащие О-ву суммы употребляются для осуществления целей указанных в §2: а) На оказание материальной помощи в ней нуждающимся, как членам, так и посторонним, в особенности при стихийных и народных бедствиях, б) на покрытие расходов, связанных с обладанием церковным имуществом, в) для покрытия расходов на созыв

* დოკუმენტში ერთი სიტყვა გამოტოვილია—გ.ს.

Всероссийских и Епархиальных с'ездов представителей Армянских церквей, г) на покрытие епархиальных общецерковных нужд, д) на содержание причта церкви и других служителей и е) на канцелярские расходы Церковного Совета.

V. Управление делами О-ва.

§9. Все вопросы возникающие в жизни О-ва, разрешаются на общих собраниях О-ва открытым голосованием простым большинством голосов, за исключением случаев, предусмотренных в §§5, 14 и 19 Устава О-ва.

Примечание: Поименные голосования проводятся на собраниях при заявлении не менее 3-х лиц присутствующих членов.

§10. Исполнительным органом общего собрания прихожан является Приходской Совет, состоящий из 5-ти лиц: из Настоятеля церкви, 4-х членов, и 2-х кандидатов к ним, избираемых на общем собрании сроков на 1 год.

Примечание: Членами приходского Совета могут быть лица обоего пола.

§11. Приходский Совет утверждается епархиальным Начальником, которому подлежит наблюдение и контроль над деятельностью Приходских Советов епархии.

§12. Приходское Собрание созывается в год раз для слушания отчета и деятельности приходского Совета, и выборов; в исключительных случаях созывается чрезвычайное общее собрание.

§13. Приходское Собрание избирает ревизионную Комиссию из 3-х лиц для ревизии отчетов и деятельности Приходского Совета.

§14. Приходскому собранию принадлежит право выбора, приглашения и удаления священнослужителей при соблюдении подачи более половины голосов всех правоспособных членов

данного О-ва с последующим посвящением и утверждением Епархиальным Начальником.

VI. Делегатских С'ездах Религиозных О-в.

§15. Делегатский с'езд религиозных О-в созывается Епархиальным Начальником, который с своей стороны предлагает на обсуждение с'езда вопросы о текущих нуждах епархии.

§16. Исполнительным органом Епархиального с'езда является Епархиальный Совет, который предлагает на обсуждение с'ез-да годичный отчет о своей деятельности.

§17. С'езд избирает Епархиальный Совет и Начальника епархии сроком на 4 года. Постановление об избрании Епархиального Начальника восходит на утверждение Каталикоса всех армян.

VII. Порядок Изменения Устава О-ва.

§18. Устав означенного О-ва может быть изменен: а) указаниям С'езда армянских религиозных О-в в Грузии, утвержденного местным Отделом Управления, б) общим собранием данного О-ва по предложению его членов и принятому боль-шинством голосов данного собрания с последующим утверждением его Отделом Управления губ. или областн. Исполкома и в) по предложению подлежащих органов государственной власти.

VIII. Порядок Закрытия О-ва.

§19. О-во закрывается: а) по постановлению соответствующего губерnsk. или областн. Исполкома и б) по постановлению общего собрания членов О-ва.

§20. В случае закрытия общества все имущество, находящееся в пользовании О-ва возвращается местному Совету

по инвентарной описи специально уполномоченным избранным для него ликвидационным собранием О-ва.

Примечание: Из имущества, указанного в §20-ом, исключаются предметы особо священного значения, не имеющие материальной ценности, как то: Св. антиминсы, Св. дары запасные, Св.миро, частицы Св. мощей и т.п. священные пред-меты армяно-церковного почитания, каковые предметы передаются в распоряжение епархиальных органов.

Настоятель церкви Прот. Тер-Саак.....*

Члены Совета Марутов Месроп Маркарович
Худадов Давид“**.¹

წესდების დამტკიცების შემდეგ 1924 წელს 25 იანვარს სომეხ გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლებმა გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისაგან უფასო და უვადო სარგებლობაში მიიღეს გორში არსებული ქვის შენობა ღვთისმსახურებისათვის და საეკლესიო ნივთები. სომხურ ეკლესიაში იკრძალებოდა ყველანაირი პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტსა და სომეხ მორწმუნეთა საზოგადოებას შორის ხელშეკრულება გაფორმდა, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, წარმოგიდგენთ სომეხ-გრიგორიანთა რელიგიური საზოგადოებისა, ქალ. გორში ვაწარმოვეთ ხელშეკრულება გორის მაზრის აღმასრულებელ კომი-

* არ იკითხება, თუმცა ჩვენი აზრით სავარაუდოდ უნდა იყოს ხახანიანცი; არ იკითხება ასევე მეორე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს.

** მამის სახელი არ იკითხება; როგორც ზემოთაც მივუთითეთ უნდა იყოს ფარსმანი; არ იკითხება ასევე მესამე ხელისმომწერის სახელი და გვარი – გ.ს.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონ-დი №3, აღწერა №1, საქმე №53, გვ. 19-23.

ტეტთან, მისი რწმუნებულის შინა მმართველობის განყოფილების გამგე სერგო ცხოვრებაშვილის სახით, მის შინა 1924 წელს 25 იანვრის თვეს 18 რიცხვს. აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადო და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ ქალ. გორში მდებარე ქვის ღვთისმსახურების შენობა და ღვთისმსახურების საგნები. თქვენი ხელმოწერით შემოწმებული განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1) მთელი ჩვენი სომეხ-გრიგორიანთა რელიგიური საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ქონებით მარტოდენ მისი და ... (არ იკითხება - გ.ს) შესაფერისად. ამასთან საზოგადოებაში კისრულობს პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით თავის თავზე მიღებულ ყველა მოვალეობის შესრულებისათვის.

2) საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს .. (არ იკითხება - გ.ს) და იქ შენახულ ღვთისმსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ზომა იმისთვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ასეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების 1-ელ და მე-2 მუხლს.

კერძოდ, საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასრული ღვთისმსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების, ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა;

გ) საბჭოთა ხელისუფლების, ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა;

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღლვების მიზნით რეკით განგაშის მოხდენა.

4) საზოგადოება მოვალეა თავისი ქონებით გაისტუმროს ტაძრის ღვთისმსახურების შენობის და ამ ტაძარში დაცულის საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწირისა და სხვა;

5) საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქნას ყოველი ახლად შესული (შეწირულებით, სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) რელიგიური კულტის საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

6) საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7) მიღებული ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8) საზოგადოება მოვალეა, უკეთეს საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოთ და შესანახათ.

9) უკეთეს საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობას, იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისთვის: საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10) საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი ის ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა ამ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში. იმ დრომდე ვიდრე იგი საზოგადოებიდან გავიდოდა.

ამ ხელშეკრულების დედანი ინახება გორის აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადოდ შემოწმებული პირი გვეძლევა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელთა, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რომელთაც აღწერილობითი 15 იანვრიდან 1924 წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობანი და მათში დაცული საგნები.

11) უკეთეს საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა

შესაძლებელ ღონისძიებას. ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნას; იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით“.¹

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლების ნებართვით გორში მცხოვრებ სომხებს სამლოცველოს გახნის უფლება მიეცათ და საეკლესიო ნივთებიც დაუბრუნდათ, ქვეყნის ხელმძღვანელობა ტოტალურ კონტროლს ახდენდა ახლად აღდგენილ ეკლესიებზე და მათ რიცხვში შედიოდა გორის მაზრაში არსებული სომხური სალოცავებიც. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სომხურ–გრიგორიანული ეკლესიის გორის ეპარქიის ეპისკოპოსი მის დაქვემდებარებაში არსებულ ეკლესიებში საკადრო გადაადგილების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. ერთ–ერთ დოკუმენტში რომელიც 1924 წლის 14 იანვრით არის დათარიღებული ვკითხულობთ:

„Горийскому Исполкому

Взамен скончавшегося ... * священники. Саака Тер-Мина-сянца поручени священнику Егише Ватяну временно отпровлять все церковные требы Горийской армянского населения до выбора названным обществом своего слбственного священника по канонам армянской апостольской церкви и согласно новом уставу признанному центральной властью.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, გვ. 1-3.

* დოკუმენტს აქვს ხელმოწერა რუსულ ენაზე, სავარაუდოდ უნდა იყოს მ. მარუტოვი – გ.ს.

В настоящее время одни из пребывающих священников в Гори претой ерей Саак Хаханян не принадлежал и не принадлежит штату гор. Гори и вследствие старости находится в отставке, а другой священник Овсеп Сирибекия избран приговором армянского населения селения Досси и согласно Ходатайству местного благочинного совета, мною посвящен в священники и утвержден на вкатном штате Досса а потому обязан атправится на место своего назначения к своему приходу, а не оставаться в Гори из личных выгод.

Священнику Егише Ватяну поручена также много точное исполнение Декретом и инструкцией центральной власти предусмотренных правил о регистрации всех к моменту издания названного декрета фактических существующих армянских церков. ** Горийского уезда.

Для организации регистрации всех центральной властью сделано следующее циркулярное распоряжение по всей Грузии: не препятствовать сезыву общих собраний верующих для регистрационных целей, кол. сообщено мне через моего представителя поверенного.

Сообщая обо всем этом я вполне уверен, что Горийский Исполком, как местный представитель рабоче-крестьянского правительства, будет настоящим выразителем воли простого люда оказывая о своей стороны моему представителю священнику Егише Ватяну все законные содействия к исполнению на него возложенных общественных обязанностей, в частности в отправке священника Овсеп Сирибекия с селения Досси

** გამოტოვილია - გ.ს.

на место своего назначения к своему приходу во исполнение воли крестьян селения Доес.

Епархиальный Начальник Епископ Георги“¹

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, სომხური ეკლესიის გორის მაზრის მმართველს ეპისკოპოს გიორგის გარკვეული საკადრო გადაადგილება განუხორციელებია, რომელსაც ინფორმაციის სახით აწვდიდა გორის აღმასკომს. იგი თხოვნით მიმართავდა ადგილობრი ხელისუფლებას, რათა ხელი შეეწყოთ ახლად დანიშნული სასულიერო პირებისათვის.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 526.

ებრაელთა სამლოცველოები

სხვა რელიგიურ უმცირესობებთან ერთად ბოლშევიკებმა სამლოცველოები ჩამოართვეს ქარელში სურამსა და გორში მცხოვრებ ებრაელებს. ცნობილია, რომ ებრაელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებთან ერთად შიდა ქართლშიც ძველი დროიდან ცხოვრობდნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქარელში 400 სული ებრაელი სახლობდა, მათ ჰყავდათ ხახამი და ჰქონდათ სინაგოგა.¹ ებრაელები ძველი დროიდან ცხოვრობდნენ აგრეთვე სურამში, გორსა და ურბნისში.² ებრაელთა დიდი ნაწილი ცხოვრობდა ცხინვალშიც. XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მყოფი ებრაელი მოგზაური იეჰუდა ჩორნი წერს, რომ ცხინვალში ებრაელთა მრავალრიცხოვანი დასახლება იყო. ცხინვალელ ებრაელებს თავიანთი სალოცავი სახლიც ჰქონდათ, რომელიც მოგზაურის თქმით, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურებოდა.³

როგორც აღვნიშნეთ ბოლშევიკებმა გორის მაზრაში მცხოვრები ებრაელების სინაგოგებიც დახურეს. მორწმუნე ებრაელები თავიანთი სამლოცველოების დაბრუნებას ითხოვდნენ, ამის გამო ხელისუფლება გარკვეულ დათმობზე წავიდა. 1923 წლის ოქტომბერში გორის მაზრის აღმასკომის შინა მმართველმა

¹ ე. მამისთვალისვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 127.

² იქვე, გვ. 106, 122, 124.

³ ი. დავიდი, იეჰუდა ჩორნის მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია), ნაწერები, ტ. I, თელავი – იერუსალიმი, 1976, გვ. 200; დ. ჩოჩიშვილი, იეჰუდა ჩორნის მოგზაურობა საქართველოში (გორი და ცხინვალი), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 14, თბ., 2011, გვ. 411.

ველობის განყოფილების გამგემ ს. ცხოვრებაშვილმა ქარელის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს წერილით მიმართა, რომელშიც თხოვდა ქარელის თემის ხელმძღვანელობას ეცნობებინა გორის აღმასკომისათვის, შესაძლებელი იყო თუ არა ქარელში ებრაელებისათვის ჩამორთმეული სალოცავის დაბრუნება.¹ როგორც ჩანს, ქარელში მცხოვრები ებრაელები დაჟინებით მოითხოვდნენ სამლოცველოს დაბრუნებას. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1923 წლის 3 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიის გადაწყვეტილებით გორის აღმასკომს დაევალა, რომ ქარელში მცხოვრები ებრაელებისთვის სალოცავი დაებრუნებინათ.² ქარელელი მორწმუნეების მსგავსად 1923 წლის 20 ნოემბერს გორელმა ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გორის შინა მმართველობის გამგეს, რათა მისცემოდათ უფლება შეკრებილიყვნენ თავიანთ სალოცავში და დაეარსებინათ რელიგიური საზოგადოება.* 1923 წელს 25 ნოემბერს შედგა გორში მცხოვრები ებრაელების კრება, რომლის მიზანი იყო ებრაელთა რელიგიური საზოგადოების დაარსება და სალოცავის – სინაგოგის მოწყობა. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: ელა ათანელოვი, მორდებ დავარაშვილი, მემე ქოენიშვილი, აბრამ მაღალოვი, იოხაი კრიხელი.

* აღსანიშნავია, რომ რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის ვადა ხელისუფლების მიერ განსაზღვრული იყო 1924 წლის 1 თებერვლამდე.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №27.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №37, გვ. 67.

* ებრაელთა რელიგიური საზოგადოების დაარსების შესახებ ჩვენი მოხსენება წაკითხულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე“ თბილისი-იერუსალიმი 3“, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, თბილისი 2014.

კრების ოქმში აღნიშნულია: „1923 წელსა ნოემბერის 25 დღესა შესდგა საზოგადო კრება გორის ქართველ ებრაელთა შესახებ მორწმუნეთა საზოგადოების დაარსებაზე. კრებას დაესწრო გორის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი (არ იკითხება – გ.ს) ებრაელთა მოქალაქეთა რიცხვით ას სულამდინ, თავმჯდომარეთ იქმნა ამორ-ჩეული იოხაი კრიხელი, მდივანთ ისხაკ მამისთვალავი დღის წესრიგი იყო შემდეგი საკითხები: 1) რელიგიური საზოგადოების შექმნა 2) პრეზიდენტის ამორჩევა 3) საზოგადოების წესდების გამომუშავება 4) სალოცავის (გამოტოვილი სტრიქონი არ იკითხება – გ.ს) კრებამ მამულოვის შემდეგ ერთი ხმით გამოსთქვა სურვილი რათა იქმნეს (არ იკითხება – გ.ს) რელიგიური ებრაელთა საზოგადოება რაზედაც აღიდრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა თანახმით არსებული კანონებისა მთავრობამ დაგვრთო ნებართვა მოხსენებულ საზოგადოების დაარსების სინაგოგის მოწყობაზე, პრეზიდენტში იქმნენ ამორჩეული ხუთი მწევრისაგან რის გამოც (არ იკითხება – გ.ს) ხმების უმრავლესობით იქმნება ამორჩეული შემდეგი ელა ატენელოვი, ქოენიშვილი, მორდებ დავარაშვილი, აბრამ მაღალოვი და იოხაი კრიხელი. საზოგადოების წესდების შემუშავება დაევაღათ საზოგადოების პრეზიდენტს.

ოქმის შედგენის შემდეგ კრება დახურულად გამოცხადდა: თავმჯდომარე იოხაი კრიხელი; მდივანი ისხაკ მამისთვალავი“.¹ ებრაელთა რელიგიური საზოგადოების პრეზიდენტის შესახებ საგანგებო დოკუმენტი იქნა შედგენილი, სადაც წევრთა მონაცემები (წარმომავლობა, სოციალური სტატუსი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №54, გვ. 17.

და სხვ.) იქნა შეტანილი: „სია ქალაქ გორის საქართველოს ებრაელთა რელიგიური საზოგადოების პრეზიდენტის წევრთა:

	გვარი, სახელი და მამის სახელი	საეკლესიო ადგილი და მისამართი	სოციალური მდგომარეობა	საზოგადო და სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წ.	რა წოდებას ეკუთვნოდა რევოლუციამდე	ქონებრივი მდგომარეობა	ადინიშნულ საზოგადოებაში რელიგიურ შესვლის დრო
1	ატენელოვი ელო	გორი ერთობის ქუჩა	ვაჭარი	იგივე	იგივე	–	დაბადები-დანვე
2	დავარაშვილი მორდუხ	გორი ერთობის ქუჩა	ვაჭარი	იგივე	იგივე	საკუთარი სახლი	დაბადები-დანვე
3	ქოენიშვილი მემე	გორი ერთობის ქუჩა	ვაჭარი	იგივე	იგივე	–	დაბადები-დანვე
4	მაგალოვი აბრამ	გორი ერთობის ქუჩა	ვაჭარი	იგივე	იგივე	–	დაბადები-დანვე
5	კრიხელი იოხა	გორი ციხის უბნის ქუჩა	ვაჭარი	იგივე	იგივე	საკუთარი სახლი	დაბადები-დანვე

თავმჯდომარე იოხაი კრიხელი

მდივანი ისხაკ მამისთვალოვი¹. ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებაში გაწევრიანებული იყო 97 მორწმუნე. საზოგადოების რელიგიურ მოსამსახურედ დასახელებულია ხახამი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, გვ. 22.

– ბენე კრიხელი. მის შესახებ სპეციალური დოკუმენტიც შეუდგენიათ: „სია ქალაქ გორის საქართველოს ებრაელთა რელიგიური მოსამსახურეთა პირთა

	გვარი, სახელი და მამის სახელი	საცხოვრებელი ადგილი და მისამართი	სოციალური მდგომარეობა	საზოგადო და სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წ.	წოდებას ეკუთვნის რა რელიგიური და რეგულაციები	ქონებრივი მდგომარეობა	აღნიშნულ საზოგადოებაში რელიგიურ შესვლის დრო
1	კრიხელი ბენე	გორი ძველი ხაზინის ქუჩა	ხაზამი	იგივე	იგივე	–	დაბადები-დანვე
	„_“	„_“	ფრინველების დამკველელი	„_“	„_“		„_“

თავმჯდომარე იოხაი კრიხელი

მდივანი ისხაკ მამისთვალოვი“.¹

გორელმა ებრაელებმა რელიგიური საზოგადოების წესდებაც შეიმუშავეს. წესდებაში ვკითხულობთ: „წესდება ებრაელთა ქალაქ გორის მცხოვრებთა რელიგიური საზოგადოებისა. არსებული

საზოგადოების მიზანი.

1. ებრაელთა ქალაქ გორში მცხოვრებთა რელიგიური საზოგადოება ისახავს მიზნათ თავის მოქმედებისა, რომ საშვალება მისცეს თავის წევრებს დაიკმაყოფილონ თავიანთი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, გვ. 28.

სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი და გრძნობანი თანახმად ებრაული სჯულისა.

2. ამ მიზნით იგი აწყობს ლოცვებს, სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღმზრდელობით ხასიათის ქადაგებებს სალოცავში და აგრეთვე სათანადო მოსამსახურე პირთა საშვალეებით უსრულებს თავის წევრებს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს და ადათ წესებს, როგორც: წინდაცვითა, ქორწინებათა, და განქორწინების აქტის შესრულება ებრაული წესით (მას შემდეგ როცა ეს აქტი იქნება შესრულებული არსებული სახელმწიფოებრივი კანონით) ებრაული წესით დაკლული ხორცის მიწოდება საზოგადოებისათვის. „მაცის“ დამზადება. „დამარხველი ძმობის“ მოწყობა და სხვა.

3. რელიგიური საზოგადოება თავისი პრეზიდენტის შემადგენლობიდან აგზავნის თავის წარმომადგენელს საქართველოს ებრაელთა (არ იკითხება – გ.ს) რელიგიური საზოგადოებების საერთო კრებებზე.

4. საზოგადოება პოლიტიკურ სფეროში არ ერევა და არ იღებს არავითარ მონაწილეობას და ემორჩილება არსებულ კანონებს და ხელისუფლებებს.

საზოგადოების შემადგენლობა.

5. ებრაელთა (არ იკითხება – გ.ს) რელიგიური საზოგადოება თავის მოქმედებას ავრცელებს ყველა ებრაელთა დაბადებულზე, რომელიც კი მიმართავს მას სარწმუნოებრივი წესის შესრულებისათვის.

6. თავის სრულ უფლებიან წევრათ სთვლის იგი ყოველ ებრაელს მცხოვრებს ქ. გორში მიწერილს ამ საზოგადოებაზე. 14 წლიდან. ორივე სქესისა.

ადმინისტრაცია.

7. საზოგადოება თავის წევრთა შორიდან, წევრთა ხმის უმრავლესობით (ახდელი კენჭის ყრით) ირჩევს საზოგადოებას პრეზიდენტს შემდგარს არა ნაკლებ ხუთი წევრისგან და არა მეტი შვიდი წევრისა. ორი წლის ვადით, რომელიც შესდგება შემდეგთაგან: თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, მდივანი, მოლარე და ერთი წევრი:

8. პრეზიდენტის მოქმედება: ზრუნვა საზოგადოების შინაურ საქმეებზე, განაგებს ქონებას საზოგადოების მიერ მიღებულს სათანადო ხელშეკრულებით ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოსაგან, სდებს ხელშეკრულებას კერძო ხასიათისას დაკავშირებულ კულტის საგნების წარმოებასთან, ზრუნავს საზოგადოების მატერიალური მდგომარეობისათვის, ნიშნავს კულტისა და სხვა შინაური საქმეებისათვის მოსამსახურე პირთ და საზღვრავს მათ სასყიდელს.

საზოგადოების ფინანსიური წყაროები.

9. საზოგადოება თავის ფინანსიური წყაროთ სთვლის წევრთა მიერ თავისუფალ შემოწირულებას, რომელსაც აგროვებს საზოგადოების პრეზიდენტის მიხედვით.

10. საზოგადოება თავის წევრებზე არავითარ იძულებითი გადასახადს არ აწესებს.

მოსამსახურე პირნი.

11. საზოგადოებას ჰყავს შემდეგი მოსამსახურე პირნი: რაზინი, მლოცველი (ხახამი), პირუტყვების დამკვლელი, მქადაგებელი, და აგრეთვე საზოგადოების ქონების შემნახველ-მომკლელნი (მეეზოვე, დარაჯი და სხვა).

12. (შენიშვნა) ყველა ზემოხსენებული თანამდებობანი შეიძლება შეთავსებული იქნან, ასე რომ ერთი და იგივე პირი ორ თანამდებობას ასრულებდეს, ანუ საზოგადოების შეხე-

დულებით ამა თუ იმ თანამდებობის პირი სრულიად მოხსნილი იქმნას.

ყველა ზემო ხსენებულ სასულიერო პირთ ნიშნავს პრეზიდიუმის ხალხიდან დაადასტურებს საზოგადოება (თავისის უმრავლესობით) ჯამაგირებს საზღვრავს პრეზიდიუმი და მსახურებენ პრეზიდიუმთან დადებული პირობების თანახმად.

13. საზოგადოების პრეზიდიუმს აქვს შესაფერი შკაფში ბეჭედი რომელიც ინახება პრეზიდიუმის მდივანთან პრეზიდიუმის კანცელარიაში.

საზოგადოების ლიკვიდაცია.

14. როდესაც საზოგადოება რამე მიზეზით სწყვეტს, რომ ლიკვიდაცია უყოს თავის მოქმედებას ირჩევს განსაკუთრებულ სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც ლიკვიდაციას უშვრება საზოგადოების ყველა მოქმედებას და ამის შესახებ აცნობებს სათანადო ადგილობრივ საბჭოთა ხელის უფლების ორგანოს.

მორდებ დავარაშვილი, აბრამ მაღალოვი, იოხაი კრიხელი”.¹ ამის შემდეგ გორში მცხოვრებმა ებრაელებმა თანდართული დოკუმენტაციით, რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციის თხოვნით მიმართეს გორის სამაზრო აღმასკომს. განცხადებაში ვკითხულობთ:

„გთხოვთ მიიღოთ ადგილობრივი ებრაელთა რელიგიური საზოგადოების მოწყობილი რეგისტრაცია რომელიც მოაწყო აღმასკომის წარმომადგენლის თანადასწრებით ვარდგენტ შემდეგს (1) სია რელიგიული საზოგადოების წევრთა

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №54, გვ. 7.

(2) სია რელიგიური მოსამსახურე პირთა (3) სია რელიგიური პრეზიდიუმი წევრთა და წესდების სამ სამ ცალად გთხოვთ მიიღოთ და ცნოთ კანონიერად.

კრების თავმჯდომარე იოხაი კრიხელი

მდივანი ისხაკ მამისთვალავი¹.¹ ებრაელთა კრების თავმჯდომარე იოხაი კრიხელი 1923 წლის 5 დეკემბრით დათარიღებული წერილის მიხედვით ადგილობრივ ხელისუფლებას ებრაელებისათვის მიწის გადაცემას თხოვდა.² ებრაელთა თხოვნამ შედეგი გამოიღო. გორის სამაზრო აღმასკომსა და გორში მცხოვრებ ებრაელთა რელიგიური საზოგადოებას შორის გაფორმდა ხეკლშეკრულება, რომლის მიხედვით გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის რწმუნებულმა ს. ცხოვრებაშვილმა 1924 წლის 17 იანვარს გორელ ებრაელებს უვადოდ და უფასო სარგებლობისათვის გადასცა შენობა და ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნივთები. ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: „ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელის მომწერნი, წარმომადგენელთა ებრაელთა რელიგიური საზოგადოებისა, ქ. გორის მცხ. დავდეთ ეს ხელშეკრულება გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტთან, მისი რწმუნებულის შინა მმართველობის განყოფილების გამგე სერგო ცხოვრებაშვილის სახით, მას შინა, რომ 1924 წელს იანვრის თვეს 17 რიცხვს აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადო და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ (არ იკითხება – გ.ს) მდებარედ (არ იკითხება – გ.ს) ღვთისმსახურების შენობა და ღვთისმსახურების საგნები ჩვენი ხელმოწერით შემოწმე-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №54, გვ. 16.

² იქვე, გვ. 7.

ბული განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1) მთელი ჩვენი ებრაელთა რელიგიური საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანაშაულების შესაფერისად, ამასთან საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით თავის თავზე მიღებულ ყველა სხვა მოვალეობის შესრულებისათვის.

2) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს ტაძრებისა და იქ შენახულ ღვთისმსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3) საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ზომა იმისთვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ასეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების I-ელ და 3 მუხლს.

კერძოდ, საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთისმსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა;

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართვა ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა;

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღ-
ელვების მიზნით რეკით განგაშის მოხდენა.

4) (არ იკითხება – გ.ს) თავისი ქონებით გაის-
ტუმროს ტაძრის (ან სხვა ღვთის მსახურების შენობის) და ამ
ტაძარში დაცულის საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე
ხარჯები, სახელდობრ რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა,
გასტუმრება ვალებისა. გადასახადებისა, ადგილობრივი შე-
ნაწერისა და სხვა.

5) საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქო-
ნების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქ-
ნას ყოველი ახლად შესული (შეწირულებით, სხვა ტაძრები-
დან გადაცემით ან სხვა გზით) რელიგიური კულტის საგანი,
რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეად-
გენს.

6) საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა
სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის
წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებ-
ლად და დასათვალიერებლად.

7) მიღებული ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის სა-
ზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის
ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8) საზოგადოება მოვალეა, უკეთეს საჭირო იქნება მიღე-
ბული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩაიბაროს იგი იმ სახით, რა
სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9) უკეთეს საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების
მოსკობას. იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს
აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანი-
დან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში

რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულების-
თვის; საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში
ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10) საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრუ-
ლებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების
მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განც-
ხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ
ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი
ის ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა ამ
ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას
იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში, იმ
დრომდე ვიდრე იგი საზოგადოებიდან გავიდოდა.

ამ ხელშეკრულების დედანი ინახება გორის აღმასრულე-
ბელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადოდ შემოწმებუ-
ლი პირი გვამლევდა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელ-
თა, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რო-
მელთაც აღწერილობითი 1923 წ. რელიგიურის მიზნით, სა-
სარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობანი და მათში
დაცული საგნები.

11) უკეთუ საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომ-
დინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა
შესაძლებელ ღონისძიებას. ხელშეკრულება ესე სათანადო
აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქ-
ნას; იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნე-
ბა დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სა-
მართლის წესით.

იოხაი კრიხელი“.¹

ხელშეკრულებას თან ახლდა რელიგიური ნივთების
ნუსხაც:

№	საგნების დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1.	ბიბლია წიგნი.	ერთი.	“დაბადება”
2.	შკაფი.	ერთი.	
3.	შანდლები.	ორი.	
4.	სკამები.	რვა.	
5.	მაგიდა.	ერთი.	
6.	ბაღდადები ორი.	ორი.	
7.	კალამი.	ერთი (25 მისხ)	ვერცხლისა.
8.	ლამფები. ორ	ორი.	
9.	მაგიდის გადასაფარებელი.	ერთი.	ხავერდისა.
10.	შკაფის ფარდა.	ერთი.	

ზემო აღნიშნული ნივთები ჩავაბარეთ: ს. ცხოვრებაშილი

ზემო აღნიშნული ნივთები მივიღეთ: მორდება დავარაშ-
ვილი, იოხაი კრიხელი”.²

ებრაელთა სალოცავში იკრძალებოდა ყველანაირი სახის
პროპაგანდა, რაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქ-
ნებოდა მიმართული. გორის მაზრის შინა მმართველობის
განყოფილების გამგის – ს. ცხოვრებაშილისაგან გადაცემუ-
ლი სამლოცველოსათვის განკუთვნილი შენობა და ნივთები
ჩაიბარეს მორდებ დავარაშვილმა და იოხაი კრიხელმა. ებრა-
ელთა რელიგიური საზოგადოებისათვის ღვთისმსახურება
უნდა გაეწია გორში მცხოვრებ ხახამს – ბენე კრიხელს. შიდა
ქართლში მცხოვრებ ებრაელთათვის სამლოცველოების დაბ-
რუნება დასტურდება კიდევ ერთი დოკუმენტით, ეს არის

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი
№3, აღწერა, №1, საქმე №54, გვ. 8-9.

² იქვე, გვ. 13.

საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებული საეკლესიო საქმეთა კომისიის 1924 წლის 11 დეკემბრის სხდომის ოქმის ამონაწერი. როგორც ჩანს, სხდომაზე ერთ-ერთი საკითხი იყო მართლმადიდებელი და კათოლიკე მორწმუნეებისათვის, ასევე სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის მრევლის და გორის, ქარელის და სურამის ებრაელთათვის სამლოცველოების გადაცემის საკითხი. საეკლესიო საქმეთა კომისიამ გორის მაზრის აღმასკომს დაავალა დაეკმაყოფილებინა მორწმუნეთა შუამდგომლობები და მათთვის გადაეცა თითო ეკლესია, ან თითო სალოცავი სახლი.¹

გორის მაზრის აღმასკომმა ებრაელებს კუთვნილი სალოცავების გადაცემაზე უარი განუცხადა და მათ სამლოცველოების მოსაწყობად კერძო სახლები გამოუყო. ამის შესახებ მაზრის აღმასკომი ცენტრალურ ხელისუფლებას წერდა:

„რაც შეეხება სურამის ებრაელებს მათ მიეცათ ნება დააარსონ რელიგიური საზოგადოება. ქარელის ებრაელებს ჩვენ მივეცით ნება, რათა დააარსონ მორწმუნეთა საზოგადოება, მხოლოდ სინაგოგა, რომელიც ჰქონდათ უწინ. არ იყო დაკავებული ახალგაზრდა კომკავშირის მიერ, რომლებიც აკეთებდნენ კლუბს, ჩვენს მიერ იყო აღძრული შუამდგომლობა თქვენს წინაშე, რომ სინაგოგა, რომელიც კეთდება კლუბათ არ ყოფილიყო დაბრუნებული. თქვენგან მივიღეთ პასუხი, სადაც ნათქვამია – ეცნობოს გორის მაზრის აღმასკომს იმაზე, რომ ერთი თორა აუცილებლად დაბრუნებულ უნდა იქნეს ანდა მიეცეთ ადგილობრივ ებრაელებს საშუალება ჰქონდეთ სალოცავი სახლი, ჩვენ ვარჩიეთ რათა ილოცონ კერძო სახლ-

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №52, გვ. 11.

ში და არ დაუბრუნდეთ ძველი თორა. ეხლა კი გაცემულია სათანადო განკარგულება, რათა დაუბრუნდეთ თორა, როგორც ქარელის, ისე სურამის ებრაელებს“.¹

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ გაჩაღებულმა ანტი-რელიგიურმა ბრძოლამ მძიმე დაღი დაასვა, არამარტო მართლმადიდებელ ეკლესიას, არამედ საქართველოში არსებულ სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს. ათეისტური მთავრობის მიერ სხვადასხვა რელიგიების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორი ექოდ გაჰყვა მომდევნო ათწლეულებსაც, რამაც საზოგადოება მძიმე სულიერ მდგომარეობაში ჩააყენა.

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფონდი №3, აღწერა, №1, საქმე №52, გვ. 7.

Giorgi Sosiashvili
The Orthodox Church and Religious Minorities in
Shida Kartli Region in the I Quarter of the XX Century

The Georgian society occurred in a difficult situation after establishing the Bolshevik authority in 1921. The country was under a terrible repression. The Georgian church, that was not in an enviable situation in the period of the democratic republic, occurred in more unendurable conditions. The Bolsheviks closed many acting churches. Most of them were robbed. Numerous valuable things were destroyed after this barbarous attack. The Bolsheviks were chasing ecclesiastic persons. Who were forced to leave churches, or they would not be given lands and their families would starve. The Bolsheviks closed not only the Orthodox churches, but also churches of other religions. They closed the Catholic, Gregorian and Jewish chapels as well. The churchgoers were deprived ecclesiastic property. Soon the government compromised. The reasons were the letters sent by different regions of Georgia addressed to the central authority. They begged the government to open those churches again and return the deprived property. The Bolsheviks allowed churchgoers to establish religious societies and returned part of those property. The establishment of religious societies was regulated by a special instructions which had some restrictions, for example, propaganda of ideas against the Soviets during sermons. The Bolshevik terror influenced not only the Orthodox church, but also different religious minorities. Still the authority continued its total control on the church.

25th of February, 1921 is the beginning of the hardest epoch in the history of Georgia. Epoch is not quite appropriate for this period as the annexation of the independent Democratic Republic of Georgia and encroaching of Georgian state system were the beginning of the darkest times which had lasted for some ten-years and greatly

influenced on Georgian perception. Georgia missed the natural way of its development. Sharp outlines of aspiration of Georgian State for Europe appeared in the existence of Georgian Democratic Republic. After the death of independent Georgian Republic, our country missed European way of civilization and its space for a long time. "The new life" began in the country. The Bolshevik Governments started governing of the country very actively. Establishing of occupational regime in Georgia was considered in the Soviet Historiography as the Mensheviks' changes which had been caused by workers' rebellion. Though, obviously it was an annexation of the independent country. Georgian society had turned out into the hardest situation since the establishing of the Bolshevik regime. The red terror began and it entirely covered the country. Noble families and educated society were the subjects to repression. Different point of view was persecuted, properties became nationalized. That part of the population who did not share the Bolsheviks' ideas was physically annihilated or exiled. The Bolsheviks started a terrible struggle against the counter-revolutionary groups. False accusations were fabricated for a person or a group of people very often and this was followed by ruthless repressions. Executive Committees were founded and they ordered to persecute the people with different points of view in villages. The Bolsheviks started to confiscate rich peasants' properties by the local activists' encouragement and they made them kulaks. It should be underlined that the confiscated peasants addressed not only to the local Government but the governors of the republic itself for asking to protect humans' rights, but everything was in vain. The Government distributed the properties belonging to kulaks to the activists of the Bolshevik Party in order to please the devoted crowd of Kremlin. The government confiscated even houses. Their terror influenced on each spheres of society lives. The Bolshevism include political life and education or culture as well. New Government took a revenge on the Orthodox

Church with a special cruelty. Approximately more than thousand churches were closed in Georgia in the twenties of the XX century. 1350 churches had been active in our country by that time where 1700 priests, 1527 monks and 280 nuns activated. Their number reduced up to some tens. The Revolutionary Committee established № 22nd decree on the 15th of April, 1921. In its 14th and 15th paragraphs was mentioned: “None of religious society has a right to own any kind of properties. They are not regarded juridical persons, all their properties belong to people”. This became the basis for the Bolsheviks to robber orthodox churches and cathedrals. The process included all of Georgia. Catholicos-Patriarch Ambrosi made a speech during his Enthronement at Svetitskhoveli 14th September, 1921. He clearly expressed the attitude of government of that time to the church:” The heaviness of being Catholicos-Patriarch? But each of us is aware of the heaviness and difficulty of doing one’s duty. Especially this unbearable time, when Government hates religion, when unfaithfulness is widely spread and it is a shame to reveal one’s religion.” The problem, which Patriarch had spoken about, was not casual. The Bolsheviks began persecuting ecclesiastics together with closing churches. Catholicos-Patriarch Ambrosi Khelaia addressed to Genoa conference about this problem in 1922. Twenty-nine countries and five English dominions participated in this forum. Patriarch described the terrible situation arranged by the Bolsheviks in his addressing. The letter dealt with the hardest and unbearable situation of Georgian society and the Orthodox Church.

Catholicos-Patriarch did not cease exposing of the Bolsheviks’ activities after Genoa conference. It is worth underlining that the government imprisoned Patriarch very soon after this conference. Other representatives of Georgian Church were subjects to repression as well. Kouts, who was the General Secretary of the Committee of the Working Class “Hands Away from the Soviet Union” in England, met Catholicos-patriarch 29th July, 1923. The foreign guest

arrived as a traveller in the Soviet Russia. He propagated the Soviet Russia in the West. Catholikos-Patriarch frankly told Kouts: "I am not caring of myself. I am worrying about our faithful nation, church and ecclesiastics actually. Innocent members of the Catholikos Council have been torturing for seven months in Prison because of me and Central Managing Apparatus has been destroyed. This troubles me and makes me feel fidget"...

The company, which began against churches, became hysterical. The Bolsheviks with the help of forming "The Union of Atheists" declared a merciless struggle against the orthodox religion and ecclesiastics, which caused a great indignation of society. Repressions towards ecclesiastics got so severe that refused themselves to serve. They took off their cassocks themselves. Shaving of priests became in fashion, they did it by their own hands in order to avoid of terror from the government. The Bolsheviks refused to give pieces of lands to the priests living in villages. This meant their starvation, that's why they made themselves give up services and address to the local Executive Committees about it. The documents stored at Gori Archive confirm that Gori Executive Committee managed furious struggles for closing of churches and discrediting of ecclesiastics.

